

**ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით
გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ**

1 პრიორიტეტი – ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,256,835.9	2,256,835.9	2,256,684.4	2,256,684.4	0.0
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	902,489.4	902,310.1	921,085.6	920,946.6	139.1
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	54,306.7	52,839.7	58,938.0	57,737.2	1,200.8
29 03	სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა	56,632.4	49,565.1	55,965.0	49,237.6	6,727.4
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	26,709.9	26,709.9	27,654.3	27,654.3	0.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	6,853.0	6,850.0	6,266.0	6,263.0	3.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	2,206.5	2,206.5	2,190.9	2,190.9	0.0
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	5,869.7	5,589.7	5,814.0	5,589.6	224.3
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	5,269.5	260.0	3,876.4	256.5	3,619.9
სულ		3,317,173.0	3,303,166.9	3,338,474.6	3,326,560.1	11,914.5

1.1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;
- მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია;
- შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა;
- ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- დაფინანსდა სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები, სამიზნე ჯგუფების ფულადი დახმარებები და სოციალური მომსახურებები;
- დაფინანსდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რიგი სოციალური შეღავათები: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პენსიონერთათვის და სოციალური პაკეტის მიმღებთათვის 2016 წლის სექტემბერში დაიწყო დანამატის გაცემა პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. დანამატით უზრუნველყოფილი იქნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი (ექიმი - პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთანი - პენსიის ერთმაგი ოდენობით); ასევე, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ფულადი სოციალური დახმარების მიღების უფლება მოიპოვეს 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებულმა ბენეფიციარებმა, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;
- 9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველთა მიუსაფარ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით გაზრდილია მომსახურებათა ქსელი და დაფინანსება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარებისათვის.
მიღწეული მაჩვენებელი - პენსია და კომპენსაცია გაიცა სრულად და დროულად.

2. საბაზისო მაჩვენებელი - საარსებო შემწეობის მიმღები სოციალურად დაუცველი პირები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საჭიროებიდან გამომდინარე საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი.
მიღწეული მაჩვენებელი - ბენეფიციარების სოციალური გასაცემლები დაფინანსდა, სრულად და დროულად.

3. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ყველა შშმ პირი უზრუნველყოფილია დახმარებით.
მიზნობრივი მაჩვენებელი - შშმ პირების დახმარება გაიცემა საჭიროებების გათვალისწინებით.
მიღწეული მაჩვენებელი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (მათ შორის, ბავშვები), ხანდაზმულები და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი და მიუსაფარი ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სოციალური მომსახურებებით;

4. საბაზისო მაჩვენებელი - ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაში (7 სახლი) - 30% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დანარჩენი ნაწილობრივ.
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 40% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მომსახურების მიმწოდებელთ მიერ წარმოდგენილია წერილობითი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვით მომსახურების 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

5. საბაზისო მაჩვენებელი - შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა) 11 დღის ცენტრიდან - 40% სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ.
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მომსახურების მიმწოდებელთ მიერ წარმოდგენილია წერილობითი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვით მომსახურების 60% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. საბაზისო მაჩვენებელი - 13 სათემო ორგანიზაციიდან 34% დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სრულად, დანარჩენი ნაწილობრივ.

მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 45% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მომსახურების მიმწოდებელთა მიერ წარმოდგენილია წერილობითი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვით მომსახურების 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

1.1.1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სახელმწიფო გასაცემლები - სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა სრულად და დროულად;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (705.0 ათასამდე პენსიონერი).

მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (776.0 ათასამდე პენსიონერი).

მიღწეული მაჩვენებელი - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის პენსია გაიცა დროულად (760.0 ათასამდე პენსიონერი) თვეში საშუალოდ 715.0 ათასამდე პენსიონერი;

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

პენსიის მიმღებთა **მიზნობრივი მაჩვენებელი** 760.0 ათასი პენსიონერი გათვლილი იყო სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და მოიცავდა ყველა იმ პირს, რომელიც მიაღწევდა საპენსიო ასაკს და შესაბამისად მოიპოვებდა პენსიის დანიშნის უფლებას. თუმცა საჯარო საქმიანობის განხორციელების (რაც წარმოადგენს პენსიის შეწყვეტის საფუძველს), ქვეყნის დატოვების ან სხვა გარემოების გამო დაფიქსირდა ნაკლები მიმართვიანობა;

2. საბაზისო მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (20.7 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები).

მიზნობრივი მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (21.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები).

შესაძლო რისკები - კომპენსაციების მიმღებთა ნაკლები მომართვიანობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმებით, ქვეყნის დატოვებით და სხვა გარემოებებით;

მიღწეული მაჩვენებელი - კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის კომპენსაცი გაიცა დროულად.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: - კომპენსაციის მიმღებთა შორის უმნიშვნელოდ გაიზარდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ცალკეული საფუძვლით (ნამსახურების ვადის ამოწურვა, მარჩენალის გარდაცვალება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა) მიმღებთა რაოდენობა.

1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 35 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გასაცემლით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით და გაცემა ხდება დროულად (168.0 ათასამდე სოციალური პაკეტის მიმღები, 240.0 ათასამდე დევნილი, ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, 400.0 ათასამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირი და სხვა); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 50%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 22.4%.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი საჭიროებიდან გამომდინარე; შენარჩუნდება საარსებო შემწეობის დროულად გაცემის მაჩვენებელი (758.0 ათასამდე ბენეფიციარი); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 60%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 20%.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საარსებო შემწეობის დროული გაცემის მაჩვენებელი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი შესაბამისი დახმარებებით.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, ასევე პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული და ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით - (მშობლების ფსიქოლოგიური დახმარება და სწავლება);
- ბავშვზე ზრუნვის არსებულ ფორმებს დაემატა ახალი მომსახურების სახე: მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დაახლოებით 10 000 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი 80%.

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 13 500 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 14 000 ბენეფიციარმა მიიღო შესაბამისი მომსახურება, შენარჩუნებულია სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი.

1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 35 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- კანონით განსაზღვრული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატის გაცემით ხელი შეეწყო სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პენსიონერი/სოციალური პაკეტის მიმღები პირებისათვის, ასევე მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის.

1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების შემცირება;
- სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია მოსახლეობის გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისებით; ასევე ბენეფიციართა გარკვეული ჯუფები (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი -სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე - 13.2;

მიზნობრივი მაჩვენებელი -სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 2%-ით (4 წლიან პერიოდზე გათვლით)

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე - 13.2;

2.საბაზისო მაჩვენებელი - დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1 000 ცოცხლადშობილზე - 9.5;

მიზნობრივი მაჩვენებელი -დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება - 2%-ით(4 წლიან პერიოდზე გათვლით);

მიღწეული მაჩვენებელი - 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1 000 ცოცხლადშობილზე -8.6;

3.საბაზისო მაჩვენებელი - დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 31.5;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 1%-ით;

მიღწეული მაჩვენებელი - დედათა სიკვდილიანობა 100 000 ცოცხლადშობილზე - 32.2;

4.საბაზისო მაჩვენებელი - გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3.2;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3.8;

მიღწეული მაჩვენებელი - გეგმურ ამბულატორიულ მომსახურების მოცვის ზრდა: 1 სულ მოსახლეზე გეგმური მიმართვების რაოდენობა - 3.5.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;

- ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;
- ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება;
- C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.
- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა;
- უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება;
- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- აივ-ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით;
- დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა;
- ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ხასიათდება კლების ტენდენციით;
- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან საჭირო სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებით, ჩამანაცვლებელი თერაპიით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დედიდან ბავშვზე აივ-ინფექცია/შიდსის გადაცემის თავიდან აცილება; ტუბერკულოზით, აივ-ინფექცია/შიდსით და სხვა პრიორიტეტული დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება.

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული მაჩვენებელი -

- ✓ წინა წელთან შედარებით მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი პროსტატის სკრინინგის შემთხვევაში გაიზარდა 3%-ით, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის შემთხვევაში 4%-ით;
- ✓ იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი უმეტესი ვაქცინების მიხედვით 92-95%;
- ✓ 2016-2017 წლების გრიპის სეზონისთვის აცრილ იქნა დაგეგმილი რაოდენობის (98,03%) შესყიდული იყო 20 000 დოზა და გაიხარჯა 19 605;
- ✓ უანგარო დონაციების ხვედრითი წილი მთლიან დონაციებში - 25%;

- ✓ ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ყველა შემთხვევა 100 000 მოსახლეზე - 97.1;
- ✓ აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 534.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

• დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი;
- 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი;
- 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი;
- 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა;
- ეპილექსიის პირველადი დიაგნოსტიკა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით; 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილექსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა;
- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 21 000 (2.46%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 3.5%;

მიღწეული მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 23 878 (4.5%);

2.საბაზისო მაჩვენებელი -25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 23 000 (2.01%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 2.5%;

მიღწეული მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 26 348 (4.0%);

3.საბაზისო მაჩვენებელი -50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 6 100 (1.4%);
მიზნობრივი მაჩვენებელი -50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 1.7%;
მიღწეული მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 8 923 (3.0%);

4.საბაზისო მაჩვენებელი -1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 628 ბავშვი
მიზნობრივი მაჩვენებელი -1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 650 ბავშვი;
მიღწეული მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: მომსახურება გაეწია 1 260 ბავშვს;

5.საბაზისო მაჩვენებელი ეპილექსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1 448 პაციენტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ეპილექსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1 450 პაციენტი;
მიღწეული მაჩვენებელი - ეპილექსიის პირველადი დიაგნოსტიკა: საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა - 2 625 ბენეფიციარი.
უტარდება ყველას მიმართვიანობის რაოდენობიდან გამომდინარე.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- შესყიდულია ვაქცინები და ასაცრელი მასალები (შპრიცები და უსაფრთხო ყუთები) სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატები და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგები. მოსახლეობა უზრუნველყოფილია ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით;
- ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება მიმდინარეობს „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე;
- განხორციელდა წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის წარმოება;

- მოსახლეობა დაცულია ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, უზრუნველყოფილია ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, შექმნილია სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის პირველი დოზით მოცვა* (12 თვეზე ნაკლებ ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 92,4 %; დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 78,8 %; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -93,4 %; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 79,2 %;

მიზნობრივი მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის პირველი დოზით მოცვა* (12 თვეზე ნაკლებ ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 96 %; დეტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 90 %; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -90%; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 90 %;

მიღწეული მაჩვენებელი - მიზნობრივი პოპულაციის იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი: დეტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3 – 92-95%; წწყ 1 - 92- 95%; წწყ 2 – 92 - 95%.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სტატისტიკური ფორმების შეგროვება და წარდგენა სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხორციელდა მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%-ის მიერ;
- ეპიდზედამხედველობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართულია და მონაწილეობს მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%; ასევე, იმუნიზაციის მოდული დანერგილია სჯდ ცენტრების 100%-ში;
- ნოზოკომიური ინფექციების ზედამხედველობა დამყარებულია ქ. თბილისის და ქ. ბათუმის 8 კლინიკის ბაზაზე (საყრდენი ბაზები);
- 2016-2017 წლების გრიპის სეზონისთვის აცრილ იქნა 19 605 (98.03%) პირი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი - ჰეპატიტების მარკერებზე (HBsAG, ANTIHBC და ANTIHCV) გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 278; მწვავე, და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე 241; სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 61; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 176;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მწვავე და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა;

მიღწეული მაჩვენებელი - მწვავე და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა ფეკალიების ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე - 235; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 269.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: - დაფიქსირდა ქვეკონტრაქტორი დაწესებულებების მიერ დაგეგმილთან შედარებით ჩატარებული კვლევების დაბალი შესრულების მაჩვენებელი, რაც განაპირობა კონტრაქტორი დაწესებულებების 30%-ის (კონკრეტულად, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტში ჩართული) მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ. აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესასრულებელი სამუშაოს (მოსაწოდებელი ნიმუშების რაოდენობების) დაგეგმვისას.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა;
- უსაფრთხო სისხლის პროდუქტები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა; სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება; ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობა - 16 500, (29%), საერთო დონაციების რაოდენობა - 56 400;

მიზნობრივი მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: 60%

მიღწეული მაჩვენებელი - მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი შეადგენს 25%-ს.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:-
უანგარო დონაციების პროცენტული ზრდის არასაკმარისი მაჩვენებელი გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ უანგარო დონაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე;
- ✓ აქტიური საკომუნიკაციო კამპანიისათვის არასაკმარისი რესურსები (ფინანსური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური);
- ✓ სისხლის ბანკების დაბალი აქტიურობა უანგარო დონაციების რაოდენობების გასაზრდელად;
- ✓ საბოლოო შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია უსაფრთხო სისხლის ეროვნული პოლიტიკის გაძლიერება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - უსაფრთხო სისხლის პროდუქტები: გამოკვლეულ დონორთა რაოდენობა - 100%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% გამოკვლეულია B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან RPR მეთოდით);

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- შერჩეულ საწარმოებში მიზნობრივი ჯგუფების 90%-ს ჩატარებული აქვს რეფერენს-კვლევები;
- თითოეული საწარმოს პროფილისა და რისკების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები და საინფორმაციო-სატრენინგო მასალა;
- შექმნილია პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუკა და განახლებულია მონაცემთა ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული 5 საწარმო;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: ჩართული 25 საწარმო;

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიული რისკფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციები შემუშავდა და გადაეცა შემოწმებული საწარმოების 28 საამქროს (საწარმო);

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება;
- ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1,2%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება-0-1%;

მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1,2%.

2.საბაზისო მაჩვენებელი - პაციენტები რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობის კურსი - 14 480;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შემცირება;
მიღწეული მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების 100% მომსახურება.

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ხანგრძლივადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით;
- ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება;
- ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

განხორციელდა ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ლაბორატორიული მართვა, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვა (მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები); მომსახურება სრულად ანაზღაურდა; შემცირებულია ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ხანგრძლივადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე რეზისტენტულ პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით: რაოდენობა - 150;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 225.

მიღწეული მაჩვენებელი - ხანგრძლივადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფ რეზისტენტულ პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით: საანგარიშო პერიოდში 718-მა MDR პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის;

2. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ყველა შემთხვევა 100 000 მოსახლეზე - 103,3;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 100 000 მოსახლეზე - 100 3.;
მიღწეული მაჩვენებელი - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ყველა შემთხვევა 100 000 მოსახლეზე - 97.1;

3. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე - 82.9;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი შემთხვევები
მიღწეული მაჩვენებელი - ტუბ. შეტყობინების მაჩვენებელი: ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე - 82.6. შემცირებულია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა;
- ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა;
- შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა; ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა);
- პროგრამით განსაზღვრული მომსახურება ანაზღაურებული სრულად (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან).

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით მოცვა (სექს-მუშაკი ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში აივ ტესტირება ჩაუტარდა და ეცნობა შედეგები - 20%; ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა მისი შედეგები - 43%; მსმ-ების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა ტესტის შედეგები -8%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით მოცვა (სექს-მუშაკი ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში აივ ტესტირება ჩაუტარდა და ეცნობა შედეგები - 30%; ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა მისი შედეგები - 51%; მსმ-ების პროცენტული წილი, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა აივ ტესტირება და ეცნობა ტესტის შედეგები-18%);

მიღწეული მაჩვენებელი - ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების და მათი სქესობრივი პარტნიორების, სექს-მუშაკების, მათი კლიენტების და მსმ-ების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - 4545 კვლევა (დასახული მიზნის 113.7%);

2.საბაზისო მაჩვენებელი - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ამბულატორიულ სერვისებს იღებენ - 2790; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 504;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ამბულატორიულ სერვისებს იღებენ - 3450; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 522;

მიღწეული მაჩვენებელი - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ამბულატორიულ სერვისებს იღებენ - 3600-ზე მეტი; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 534;

3.საბაზისო მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა 100 000 მოსახლეზე - 2.40;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა 100,000 მოსახლეზე - ≤ 2.2 ;

მიღწეული მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული სიკვდილიანობა 100 000 მოსახლეზე - 2.5.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე;
- ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 000 ცოცხალშობილზე;
- ანტენატალური ვიზიტით მოცვა;
- მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე;

- მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობა, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი, ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ასევე, ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- გაიზარდა ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟის და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის არეალი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე: 9,5; ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 179100; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 2760; მედიკამენტებით უზრუნველყოფა: რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 947 და ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა - 4652;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 184000; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 3500; მედიკამენტებით უზრუნველყოფა: რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 1000 და ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა -5000; დედათა სიკვდილიანობის შემცირება; დედიდან ბავშვზე აივ-ინფექცია/შიდსის და ჰეპატიტის გადაცემის მაჩვენებლის შემცირება; ორსულთა და მელოგინეთა სიკვდილიანობის შემცირება;

მიღწეული მაჩვენებელი - წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - შემცირდა 8.6-მდე; 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - შემცირდა 10.2-მდე; მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 2760; რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 1003; ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა -12 739; 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 44071; საკვები დანამატების მიმღები 6-23 თვის სოციალურად დაუცველი ბავშვი - 778.

1.2.2.10 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი;
- მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ნარკომანიით დაავადებული პირები და ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3020; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 286;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3100; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 440;

მიღწეული მაჩვენებელი - თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 4400; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 441;

2.საბაზისო მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი: მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა - 749;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა - 500;

მიღწეული მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული 508 პაციენტი.

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- მიმდინარეობდა ჯანსაღი კვების შესახებ განათლებისა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება; თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება;
- ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა; კლიპების რაოდენობა, ჩატარებული კამპანიების რაოდენობა, დამზადებული ფლაერების რაოდენობა და ა.შ)

მიღწეული მაჩვენებელი - სამიზნე კონტინგენტის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე (ჩატარებული ტრენინგები - 29, განხორციელებული მედია კამპანიები - 4); თამბაქოსა და სხვა ქცევითი რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმირებულობის, შეხედულებებისა და ქცევის (KAP) ეროვნული კვლევის შედეგები, რაც გამოყენებულ იქნება შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად მოსახლეობის ქცევითი ფაქტორების გავრცელების მოდიფიცირების მიზნით და საბაზისო მონაცემთა მისაღებად, რომელიც საფუძვლად დაედება ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის (ან/და ნებისმიერი ინტერვენციის) შეფასების სისტემას შემდგომში.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა;
- C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარება;
- პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა;
- მედიკამენტების ლოჯისტიკა;
- შემცირებულია C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობა, სიკვდილიანობა და ინფექციის გავრცელება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: 3000;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მკურნალობაზე მყოფი პაციენტი: 20000;

მიღწეული მაჩვენებელი - 21000-ზე მეტ პირზე ჩატარებული სადიაგნოსტიკო კვლევები;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტი: 90%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტი: 95%;

მიღწეული მაჩვენებელი - დიაგნოსტირებულ პაციენტთა 90% ჩართულია მკურნალობის კომპონენტში; მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 90%;

3. საბაზისო მაჩვენებელი - C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება: C ჰეპატიტის ინციდენტობა 4.5

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ პაციენტთა შორის, რომლებმაც დაასრულეს მკურნალობა, 97%-ში მიღწეულია დადებითი შედეგი.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალობის შემცირება;
- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა;

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფილია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობა;
- ლეტალობის მაჩვენებელი არ გაზრდილა;
- პირველადი ჯანდაცვის მომსახურების უტილიზაცია გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2547; ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 260;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურებით;

მიღწეული მაჩვენებელი -ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2682.5 (2.7%); ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 344.7 (0.6%);

2. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების რაოდენობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების შემცირებული რაოდენობა

მიღწეული მაჩვენებელი -სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 13.2;

3.საბაზისო მაჩვენებელი - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე - 1,7;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%-იანი ხელმისაწვდომობა

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 4.0, მაშინ როცა 2015 წელს უდრიდა 3.5-ს.

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 4 800; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 22 453;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 25 000; სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5 300;

მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით გაზრდილია და შეადგენს დაახლოებით - 24 000, ხოლო სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5 311.

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;
- დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება, სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით სარგებლობს 795 ბავშვი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-იანი ზრდა;

მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ 903-მა დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა, რაც დაახლოებით 14% ზრდაა 2015 წელთან შედარებით;

2.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობს 5000 პირი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 5100 პირი;

მიღწეული მაჩვენებელი - სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით ისარგებლა 5400-ზე მეტმა პირმა, რაც მეტია მიზნობრივ მაჩვენებელზე.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;
- გაზრდილია 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში - 19.4 ათასამდე შემთხვევა, ხოლო ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა - 134;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - ბავშვთა ასაკის ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტები 100% სარგებლობს პროგრამული სერვისებით.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით მოცვა;
- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა დიალიზით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება, ორგანოგადანერგული პაციენტები იმუნოსუპრესული მედიკამენტებით, ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტები სისხლძარღვოვანი მიდგომით. შენარჩუნებულია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- განხორციელდა თირკმლის ტრანსპლანტაცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა: ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე - 2 319, პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე - 181 პაციენტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციართა მოცუვა: 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ჰემო და პერიტონეული დიალიზით. პროგრამაში ჩართულ იმ პაციენტთა რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ ამ სერვისის უზრუნველყოფას, გაზრდილია დაახლოებით 14%-ით წინა წელთან შედარებით.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა, ასევე ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; გაზრდილია ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 625 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 592;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინკურაბელური პაციენტების მოცვა 100%;

მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 895 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 1007. მოცულია სრულად 100%-ით.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები;
- ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება, ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;
- იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იყვნენ, ასევე იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება: ბენეფიციარების რაოდენობა - 149; შემთხვევების რაოდენობა - 669;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლები;

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია 2015 წლის სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა.

1.2.3.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება: მათ შორის სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რეფერალური დახმარების ფარგლებში შემთხვევების რაოდენობა - 31 000-ზე მეტი, დახმარება გაეწია 22600-ზე მეტ პაციენტს; სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა - 476 200-ზე მეტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოძახებების შესრულება - 100%;

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობა სრულადაა მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით; რეფერალურ შემთხვევებში უზრუნველყოფილია სამედიცინო ტრანსპორტირება.

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოფლის ექიმთან მიმართვები;
- ქვეპროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმები/ექთნების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);
- სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
- შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;
- უზრუნველყოფილია სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებები დამატებითი ფინანსური რესურსით; ასევე სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სოფლის ექიმთან მიმართების რაოდენობა - ერთ სულზე 8 ვიზიტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი- ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილია პირველადი ჯანდაცვის/ამბულატორიული მომსახურების უტილიზაცია; ვიზიტების რაოდენობა სამიზნე პოპულაციაში

მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართების რაოდენობამ შეადგინა 4.0, მაშინ როცა 2015 წელს უდრიდა 3.5-ს.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- მიმდინარეობდამოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს;
- გაიზარდა ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - პაციენტთა რაოდენობა - 7314; შემთხვევათა რაოდენობა - 9230;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევებიდან დაფინანსებული ბენეფიციარების ადეკვატური რაოდენობა

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 10.0 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი გამოკვლევები, ასევე სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება: სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის საერთო რაოდენობა - 7687;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება, მოცვა - 100%;

მიღწეული მაჩვენებელი - მოცულია სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება 100%-ით

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განისაზღვრება დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება, ასევე, აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 25 მაძიებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 60 მაძიებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 28.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა - 9 ერთეული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირდება 8 ერთეულით;

მიღწეული მაჩვენებელი -

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: - „საოჯახო მედიცინაში“, „შინაგან მედიცინასა“ და „პედიატრიაში“ დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამების ხანგრძლივობაა 3 წელი. მაძიებელთა პირველმა ნაკადმა მზადება დაიწყო 2015 წლის თებერვლიდან. შესაბამისად, ისინი მზადებას დაასრულებენ 2018 წლის თებერვალში. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დაწყების აუცილებელი პირობაა სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვება. სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება წელიწადში ორჯერ (საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია). შესაბამისად, სარეზიდენტო პროგრამებში ჩართული მაძიებლების პირველი ნაკადი მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში დასაქმდება 2018 წლის მე-3 კვარტლიდან;

3.საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა (რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დონეზე) - 22 ერთეული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირება 8 ერთეულით;

მიღწეული მაჩვენებელი -

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე: - „საოჯახო მედიცინაში“, „შინაგან მედიცინასა“ და „პედიატრიაში“ დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამების ხანგრძლივობაა 3 წელი. მაძიებელთა პირველმა ნაკადმა მზადება დაიწყო 2015 წლის თებერვლიდან. შესაბამისად, ისინი მზადებას დაასრულებენ 2018 წლის თებერვალში. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დაწყების აუცილებელი პირობაა სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვება.

სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება წელიწადში ორჯერ (საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია). შესაბამისად, სარეზიდენტო პროგრამებში ჩართული მაძიებლების პირველი ნაკადი მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში დასაქმდება 2018 წლის მე-3 კვარტლიდან;

1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;
- საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისები;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული მომხმარებელი;
- განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;
- საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;
- შემცირებულია სუბსტანდარტული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა ფარმაცევტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;

- გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრების ხარისხი;
- ტრეფიკინგის კუთხით გაზრდილია ცნობიერება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და პრობლემასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და დღის და სადღეღამისო მომსახურებებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით რეგიონებში და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო და სოციალური მომსახურებები

მიღწეული მაჩვენებელი - ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით;

2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება

მიღწეული მაჩვენებელი - დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - შერჩევით შემენილ ფარმაცევტულ პროდუქტებს შორის არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების წილის შემცირება (2015წ- 1.15%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე - 0.9%;

მიღწეული მაჩვენებელი - გამოვლენილი გაუვარგისებული, უხარისხო, სუბსტანდარტული, წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობამ შეადგინა 84 469 ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა);

4. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევების რისკის სტატისტიკური მაჩვენებელი

მიღწეული მაჩვენებელი - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო (141 ბენეფიციარი), ფსიქოლოგიური (147 ბენეფიციარი), იურიდიული დახმარებით (102 ბენეფიციარი), ასევე თავშესაფრებითა (260 ბენეფიციარი) და სხვა სერვისებით;

5. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა (რაოდენობა და გეოგრაფიული მოცვა)

მიღწეული მაჩვენებელი - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფილი და კმაყოფილი მოსახლეობა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ოპტიმალური განაწილების შედეგად, რეგიონული მასშტაბით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა თბილისი და ოკუპირებული ტერიტორია) სრულად დაფარვა.

1.4 სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

სამხედრო-სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა;
ხარისხიანი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა და სოციალური მხარდაჭერა;
მაღალი თანადგომის განცდა და მოტივაციის ამაღლება შეიარაღებული ძალებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები დაზღვეულები არიან გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტით;
ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება გაეწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებს, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებს და სამოქალაქო პირებს;
187 სამხედრო მოსამსახურე საკუთრებაში მიიღო საცხოვრებელი ბინა.

1.5. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილია სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია - 39,8% და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია- 22.6%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი 4 სამედიცინო დაწესებულება

მიღწეული მაჩვენებელი - დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია - 100% და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია- 50%; ხარაგაულში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები, შესრულებულია -100% . ლენტეხში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები, შესრულებულია - 100%. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბავშვთა კორპუსი შესრულებულია - 100%, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული და სასაწყობო შენობები შესრულებულია - 70%, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. დუისში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები - 90%, ქ. ზუგდიდის სკრინინგ-ცენტრის სამშენებლო სამუშაოები - 90%.

1.6. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი - 54 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ *სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური*

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- 2 476 ვეტერანს დაუფინანსდა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები, მათ შორის 59 ამპუტანტ ვეტერანს მაღალტექნოლოგიური პროტეზირება;
- გერმანული ფირმა „Ottobock“-ის სპეციალისტებმა, ადგილზე გასინჯეს 32 კიდურამპუტირებული ვეტერანი და შეურჩიეს მათთვის მისადაგებული თანამედროვე სათანადო დამხმარე/საპროთეზო საშუალებები.
- 2 638 ვეტერანზე მომზადდა შუამდგომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთჯერადი მატერიალური დახმარების და ჯანდაცვის სერვისების მისაღებად;
- 632 გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ორგანიზებულ იქნა 158 სხვადასხვა კულტურულ/სპორტულ/საგანმანათლებლო ღონისძიება;

1.7 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომზადებული სტანდარტები;
- რეგისტრირებულ სამუშაოს-მამიებელთა ზრდა;
- პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- მიმდინარეობდა შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;
- განხორციელდა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების მომზადება;
- შრომის ბაზრის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები ვებ-გვერდისა და ბეჭდვითი მასალების გავრცელების საშუალებით ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული მხარისათვის. შესწავლილია შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაცია; სამუშაო ძალის განვითარება ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად.

- მომსახურების მიმწოდებელ - სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა რაიონულ ცენტრში ხორციელდება ზოგადი (გუნდური და ინდივიდუალური) კონსულტაციები; შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემა (Worknet.gov.ge) ფუნქციონირებს; შეზუღდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისათვის დანერგლია შესაბამისი მექანიზმები; განვითარებულია საშუამავლო მომსახურება.
- რეგისტრირებულ სამუშაოს-მაძიებელთა რაოდენობა გაზრდილია;
- საშუამავლო მომსახურების შედეგად ათვისებულია მოძიებული ვაკანსიები. შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის სფეროში მომზადებული კადრები; შემუშავებული რეკომენდაციები;
- გაზრდილია გადამზადებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, ასევე სწავლების (სტაჟირების) პროცესში ჩართულ დამსაქმებელთა და პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა რაოდენობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 50 შემოწმება/კონსულტირება შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების,ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - იგეგმება 200 შემოწმება/კონსულტირება ჩატარება;

მიღწეული მაჩვენებელი - შრომის პირობების ინსპექტირების პროგრამის განხორციელების შედეგად შემოწმდა 187 ობიექტი. შემოწმების შედეგად დამსაქმებლებს მიეცათ წერილობითი რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან მიზნით. ასევე, „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის წესი“-ს ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ინსპექტირება ჩატარდა 98 კომპანიას;

2. საბაზისო მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტები-2;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 10 სტანდარტი;

მიღწეული მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადდა 10 სტანდარტი;

3.საბაზისო მაჩვენებელი - 45 000 რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი, 3500 მოძიებული ვაკანსია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლები - 10% ზრდა, ვაკანსიების - 1500 – 2000 ერთეულით გაზრდა;

მიღწეული მაჩვენებელი - რეგისტრაცია გაიარა 50 889 სამუშაოს მაძიებელმა-ზრდა 13%. დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა 3980 სამუშაო ადგილი- ზრდა 13.7%

4. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული: 10-15%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 15-22%;

მიღწეული მაჩვენებელი - წინასწარი მონაცემებით დასაქმდა 288 პროგრამით მოსარგებლე. საბოლოო დაზუსტებული მონაცემის თაობაზე ინფორმაცია მოწოდებული იქნება მ/წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

1.8 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

მიმაგრებული კონტიგენტის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

მიმაგრებული კონტიგენტი უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურებით;

საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დაფინანსებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი

მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსამსახურეთა რაოდენობა

მიღწეული მაჩვენებელი

სამედიცინო დაწესებულებებში დაფინანსებული სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის რაოდენობა ქვეყნის შიგნით - 1 393, ქვეყნის გარეთ - 72;

2. პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	506,561.5	506,561.5	507,867.6	507,867.6	0.0
29 01	შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება	492,713.2	492,713.2	494,404.6	494,404.6	0.0
27 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	134,551.6	134,551.6	134,154.9	134,154.9	0.0
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	104,000.0	104,000.0	103,950.8	103,950.8	0.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	64,885.4	58,996.4	64,537.4	58,918.6	5,618.8
29 06	საერთაშორისო თანამშრომლობა	39,168.6	39,168.6	39,159.5	39,159.5	0.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,500.0	47,500.0	47,453.2	47,453.2	0.0
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,393.7	35,393.7	35,048.9	35,048.9	0.0
29 07	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	45,430.6	34,228.0	44,320.8	35,187.4	9,133.4
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	18,525.0	18,525.0	17,933.4	17,933.4	0.0
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	20,219.5	20,219.5	20,154.1	20,154.1	0.0
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	15,000.0	15,000.0	14,999.7	14,999.7	0.0
30 02	ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	124,230.9	10,260.1	120,732.9	10,168.7	110,564.2
27 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	8,932.9	7,601.2	8,517.2	7,430.7	1,086.5
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	6,811.4	6,811.4	6,778.6	6,778.6	0.0
59 01	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	5,200.0	5,200.0	5,051.9	5,051.9	0.0
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	1,630.9	1,630.9	1,630.9	1,630.9	0.0

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,007.8	2,007.8	1,949.3	1,949.3	0.0
26 07	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	2,213.9	1,482.8	2,156.3	1,468.7	687.5
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	400.8	400.8	400.2	400.2	0.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	68,342.0	0.0	64,870.1	0.0	64,870.1
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	13,304.2	0.0	13,178.6	0.0	13,178.6
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,679.8	0.0	1,054.6	0.0	1,054.6
29 08	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	82,400.0	82,400.0	82,377.8	82,377.8	0.0
სულ		1,841,103.7	1,624,652.5	1,832,683.2	1,626,489.5	206,193.7

2.1 საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მაღალი დონე;
- ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების უკანონო იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა;
- კუსტარული კომბინირებული სამკურნალო საშუალებების მოხმარების კლების შენარჩუნებული მაჩვენებლები;
- კინოლოგიის სამსახურის განვითარებული შესაძლებლობები;
- ქბრზ სფეროში შემუშავებული შესაბამისი სტანდარტები;
- რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განვითარებული ინსტიტუციური შესაძლებლობები;
- ორგანიზებული დანაშაულის, მასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების თაობაზე ინფორმირებული ბიზნეს სექტორი;
- სამართალდამცავ სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის გაღრმავებული თანამშრომლობა;
- პოლიციის სტრუქტურებში ქალთა როლის გაძლიერება და წარმომადგენლობის გაზრდილი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილი ნაოსნობის უსაფრთხოება და დაცული ნაოსნობის წესები;
- საზღვაო სივრცეში სრულყოფილად განხორციელებული სამძებრო-სამაშველო ოპერაციები;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებების გაზრდილი რაოდენობა;
- პოლიციის ატაშეების წარგზავნის გზით სამართალდაცვით სფეროში გაღრმავებული საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების განვითარებული ინფრასტრუქტურა და დაკავებულთა გაუმჯობესებული პირობები;
- დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება;
- გაუმჯობესებული/დახვეწილი არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის, დაბრუნებისა და ქვეყნიდან გაძევების პროცედურები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- როგორც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ასევე სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- პარტნიორ სახელმწიფოებში დამატებით წარგზავნილი პოლიციის ატაშეები;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ დამატებით ინიცირებული და გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები;
- ქვეყნის მაშტაბით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ, ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები;
- ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- პოლიციის საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- საზღვაო სივრცეში სრულყოფილად განხორციელებული სამძებრო-სამაშველო ოპერაციები;
- განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაუმჯობესებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება და იდენტიფიცირებული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ნივთიერებების/მასალების სია;
მიღწეული მაჩვენებელი - ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება გადაეცა სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს;
2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სოციალურად დაუცველ ფენებში გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავებული და დახვეწილი დასაბეჭდი საინფორმაციო მასალების დიზაინი და შინაარსი;
3. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივად განხორციელებული/გამოძიებული საქმეების გაზრდილი მაჩვენებელი;
მიღწეული მაჩვენებელი - წინა წელთან შედარებით გაიზარდილი თანამშრომლობა - 24%;
4. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, რეაბილიტირებული დროებით მოთავსების იზოლატორები;
მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული სამინისტროს ინფრასტრუქტურის - 10%, ხოლო სასაზღვრო ინფრასტრუქტურის - 1.5%, მათ შორის დასრულებულია დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები თბილისსა და რეგიონებში;

5. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელებული პრევენციული კამპანიები (საინფორმაციო რგოლები, ბროშურები, რადიოგადაცემები, სხვა) და პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია;

მიღწეული მაჩვენებელი - „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტში“-ჩართულია მთელი საქართველოს საჯარო და კერძო როგორც ქართული, ისე არაქართულენოვანი სკოლების უმცროსკლასელები; რეგიონის 16 და თბილისის 5 საჯარო სკოლის 700-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთნენ საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ გამართული საინფორმაციო-ინტერაქტიულ შეხვედრებში;

6. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქვეყანაში უკონტროლო მიგრაციული პროცესების შემცირებული მაჩვენებელი, მინიმუმამდე შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში, ასევე სამძებრო-სამაშველო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელება საფრენი აპარატების, მოდერნიზებული და თანამედროვე საკომუნიკაციო-სანავიგაციო და ღამის ხედვის ხელსაწყოებით აღჭურვილი სწრაფმავალი კატარლების, მაღალი გამავლობის მანქანების, გადასატანი რადიოსადგურებისა და სხვა თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით;

მიღწეული მაჩვენებელი - აღკვეთილი სახელმწიფო საზღვრის დარღვევის მცდელობა - 40 ფაქტი (დაკავებულია 67 მოქალაქე), აღრიცხული საჰაერო სივრცის დარღვევა - 3 ფაქტი, საზღვაო სივრცეში დაფიქსირებული 231 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, გამოვლენილი სისხლის სამართლის დანაშაულის 4 ფაქტი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული დაახლოებით 2.4 მლნ ლარი;

9. **საბაზისო მაჩვენებელი** - შსს სისტემაში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი - 14%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შსს სისტემაში დასაქმებულ ქალთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - სამინისტროში განხორციელებული საშტატო საორგანიზაციო ცვლილებების მიუხედავად შენარჩუნებული მაჩვენებელი.

10. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სამინისტროს სისტემა;

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი სასაზღვრო პოლიციის რადიოკავშირების და ელექტრონული თვალთვალის კომპლექსური სისტემებისთვის 40 სექცია (10 კომპლექტი 900 ამპ.სთ, 24 V) მზის სისტემის სააკუმულატორო ბატარეა, შეძენილი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა - 50, შეძენილი პორტატული პლანშეტური კომპიუტერი - 100, გაცემული ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები - 1 863;

2.2 შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

პირადი შემადგენლობის ბრძოლის უნარიანობის და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ლოგისტიკური მარაგების სათანადო დონეზე შენარჩუნება;
თავდაცვითი საშუალებებით აღჭურვილი საქართველოს შეიარაღებული ძალები;
გაუმჯობესებული სამხედრო დაზვერვის სისტემა;
განვითარებული საცეცხლე მხარდაჭერის შესაძლებლობები;
მობილურობის, კონტრმობილურობის და ძალთა დაცვის გაუმჯობესებული შესაძლებლობები;
შეიარაღებული ძალების რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემა;
საჰაერო სივრცის კონტროლის, ჰაერსაწინააღმდეგო და ახლო საჰაერო მხარდაჭერის ამალგებული შესაძლებლობები;
სპეციალური ოპერაციების, სამხედრო პოლიციის და ლოგისტიკის გაუმჯობესებული შესაძლებლობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

სათანადო დონეზე შენარჩუნებული ლოგისტიკური მარაგები;
წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებებისა და ჩატარებული წვრთნების შედეგად გაუმჯობესდა თავდაცვის შესაძლებლობები;

2.3. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება;
- პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- ეფექტიანი რეაბილიტაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები და რეფორმები;
- პატიმართა უფლებების დაცვა და უკეთესი მოპყრობა უზრუნველყოფილია;

- შექმნილია და მიმდინარეობს ეფექტიანი სარეაბილიტაციო პროგრამები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის წლიურ ანგარიშში აღნიშნულია დადებითი ტენდენციების შესახებ პენიტენციურ სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით; კერძოდ, პენიტენციურ სისტემაში გარემონტდა და გაიხსნა ცენტრალური საავადმყოფო, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პატიმართა სამედიცინო მომსახურება; 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა N16 დაწესებულება, როგორც დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება; დაიწყო C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამის განხორციელება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში შენიშვნების შემცირება;

მიღწეული მაჩვენებელი - სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სახალხო დამცველის მიერ შეფასებულია დადებითად, მათ შორის

- ✓ პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შემუშავება/დამტკიცება და ერთ პატიმარზე ჯანდაცვის მიზნებისთვის გამოყოფილი გაზრდილი რესურსი;
- ✓ მსჯავრდებულთა შემცირებული რაოდენობა;
- ✓ C ჰეპატიტის მკურნალობის ღონისძიებების მიმდინარეობა;
- ✓ ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება;
- ✓ სიკვდილიანობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება;
- ✓ სუიციდის პრევენციის პროგრამა;
- ✓ ევროპის საბჭოს მიერ, 2016 წლის 13 აპრილს გამოქვეყნებულ შუალედურ ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გატარებული რიგი ღონისძიებები;
- ✓ სასჯელაღსრულების სფეროში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც ემყარება სწორ სტრატეგიულ ხედვას და ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას;
- ✓ ქალი პატიმრების შემცირებული რაოდენობა, შეესაბამისია დასავლეთ ევროპული ქვეყნების მაჩვენებლის;
- ✓ არასრულწლოვან პატიმართა და უვადოდ თავისუფლებაღკვეთილ პირთა შემცირებული რაოდენობა, რომელიც ამჟამად ევროპის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია;
- ✓ წინასწარ პატიმრობაში მყოფთა რაოდენობა და დანაშაულის მაჩვენებელი, რომელიც მნიშვნელოვნად დაბალია ევროპის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.
- ✓ მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის (WJP) კანონის უზენაესობის საერთო მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა ლიდერია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

2. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში მოქმედია 15 პენიტენციური დაწესებულება, აქედან 8 მათგანი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში განთავსებულია - 1 150 მ.შ 820 ზრდასრული მამაკაცი, 284 ქალი და 46 არასრულწლოვანი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებს შეესაბამება 9 დაწესებულება, 2 400 მსჯავრდებული და ბრალდებული;

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემაში მოქმედი 15 პენიტენციური დაწესებულებიდან 13 შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან და 2 (№7 და №12 დაწესებულებები) არადადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურის გამო არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში 13 დაწესებულებაში განთავსებული იყო - 9 297 ბრალდებულ/მსჯავრდებული, მათ შორის: 8 996 ზრდასრული მამაკაცი, 276 ზრდასრული ქალი და 25 არასრულწლოვანი.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

1. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში შენიშვნების შემცირება ან მატება ვერ აღწერს მიღწეულ შედეგს, რადგან რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება სისტემას არ შეუძლია სხვადასხვა ობიექტური მიზეზების, მათ შორის რიგ შემთხვევებში, არარელევანტურობის, სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად აქცენტი გაკეთებულია სისტემის მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სახალხო დამცველის მხრიდან;

2.3.1. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ზონის ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ინფორმატულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის სახელობო/პროფესიული სწავლებისა და განათლების მიღების უზრუნველყოფა, არასრულწლოვანი ბრალდებულები ჩართულნი არიან საკნის გარეთ მინიმუმ 4 საათიან აქტივობაში დღის განმავლობაში (განათლება, პროფესიული განათლება და ტრენინგები, სპორტი, სარეაბილიტაციო პროგრამები და ა.შ.); 2016 წელს

შემუშავებულია და მთავრობასთან ინიცირებულია პაკეტი უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით და პირველად საქართველოში იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც განთავსებულნი იქნებიან გათავისუფლებისთვის მომზადების ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება მიეცემათ უმაღლესი განათლების მიღების;

- შექმნილია დასაქმების კერები და საწარმოო ზონა, სადაც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა დასაქმება, ასევე მსჯავრდებულებს შექმნილი აქვს ყველა პირობა ინდივიდუალური საქმიანობისთვის (ხელნაკეთი ნივთების შემქნა-რეალიზაცია), ბრალდებულ/მსჯავრდებულებს სამინისტროს ონლაინ მაღაზიის მეშვეობით შესაძლებლობა აქვთ გაყიდონ მათ მიერ შექმნილი ნივთები და მიიღონ შესაბამისი საფასური პირად ანგარიშზე;
- შენარჩუნებულია ინფორმაციულობის ზრდა, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილი ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა -100%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% -სთვის;

მიღწეული მაჩვენებელი -ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100%-სთვის შენარჩუნებული სამჯერადი კვების რეჟიმი ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით;

2.საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულ/ბრალდებულები უზრუნველყოფილი არიან ჰიგიენური საშუალებებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი ყველა არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში;

მიღწეული მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის შენარჩუნებულია ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს დასაქმებულ ბრალდებულ მსჯავრდებულთა პროცენტულმა რაოდენობამ შეადგინა სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 5%; დასაქმდა საშუალოდ 537 მსჯავრდებული (როგორც სამეურნეო სამსახურში, ისე დასაქმების კერებში);

მიზნობრივი მაჩვენებელი - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

მიღწეული მაჩვენებელი - დასაქმებულ მსჯავრდებულთა 35%-ით გაზრდილი რაოდენობა 2015 წლის მონაცემთან შედარებით;

4. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიულ /სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტებში ჩართულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 18% -1 924 მსჯავრდებული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პატიმრების რაოდენობა 30%-ით გაზრდილია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიული, სახელობო, საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე მსჯავრდებულთა 31%-ით გაზრდილი რაოდენობა 2015 წელთან შედარებით.

2.3.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებული და შენარჩუნებულია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილია, შესაბამისი საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%, მ.შ: პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილია პენიტენციური სისტემის ყველა 15 დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებულთა, ასევე უზრუნველყოფილია პენიტენციურ სისტემაში გადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით პერიოდული სკრინინგი და მსჯავრდებულების ინფორმირება აღნიშნული დაავადების გადადების გზების თაობაზე. გადამდები დაავადების (ტუბერკულოზი) გამოვლენის შემთხვევაში დაავადებული პაციენტის განცალკევებით განთავსება. 2014 წელს სისტემაში რეგისტრირებულია ტუბერკულოზის 180 შემთხვევა (მ.შ. 83 ახალი -46%), 2015 წელს - რეგისტრირებულია ტუბერკულოზის 94 შემთხვევა(მ.შ. 37 ახალი -40%). აივ-ინფექციით ინფიცირებულია 93 პაციენტი, 70% ანტირეტრო მკურნალობის კურსშია ჩართული; აქედან 2015 წელს შემოსულია - 21 აივ ინფიცირებული. 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო პენიტენციურ სისტემაში C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფა და სოფოსბუვირით მკურნალობის პროგრამაში ჩართულია 150 პაციენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია: ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილ მსჯავრდებულთა 100%-სათვის, სისტემის 15 დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; შემცირებულია ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა პროცენტული რაოდენობა, მათ შორის სისტემაში გადადების პროცენტულ მაჩვენებელი; აივ-ინფექციით ინფიცირებულთა 100% სთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო მკურნალობის პროგრამა; C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებები და სოფოსბუვირით მკურნალობა ხელმისაწვდომია ამ მკურნალობის კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% სთვის;

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია: პენიტენციური სისტემაში განთავსებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% სათვის ეკვივალენტური სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ-ინფექციით ინფიცირებულთა 100% სთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო მკურნალობის პროგრამა; C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებები და სოფოსბუვირით მკურნალობა ხელმისაწვდომია ამ მკურნალობის კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100% სთვის.

2.3.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში; ახალი პენიტენციური დაწესებულების შენობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 80%-ით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასრულდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დაიწყება 14-21 წლამდე ახალგაზრდების ახალი დაწესებულების მშენებლობა 2016-2019 წლებში მინიმუმ 3 დაწესებულების დამატება (N14 დაწესებულება; ლაითური და 14-21 წლამდე ახალგაზრდების);

მიღწეული მაჩვენებელი - ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში მიმდინარეობს ახალი პენიტენციური დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები; დასრულებულია ახალი 14-21 წლამდე ახალგაზრდების პენიტენციური დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

2016 წელს ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა შეფერხდა 2015 წლის განმავლობაში ჩატარებული მშენებლობის ხარისხის დასადგენად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნი გამო. 14-21 წლამდე ახალგაზრდების პენიტენციური დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები დასრულდა დაგვიანებით 2016 წლის მესამე კვარტლის ბოლოს, შესაბამისად მშენებლობის სამუშაოების დაწყება შეფერხდა.

2.4 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პროგრამული კოდი 60 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სადაზვერვო და სხვა კაკონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება;
- სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოვლენილია მოსალოდნელი საფრთხეები და მიღებულია შესაბამისი ზომები.

2.5 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;

სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტურობის გაზრდა;

ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის შემუშავებული გეგმები და მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით საჭირო სიმულაციური ვარჯიშების და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა; ხანძრის საშიში ფაქტორების, მათი მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონე გაუმჯობესებულია;

გაზრდილია სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტურობა;

ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის გეგმები შემუშავებულია, ასევე შემუშავებულია მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით საჭირო სიმულაციური ვარჯიშები და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები;

ხანძრის საშიში ფაქტორების, მათი მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილია სხვადასხვა ობიექტები;

რეაბილიტირებული იქნა სახანძრო-სამაშველო ინფრასტრუქტურის - 20 %;

განახლდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა - 80 %.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საზოგადოებრივი კვლევების შედეგებში ასახული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;

მიღწეული მაჩვენებელი - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ამაღლებული ცნობიერება;

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - სახანძრო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებებსა და შესაბამისი სპეციალური ტექნიკისგამოყენებით საგანგებო სიტუაციების შედეგად 30%-მდე შემცირებული შესაძლო მატერიალური ზარალი;

მიღწეული მაჩვენებელი - სახანძრო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებებისა და შესაბამისი სპეციალური ტექნიკის გამოყენებით საგანგებო სიტუაციების შედეგად 30%-ით შემცირებული მატერიალური ზარალი;

3. მიზნობრივი მაჩვენებელი - გასულ წლებთან შედარებით, დასახლებულ პუნქტებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში ხანძრებისა და საგანგებო ინციდენტების შემთხვევის 20-30%-ით შემცირებული მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - გასულ წლებთან შედარებით, დასახლებულ პუნქტებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში ხანძრებისა და საგანგებო ინციდენტების შემთხვევი შემცირებულია - 25 %-ით;

2.6 საერთაშორისო თანამშრომლობა (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;

შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა.

მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება.

საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 2016 წელს წარმატებით შესრულებული საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები;

მისიებში მონაწილეობის შედეგად გაუმჯობესებული საბრძოლო გამოცდილება;

თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების შედეგად, ხელი შეეწყო საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს როლის გამოკვეთას და ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული რეფორმების საერთაშორისო მასშტაბით გაზიარებას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს კონტრიბუციის დადებითად შეფასება ნატოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ნატოს ქვეყნებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ; მშვიდობის მხარდამჭერ მისიებში საქართველოს წვლილის დადებითად შეფასება ევროკავშირის ხელმძღვანელობის და წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ; გაეროსა და ეუთოსგან საქართველოს მიერ განხორციელებული ქმედებების დადებითად შეფასება.

მიღწეული მაჩვენებელი - ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში ერთი ბატალიონით და ერთი ქვეითი ასეულით მონაწილეობა; ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ერთი ქვეითი ასეულით მონაწილეობა; ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა; ნატოს ექსპერტების მიერ ქვედანაყოფების მზადყოფნა და მოქმედებები დადებითად შეფასდა.

2.7 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა;
- დანაშაულის (მათ შორის არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადდა რეკომენდაცია დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნების, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით პროპორციულ და ადეკვატურ სანქციებთან დაკავშირებით;
- გაუმჯობესდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულ პირებს შორის კოორდინაციის მექანიზმი;
- მინიმალური ხარვეზით მიმდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დანერგვა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროკურორების საქმიანობის ინდივიდუალური შეფასებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს გაიდლაინების შემუშავება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და ზოგადი და ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება;
მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა: 4 ანალიზი/ანგარიში (2 განრიდებაზე, 1 კოორდინატორების საქმიანობაზე, 1 სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელებზე), 2 კვლევა (დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა კრიმინოლოგიური კვლევა და ოჯახური ძალადობის კვლევა), 1 სახელმძღვანელო (სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო), 1 რეკომენდაცია (საპროცესო შეთანხმების დროს გამოსაყენებელი პირობების შესახებ);
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჩატარდა 110 პრევენციული ღონისძიება საქართველოს რეგიონებში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად, 150 პრევენციული ღონისძიების ჩატარება;
მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის მიზნით „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 178 ღონისძიება;

2.8 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

განვითარებული სამხედრო მრეწველობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

კახეთის რეგიონში სეტვასაწინააღმდეგო სისტემის ამუშავების შედეგად ხელი შეეწყო წვიმის უხვი ნალექით გამოწვეული მოსლოდნელი ზარალის შემცირებას;

გადამუშავდა, განადგურდა და დაიშალა სხვადასხვა ვადაგასული მართვადი და უმართავი საავიაციო რაკეტები, კორექტირებადი, ბეტონმსხვრევადი, მანათობელი, პრაქტიკული, აგიტაციური და ცეცხლგამჩენი საავიაციო ბომბები, სხვადასხვა პიროტექნიკური საშუალებები და საავიაციო მოწყობილობები, ტროტილის შემცველი საარტილერიო გასროლები და ჭურვები;

შემცირდა საქართველოს ყოფილ სამხედრო ბაზებზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ უკონტროლოდ დატოვებული ვადაგასული საბრძოლო მასალები;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ მიმართულებებში ჩატარებული გამოყენებითი კვლევების შედეგად ხელი შეეწყო სამხედრო მრეწველობის განვითარებას;

2.9 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა;
- საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა;
- ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემცირდა საგამოძიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსები, ქვეყანაში ამაღლდა გამოძიების ხარისხი, ასევე იკლო ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროში დანაშაულთა რაოდენობამ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - გამოვლენილი 1143 ერთეული ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის დანაშაული და ყველა საქმეზე დაიწყებული წინასწარი გამოძიება; 2015 წელს 822 პირის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა; 700 პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 372 საქმეზე შეწყვეტილი წინასწარი გამოძიება.

მიზნობრივი მაჩვენებელი - პრევენციული მექანიზმების მეშვეობით აღკვეთილი დანაშაულების რაოდენობა; გადასახადების თავის არიდების ფაქტებისა და საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე საქონლის გაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემცირებული რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - გამოვლენილი 1024 ერთეული ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის დანაშაული და ყველა საქმეზე დაიწყებული წინასწარი გამოძიება; 2016 წელს 720 პირის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა; 500 პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 248 საქმეზე შეწყვეტილი წინასწარი გამოძიება.

2.10 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

შეიარაღებული ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა. აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული არასაყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები საინჟინრო ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

შეიარაღებული ძალების გაუმჯობესებული სამხედრო, საყოფაცხოვრებო, არასაყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი, სასწავლო და კვებითი ინფრასტრუქტურა, საინჟინრო ქსელები და მატერიალური ქონების შენახვის პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

მიზნობრივი მაჩვენებელი - გამართული სამხედრო ინფრასტრუქტურა, გარემონტებული სასადილოები და გაუმჯობესებული სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები;

მიღწეული მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 51 ობიექტზე, სამშენებლო სამუშაოები - 15 ობიექტზე. სამუშაოები დამთავრდა 18 ობიექტზე.

2.11 ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების დაცვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

დასაცავი ობიექტები აღიჭურვა თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სასტემებით; რეაბილიტირებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურის - 1.5%;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უსაფრთხოების მაღალი დონით უზრუნველყოფილი ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საქართველოს საპატრიარქო და სხვა დასაცავი ობიექტები;

მიღწეული მაჩვენებელი - უზრუნველყოფილი ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა დასაცავი ობიექტების უსაფრთხოების მაღალი დონე;

2.12. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- განვითარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი იფუნქციონირებს სრულფასოვნად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იფუნქციონირებს გამართულად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად);
- პრობაციონერები ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას;
- ამოქმედდება ქალთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელსაც ბაზაზე მოხდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია რესოციალიზაცია;
- არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების დანერგვა ხელს შეუწყობს შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულებას.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- განვითარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (აშენდა ახალი ოფისი და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი ფუნქციონირებს სრულფასოვნად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება ფუნქციონირებს გამართულად, სარეაბილიტაციო სამმართველო ფუნქციონირებს ეფექტურად);
- პრობაციონერები ჩართულები არიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას;

- დასრულებულია მუშაობა კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც, უქმდება სასჯელის ერთ-ერთი სახე - თავისუფლების შეზღუდვა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული რეგულაციები. თავისუფლების შეზღუდვის ჩანაცვლება მოხდება ახალი, ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელით - შინაპატიმრობით, შესაბამისად, ქალთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება აღარ ამოქმედდა;
- შინაპატიმრობა არასრულწლოვნების მიმართ ეფექტურად ხორციელდება, ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო პროგრამებში 2015 წელს ჩართული 5896 პირობით მსჯავრდებულები, რაც საერთო რაოდენობის (18 253) 32,3%. პირობითი მსჯავრის მქონე 960 ქალი მსჯავრდებულიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია 326 ანუ 33,9%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს ჩართულია პირობით მსჯავრდებულების 10%; 2017 წელს - 12%; 2018 წელს - 15% 2019 წელს - 17%;

მიღწეული მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული 4 821 პირობით მსჯავრდებული, რაც საერთო რაოდენობის (21 453) 22,49%-ია;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს შემოსული და აქტიური საქმეების საერთო რაოდენობა 18 253 საქმე. პრობაციის თითო ოფიცერზე საშუალო მოდის დატვირთვა 107 საქმე და შესრულებულია ევროკავშირის რეკომენდაცია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ისეთი ქვეყნების, როგორიცაა აშშ, კანადა, დანია, სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები, ზელგია, პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა მოდის 80 საქმემდე. პრობაციონერთა რაოდენობის მატების ტენდენციიდან გამომდინარე პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 150 საქმეს;

მიღწეული მაჩვენებელი - 2015 წელს შემოსული და აქტიური საქმეების საერთო რაოდენობა - 21.4 ათასზე მეტი საქმე. პრობაციის თითო ოფიცერზე საშუალოდ 125 საქმე და შესრულებული ევროკავშირის რეკომენდაცია;

3. საბაზისო მაჩვენებელი - პირველი შინა პატიმრობის აღსრულება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს 200 არასრულწლოვანი მსჯავრდებული ერთდროულად უზრუნველყოფილია შინა პატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით;

მიღწეული მაჩვენებელი - პრობაციის ეროვნულ სააგენტოს აქვს შესაძლებლობა 200 არასრულწლოვანი უზრუნველყოს ელექტრონული მონიტორინგის აღსრულებისათვის საჭირო სამაჯურებით და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით. სააგენტოში აღსასრულებლად გადაცემულია შინაპატიმრობის 9 საქმე. შინაპატიმრობის სასჯელის მოხდა კი დაასრულა 5-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

რისკებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით ინდივიდუალური შეფასების შედეგად, გამოვლინდა იმაზე მეტი პირობით მსჯავრდებულის ჩართვის საჭიროება ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად გაიზარდა პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა;

დასრულებულია მუშაობა კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც, უქმდება სასჯელის ერთ-ერთი სახე - თავისუფლების შეზღუდვა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული რეგულაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ქალთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობის საჭიროება.

2.13 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელი;

საქართველოს შეიარაღებული ძალების გამართული მართვისა და კონტროლის საშუალებები.

შეიარაღებულ ძალებში ერთიანი ფუნქციონირებადი პროგრამების ქსელის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დახვეწა;

თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების სისტემების განვითარება და მოდერნიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები

არსებული კავშირგაბმულობის სისტემების გაუმჯობესებული ფუნქციონირება;

ჩატარებული სამუშაოების შედეგად ხელი შეეწყო შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელის ჩამოსაყალიბებად;

ამოქმედდა კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი 24/7.

2.14 საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში, შესრულებული იქნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა;

მიღწეული მაჩვენებელი - სამხედრო ავიაცია უზრუნველყოფილ იქნა საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით.

2.16 დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ყოფილი პატიმრების დასაქმების ზრდა;
- დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის მიმართულებებში ჩართული ახალგაზრდების ოდენობის ზრდა;
- განრიდებულ ახალგაზრდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მინიმალური მაჩვენებელი;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა ყოფილი პატიმრების დასაქმების მაჩვენებელი;
- გაიზარდა დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის მიმართულებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- განრიდებულ ახალგაზრდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი შემცირდა მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის სექტემბრის მონაცემებით, ცენტრის მხარდაჭერით სულ დასაქმდა 46 ბენეფიციარი და ოჯახის წევრი; მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად იგეგმება აღნიშნული მაჩვენებლის 10 ერთეულით ზრდა;

მიღწეული მაჩვენებელი - დასაქმდა 47 ბენეფიციარი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2016 წელს დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობა დაგეგმილზე 9 ერთეულით ნაკლებია, რაც გამოწვეულია არსებულ ვაკანსიებთან ბენეფიციარების კვალიფიკაციის შეუსაბამობით;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით თბილისსა და გორში გაიმარჯვა და დაფინანსდა 16 ბიზნეს-იდეა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად იგეგმება 15-მდე ყოფილ პატიმრის ბიზნეს-იდეის დაფინანსება;

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 57 ბიზნეს-იდეა;

3. საბაზისო მაჩვენებელი - დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ქვეპროგრამის სხვადასხვა მიმართულებით 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით ჩართულია 1631 მონაწილე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2019 წლამდე ყოველწლიურად 1500 ახალი მონაწილის ჩართვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიმართულებით პროექტებში 2016 წელს საქართველოს მასშტაბით 1 534 უნიკალური მონაწილე ჩაერთო;

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულების პროექტ „ახალგაზრდულ კლუბში“ ჩართულია 130 ბენეფიციარი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს იგეგმება პროექტში ჩართული ბენეფიციარების 270-მდე ზრდა; 2017 წელს - 470-მდე; 2018 წელს - 570-მდე; ხოლო 2019 წელს - 670-მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით ახალგაზრდული კლუბის მიერ ჩატარებულ აქტივობებში ჩაერთო 290 ბენეფიციარი;

5. საბაზისო მაჩვენებელი - განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით, დადასტურებული განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არ აღემატება 5%-ს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად იგეგმება არაუმეტეს 15%-იანი მაჩვენებლის შენარჩუნება (განმეორებითი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის არსებულთან მიმართებაში ზრდა განპირობებულია იმით, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში უკვე შესაძლებელია ჩაერთოს არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე დანაშაულში მხილებული ახალგაზრდა. ამასთან, 2016 წლის პირველი იანვრიდან, განრიდებას დაექვემდებარებიან არა მხოლოდ 18 წლამდე, არამედ 21 წლამდე ახალგაზრდები);

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის გამო შეწყდა ხუთი არასრულწლოვნის და ერთი 18-დან 21-წლამდე პირის შემთხვევაში (რაც განრიდებულების რაოდენობის 1%-ზე ნაკლებია).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილების ალბათობის მაჩვენებლის გადაცდომის მიზეზს წარმოადგენს განმეორებითი დანაშაულის დათვლის მეთოდოლოგია. ამ ეტაპზე მოცემულია მხოლოდ 2016 წლის განმავლობაში ხელშეკრულების მიმდინარეობის დროს ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი. მიმდინარეობს საერთაშორისო ექსპერტთან კონსულტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რის ფარგლებშიც შემუშავდება განმეორებითი დანაშაულის დათვლის ერთიანი მეთოდოლოგია. სავარაუდოდ, 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს პროკურატურასთან ურთიერთთანამშრომლობით დაზუსტდება მონაცემები.

2.17 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

შემუშავებული თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად დაგროვილი მარაგები და მათი მოვლა-პატრონობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობები შენახულია და აღრიცხულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სახელმწიფო რეზერვების დაგროვება, შესაბამისად მათი სახელმწიფო რეზერვში მიღება (ჩაწყობის და შენახვის სათანადო პირობების შექმნა);

მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფო რეზერვში ჩაწყობილ მატერიალურ ფასეულობებზე განხორციელდა შესაბამისი ოპერაციები, აღრიცხვა/მონიტორინგი;

2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სრულყოფილად წარმოებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციები;

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შედგენაზე;

2.18 სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 30 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დახვეწილი სანებართვო და სარეგისტრაციო პროცედურები;
- მოსახლეობისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება;
- საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებულ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ სატრანსპორტო საშუალების და/ან ტრაქტორის საერთაშორისოდ აღიარებული პროცედურების დაცვით მართვის უფლების მინიჭების შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავებული მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ქუჩის პირობებში ჩაბარების წესები და ეტაპები;
- მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ქუჩის პირობებში ჩაბარების მიზნით განსაზღვრული ავტომანქანების სახეობები და რაოდენობები;
- შეძენილი A, A1, B1, BE, C, CE და DE მართვის მოწმობის კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
- გარემონტებული საექსპერტო/დათვალიერების შენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სატრანსპორტო საშუალების და/ან ტრაქტორის მართვის უფლების ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებული გამოცდების მეშვეობით მიღება;

მიღწეული მაჩვენებელი -

- განსაზღვრული მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდების ეტაპები;
- შერჩეული შესაბამისი მახასიათებლების მქონე სატრანსპორტო საშუალებები და განსაზღვრული მათი რაოდენობები;

- შეძენილი 2 ცალი მოტოციკლეტი, 2 ცალი კვადროციკლი, 2 ცალი მიკროავტობუსი მისაბმელით და 2 ცალი სატვირთო მანქანა მისაბმელით;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ რეგისტრაციამდე საჭირო პროცედურების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღებისთვის ადაპტირებული გარემო.

2.19 საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 30 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - 112

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- „112“-ის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- უზრუნველყოფილია მომსახურების უწყვეტობა და უსაფრთხოება;
- გადაუდებელი დახმარების შესახებ ზარების ეფექტური მართვა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება;
- თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამშრომელთათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - „112“-ის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;

მიღწეული მაჩვენებელი -

- აშენებული სსიპ - 112-ის ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ცენტრი ქ. რუსთავში;
- შშმ პირებისთვის ადაპტირებულია ინფრასტრუქტურა;
- ახალ ალტერნატიულ ცენტრში განთავსებული ტრენინგ ცენტრი და მუდმივ რეჟიმში განხორციელებული სასწავლო პროცესი; უზრუნველყოფილია მომსახურების უწყვეტობა და უსაფრთხოება.

3 პრიორიტეტი – რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	537,478.5	537,478.5	529,797.2	529,797.2	0.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	254,702.3	233,929.3	259,531.1	245,985.6	13,545.4
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა- რეაბილიტაცია	165,783.5	165,783.5	166,081.2	166,081.2	0.0
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	169,800.0	169,800.0	154,381.7	154,381.7	0.0
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	31,130.9	30,635.9	30,374.3	30,002.6	371.7
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	27,978.2	27,978.2	27,973.1	27,973.1	0.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	6,770.0	6,770.0	6,491.0	6,491.0	0.0
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია	5,200.0	5,200.0	4,999.7	4,999.7	0.0
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,200.6	1,175.6	1,196.5	1,175.3	21.2
24 07	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია	80.0	80.0	48.9	48.9	0.0
24 09	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,339.2	0.0	4,218.8	0.0	4,218.8
24 12	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	7,966.6	0.0	3,546.3	0.0	3,546.3
24 13	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,672.1	0.0	3,389.7	0.0	3,389.7
24 11	სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	7,880.0	0.0	6,990.6	0.0	6,990.6
სულ		1,223,982.0	1,178,831.0	1,199,020.1	1,166,936.3	32,083.8

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ხიდები;
- სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია;
- მოდერნიზებული და განვითარებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზა (E-60 ავტომაგისტრალი).

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- რეაბილიტირებული და შეკეთებული საავტომობილო გზა;
- რეაბილიტირებული ობიექტები;
- გაუმჯობესებული გამტარუნარიანობა ავტომაგისტრალზე;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 516 კმ; ხიდი - 53; მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - საავტომობილო გზა 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 30 ობიექტი; აშენებული-რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 84 კმ; ხიდი - 60.

მიზნობრივი მაჩვენებელი - მშენებლობა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 259 კმ; ხიდი - 34; მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - საავტომობილო გზა 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 16 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 25 ობიექტი; მშენებლობა-რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია: საავტომობილო გზა - 32 კმ; ხიდი - 23.

მიღწეული მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 232 კმ; ხიდი - 34; მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - საავტომობილო გზა 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 10 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 23 ობიექტი; აშენებული-რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 32 კმ; ხიდი - 23.

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი - 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ხიდები;
- სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტირებული და შეკეთებული საავტომობილო გზა;
- რეაბილიტირებული ობიექტები;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 516 კმ; ხიდი - 53;
მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 259 კმ; ხიდი - 34;
მიღწეული მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 232 კმ; ხიდი - 34;
2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - 6 000 კმ.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - 6 000 კმ.
მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - 6 000 კმ.
3. საბაზისო მაჩვენებელი - სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 25 ობიექტი.
მიზნობრივი მაჩვენებელი - სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 16 ობიექტი.
მიღწეული მაჩვენებელი - დასრულებული ნაპირსამაგრი სამუშაოები - 10 ობიექტზე (3 გარდამავალ და 7 ახალ ობიექტზე).
4. საბაზისო მაჩვენებელი - სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 30 ობიექტი.
მიზნობრივი მაჩვენებელი - სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 25 ობიექტი.
მიღწეული მაჩვენებელი - სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 23 ობიექტზე.

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:
ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი - 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- მოდერნიზებული და განვითარებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზა (E-60 ავტომაგისტრალი).

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესებული გამტარუნარიანობა ავტომაგისტრალზე;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 84 კმ; ხიდი - 60.

მიზნობრივი მაჩვენებელი - მშენებლობა-რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია: საავტომობილო გზა - 32 კმ; ხიდი - 23.

მიღწეული მაჩვენებელი - აშენებული-რეკონსტრუირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 32 კმ; ხიდი - 23.

3.2 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში;
- გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები მოსახლეობისათვის;
- ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში;
- გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - აშენებული და რეაბილიტირებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტები.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება დონორების მიერ დასაფინანსებელ ახალ პროექტებზე.

მიღწეული მაჩვენებელი - აშენებული-რეაბილიტირებული-მოდერნიზებული: საავტომობილო გზა - 83.7 კმ; ხიდი - 3 ერთეული; 300 ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი; ტურისტული ინფრასტრუქტურა - 5 ერთეული; ობიექტი - 9 ერთეული; დასრულებული პროექტირება - 13 ობიექტი; შეძენილი და გადაცემული - 102 ერთეული კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და 400 ერთეული მყარი ნარჩენების კონტეინერი; შეძენილი - 8 ერთეული ბულდოზერი, 2 ერთეული მძიმე ტექნიკა (დამტვირთველები) და 2 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანები.

3.3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებული პროცესი;
- მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები;
- განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ზოგიერთ მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდა წყლის მომარაგება;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და ორგანიზაციებისთვის წყალმომარაგების მიწოდება.

მიზნობრივი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები; დღე-ღამის განმავლობაში გაზრდილი წყლის მიწოდების ხანგძლივობა 24 სთ-მდე.

მიღწეული მაჩვენებელი - 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით; რეაბილიტირებული: წყალსადენი - 6 ერთეული; წყალმომარაგების სისტემა - 1 ერთეული; შეძენილი 1 ერთეული ციცხვიანი კარიერული მტვირთავი მანქანა.

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.1 რეგიონული ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება;
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- „ხორგას“ პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელია ქვეყანამ განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში, ასევე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.
- „ქსანის“ ქვესადგურის რეაბილიტაციის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ელექტროენერგიის ძაბვის პარამეტრების ხარისხი, ასევე ახალი რეაქტორი წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილურობისა და 500კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებზე წარმოქმნილი რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაში.
- „მარნეულის“ და „მენჯის“ ქვესადგურების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოქსელის საიმედოობისა და უსაფრთხოების გაზრდას, ახალი გენერაციის ობიექტების ქსელთან მიერთებას და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დასრულებული ახალი 220/110 კვ ძაბვის ქვესადგური „ხორგა“;
- რეაბილიტირებული 500/220/110კვ ქვესადგური „ქსანი“;
- 220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგური რეაბილიტირებული და გაძლიერებული 500კვ ფრთით;
- რეაბილიტირებული 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგური.

3.4.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02 01)

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ ხაზის მიმდინარე მშენებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დასრულებულია ხაზის დეტალური პროექტირება.
- განსაზღვრულია ანძების საბოლოო კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის.
- მომზადდა და დამტკიცდა განსახლების სამოქმედო გეგმის ნაწილი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის დეტალური პროექტი.
- ანძების კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის.
- განსახლების სამოქმედო გეგმები 0-20კმ და 20-40კმ მონაკვეთებისთვის.

ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02 02)

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.3 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) (პროგრამული კოდი 36 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ახალი 500/220 კვ ძაბვის ქვესადგური.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამონტაჟებულია 8 ანძა, მომზადებული 118 ფუნდამენტი 190-დან.

3.5 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

3.5.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.
- ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.

- ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.
- საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.
- თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.
- ექსპლუატაციაში შევიდა ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგური;
- გაიცა ლიცენზიები და ოპერირება დაიწყო; ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგურმა, „შაქშაქეთი ჰესმა“, „საგურამო ჰესმა“, ქართლის ქარის ელექტროსადგურმა, „დარიალი ჰესმა“.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 10 ათასამდე ახალ აბონენტს;
- ლენტეხის, ბაღდათის, დუშეთის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ის სოფლები რომლებსაც არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია. ელექტროენერგიით უზრუნველყოფილია დამატებით ახალი 113 აბონენტი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.
- ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- 2016 წლის განმავლობაში ნავთობზე დაფიქსირებული დაბალი საერთაშორისო ფასების გამო, ინვესტორები არ იყვნენ დაინტერესებულები საძიებო პროექტებით საქართველოში. ასეთი, ტენდენციის ფონზე თავისუფალ სალიცენზიო ბლოკებზე ტენდერის გამოცხადება ჩაითვალა მიზანშეუწონლად.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელდა გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყველა მომპოვებელი სალიცენზიო ბლოკის ინსპექტირება;

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა;
- ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა;
- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების 26 მემორადნუმი.
- 148.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ახალი ელექტროგენერაციის სადგურები

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ დამტკიცებულ იქნა 14 განაცხადი, მათ შორის: 2 ბურღვის პროექტი; 2 განაცხადი ნავთობისა და გაზის ნარჩენების ჩაჭირვებაზე; 8 განაცხადი ჭაბურღილების დროებითი (სამ თვის ვადით) კონსერვაციაზე; 1 განაცხადი მეორე ლულის ბურღვაზე; 1 განაცხადი ნარჩენების განთავსებაზე.
- შემოწმებულ იქნა 5 სალიცენზიო ნავთობმომპოვებელი ბლოკის ინსპექტირება.

3.5.2 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხის გადაწყვეტა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 10 ათასამდე ახალ აბონენტს;

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ბუნებრივი აირის პოტენციური 35 000 ახალი აბონენტი; 113 სოფლის გაზიფიცირება (3 წლის პერიოდში)

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბუნებრივი აირის პოტენციური 10300-მდე ახალი აბონენტი;

3.5.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ზამთრის პერიოდში მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები 4300 მდე აბონენტი

3.6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მიმართ საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაზრდილი ინტერესი;
- გაზრდილი გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენლების რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას;
- ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნა, რომელიც მორგებულია სხვადასხვა ინტერესის ტურისტზე;
- ახალი და გაუმჯობესებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან გაღრმავებული თანამშრომლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაიზარდა საქართველოს (როგორც ტურისტული ქვეყნის) მიმართ ინტერესი, რაც გამოიხატება ვიზიტორების რაოდენობის ზრდაში და ასევე, საქართველოს ტურიზმის ოფიციალური ვებ-გვერდის (georgia.travel) უნიკალური მომხმარებლების გაზრდილ რაოდენობაში;
- გადამზადდა 1 270 ტურიზმის სფეროში დასაქმებული კერძო სექტორის წარმომადგენელი;
- შეიქმნა 5 ახალი ტურისტული პროდუქტი: რეგიონალური სამთო საფეხმავლო ბილიკების ქსელის პროექტი, წყალტუბოს შშმ პირთათვის პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი, ღვინის გზის განახლების პროექტი, „სპა კატალოგი“ (ინფორმაცია გამაჯანსაღებელი კურორტების შესახებ) და „კახეთის სასკოლო კატალოგი“ (სკოლის მოსწავლეებისათვის კახეთის რეგიონში რეკომენდირებული ტურების შესახებ);
- გაუმჯობესებულ და მოწყობილ იქნა მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: საფეხმავლო ბილიკები სვანეთში, მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირება შშმ პირთათვის, სასურათე ჩარჩოები გუდაურსა და ბაკურიანში, ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები 4 ქალაქში, სადაც ნაჩვენებია რუკა ადგილმდებარეობის მინიშნებით;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 22 საერთაშორისო გამოფენაში და მოეწყო 106 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებისათვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 8 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა 3 922 376 ვიზიტორი, წლის ბოლომდე მოსალოდნელია - 5 900 000 ვიზიტორი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა - 2019 წლისათვის მოსალოდნელია 20 %-იანი ზრდა 2015 წელთან შედარებით;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს დაფიქსირდა 6 350 825 ვიზიტორი, რაც 2015 წელთან შედარებით მეტია 7.6%-ით. გარდა ამისა დაფიქსირდა 3 591 255 უნიკალური ვიზიტორი ვებ-გვერდზე, რაც 2015 წელთან შედარებით მეტია 10.1%-ით.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის 8 თვის მდგომარეობით ქვეყანას მონაწილეობა აქვს მიღებული 18 საერთაშორისო გამოფენაში და განხორციელებული აქვს სარეკლამო აქტივობები 9 ქვეყანაში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის და მისი ტურისტული პოტენციალის ცნობადობა - 2019 წლისათვის მოსალოდნელია სხვადასხვა სარეკლამო აქტივობები 15 ქვეყანაში;
მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნა მიღებული 22 საერთაშორისო გამოფენაში. ზაფხულის პერიოდში სარეკლამო აქტივობები განხორციელდა 16 ქვეყანაში, ხოლო ზამთარში - 12 ქვეყანაში.

3.7 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი - 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები;
- შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი;
- გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა;
- განხორციელდა რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.); გაზრდილი კვალიფიციური კადრები მუნიციპალიტეტებში; შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა; საქართველოს კანონის პროექტი - 176, საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები; საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები; საერთაშორისო ხელშეკრულებები.

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს კანონის პროექტი - 174; საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - 76; საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი - 282; საერთაშორისო ხელშეკრულება - 58; ტრენინგი გაიარა 80 მოხელემ; სასწავლო პროგრამების

რეესტრში რეგისტრირებულია 105 სასწავლო პროგრამა; დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.).

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.8 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი

3.8.1 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU) (პროგრამული კოდი 36 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, ელექტროენერგიის საპროექტო პარამეტრზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესს გააჩნია სრული საპროექტო სიმძლავრე;
- ვარდნილჰესის ჰესის მუშაობის საიმედოობა;
- უზრუნველყოფილია ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის გატარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვარდნილჭესების კასკადის პირველი საფეხურის ნომინალურ პარამეტრებზე გაყვანა, ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა 600 მლნ. კვტ. სთ.მდე. სადგურის საიმედოობის ამაღლება. ენგურჭესის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობა. ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ენგურჭესს გააჩნია: საპროექტო სიმძლავრე 1300 მგვტ. ელექტროენერგიის გამომუშავება 4.2 მლრდ. კვტ.სთ.

3.9 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები;
- ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც ასახულია ნორმატიულ აქტებში;
- გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან; ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ხელშეწყობა;
- სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესებული უსაფრთხოების მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადებულ იქნა 2014/34/EU „ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“ ევროდირექტივის შესაბამისი ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;
- მომზადებულ იქნა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის პროექტი;

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, რაც შეესაბამება ევროპულ ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის მოთხოვნებს;
- სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესდა უსაფრთხოების მაჩვენებელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 3 ტექნიკური რეგლამენტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროდირექტივებთან დაახლოებული 16 ახალი ქართული ტექნიკური რეგლამენტი: 2016წ. - 2 ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება; 2017წ. - 5 მოქმედი და 11 შემუშავებული; 2018წ. - 11 რეგლამენტის დამტკიცება; 2019წ. - 11 რეგლამენტის ამოქმედება;
მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 2014/34/EU „ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“ და 305/2011 „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ევრორეგულაციასთან დაახლოებული ქართული ტექნიკური რეგლამენტების პროექტები.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად შემოწმებული პროდუქტების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 12.5%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროდირექტივების შესაბამისად დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით შემოწმებული პროდუქტების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით: 2016წ. - 12.5%; 2017წ. - 31.3%; 2018წ. - 31.3%; 2019წ. - 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს არ განხორციელდა პროდუქტების შემოწმება ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით;
 ცდომილების მაჩვენებელი - ცდომილება მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წელს შემუშავდა ევროდირექტივების შესაბამისად მხოლოდ ორი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლის დამტკიცება განხორციელდება 2017 წელს.
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად ჩატარებული შემოწმებების შედეგად შემცირდება ავარიული/უბედური შემთხვევების არეალი 87.5%-მდე";
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016წ. - 87.5%-მდე; 2017წ. - 68.7%-მდე; 2018წ. - 68.7%; 2019წ. - 0%. * არეალი - იგულისხმება ობიექტები, რომლებიც მოიცავენ ძველ ტექნიკურ რეგლამენტებს;
მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე (შახტები, მადაროები და მღვიმეები) გაუმჯობესდა უსაფრთხოების მაჩვენებელი. 2016 წელს მოხდა 2 უბედური შემთხვევა, რას 2015 წლის მაჩვენებელზე ერთი შემთხვევით ნაკლებია

3.10 ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვის გაზრდა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოსყიდულია კერძო საკუთრებაში არსებული 17 მიწის ნაკვეთი

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ გამოსყიდული იქნება 40-მდე ობიექტები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში გამოსყიდული იქნება ყველა საჭირო ობიექტი და დასრულდება აღნიშნული პროექტის განხორციელება;

მიღწეული მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში სულ გამოსყიდულია მიწის ნაკვეთების 99%, მათ შორის 2016 წელს - 16%;

ცდომილების მაჩვენებელი - 2016 წელს პროექტის ფარგლებში 105 გამოსასყიდი ნაკვეთიდან გამოსყიდულ იქნა მხოლოდ 17 მიწის ნაკვეთი, ვინაიდან დანარჩენ ნაკვეთებზე ვერ განხორცილდა გამოსყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოების/პროცედურების შესრულება მათზე პირველადი რეგისტრაციის არ არსებობის გამო, რომელიც წარმოადგენს გამოსყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების დასაწყებად აუცილებელ წინაპირობას.

3.11 სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

- საქართველოში საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლების, საჰაერო ხომალდების საექსპლუატაციო ეფექტურობისა და საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, ამოქმედდა საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის (PBN) დანერგვის გეგმა;
- მიმდინარეობდა ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელშეწყობის პროექტის განხორციელება;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ავსტრიულ კომპანია „Wucher Helikopter GmbH“-სა და გერმანულ კომპანია „HTM Helicopter Travel Munich GmbH“-ზე გასცა ფრენების განხორციელების ნებართვა ზამთრის საკურორტო ზონებში, ხოლო ვერტმფრენების თურქულ კომპანიას მიენიჭა მესტიის საკურორტო ზონაში ფრენების განხორციელების ნებართვა.
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაიცა საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებართვები რამოდენიმე ქვეყნის ავიაკომპანიებზე (მათ შორის: „Air Astana“ (ყაზახური ავიაკომპანია); „Qeshm Air“ , „Zagros Airlines“ და „ATA Airlines“ (ირანული ავიაკომპანია); „Ural Airlines“ (რუსული ავიაკომპანია)), რამაც გაზარდა ფრენის სიხშირე ალმატა-თბილისი-ალმატას, თეირანი-თბილისი-თეირანის, თეირანი-ბათუმი-თეირანისა და ეკატერინბურგი-ბათუმი-ეკატერინბურგის მიმართულებებით. გარდა ამისა, უკრაინულ ავიაკომპანია „დარტს“ მიეცა ნებართა კიევი-თბილისი-კიევის საჰაერო ხაზზე რეგულარული საჰაერო ფრენების შესრულებაზე;
- სააგენტოს მიერ გაიცა საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვა დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანია „პოზედა ეარლაინზე“, რომელმაც დაიწყო ოპერირება როსტოვი-თბილისი-როსტოვის საჰაერო ხაზზე. გარდა ამისა, ავიაკომპანია „ყატარის ავიახაზებს“ მიეცა ნებართვა დოჰა-თბილისი-დოჰას მიმართულების ფრენის სიხშირის გაზრდაზე, რიც შედეგად ავიაკომპანიის მიერ დამატებულ ოთხ ახალ სიხშირეზე ხორციელდება რეგულარული ფრენები უშუალოდ დოჰასა და თბილისს შორის შუალედური პუნქტის (ბაქოს) გავლის გარეშე;
- პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყების მიზნით საქართველოსა და თურქმენეთის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ავიასაწარმოებს ეძლევათ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განხორციელების უფლება საქართველოსა და თურქმენეთის ნებისმიერი დანიშნულების პუნქტებს შორის (ხორციელდებოდა მხოლოდ დედაქალაქებს შორის);
- სააგენტოს მიერ უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერირების მოწესრიგებასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობისა და დრონების მფლობელთა პოზიციების გაცნობის მიზნით, სააგენტოში გაიმართა პირველი ღია შეხვედრა. გარდა ამისა, სააგენტოს ინიციატივით გაიმართა კონფერენცია საქართველოს საჰაერო სივრცეში უპილოტო საჰაერო ხომალდების უსაფრთხო ოპერირებისა და მათი მონიტორინგის საკითხებთან დაკავშირებით;
- აეროდრომ „ნატახტარზე“ კომპანია „Vanilla Sky“-ის მასპინძლობით მოეწყო უპილოტო საჰაერო ხომალდების ღია საჩვენებელი ფრენები, რომელიც მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგულირების და მონიტორინგის აუცილებლობის თაობაზე;
- სააგენტომ უმასპინძლა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინირებული ვალიდაციის აუდიტს (ICVM). მისიის ფარგლებში, აუდიტორების მიერ შემოწმდა სააგენტოს მიერ საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების სერტიფიცირებისა და

ზედამხედველობის პროცესი 4 მიმართულებით (საავიაციო კანონმდებლობა (LEG), საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების ზედამხედველობა (OPS), საჰაერო ხომალდების ვარგისობის ზედამხედველობა (AIR) და ორგანიზაციული საკითხები ნაწილობრივ (ORG)). აუდიტორთა ჯგუფის მიერ სააგენტოში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მონრეალში შეკრებილმა SSC ვალიდაციის კომიტეტმა ქვეყანას მოუხსნა „წითელი ალმის“ სტატუსი;

- ევროკავშირის TWINNING-ის პროექტის ფარგლებში გაიმართა მმართველი კომიტეტის რიგით მესამე სხდომა და ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით დასაწერგ ევროპულ რეგულაციებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები;
- სააგენტოსა და „China Southern Airlines“ შორის გაიმართა ერთგვარი მოლაპარაკებები, რის შედეგად ავიაკომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ჩინეთიდან საქართველოს მიმართულებით ახალი დანიშნულების პუნქტის დამატების თაობაზე (რეგულარულ ფრენები პეკინი-ურუმჩი-თბილისის მიმართულებით);
- მიმდინარეობდა მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, კერძოდ:
 - ✓ დაასრულდა მუშაობა საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და კლასიფიკაციის წესზე და დამტკიცდა მთავრობის დადგენილება „საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ახდენს საქართველოს საჰაერო სივრცის კლასიფიკაციის ჰარმონიზირებას ევროპულ საჰაერო სივრცის კლასიფიკაციასთან;
 - ✓ დამტკიცდა „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესი“ და „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე განათების უზრუნველყოფის წესი“;
- მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა ომალოს ყოფილი აეროდრომის ტერიტორიის პირველადი შესწავლა (შეფასდა საჰაერო მისადგომები, დაბრკოლებები, არსებული რელიეფი და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სავარაუდო განთავსების კურსები);
- მინაწილობა იქნა მიღებული ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოში (EASA) გამართულ პანევროპული პარტნიორობის რიგით მე-7 სხდომაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა ტრადიციულად, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის EASA-ს ახალი პროექტებისა და საკანონმდებლო ინიციატივების გაცნობა და ასევე, აღნიშნულ ქვეყნებში ევროპული რეგულაციების დანერგვის კუთხით მიღწეული პროგრესის თაობაზე ინფორმაციის გაზიარება;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტო პირველად დამკვირვებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მმართველი საბჭოს სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა მომავალი წლის სტრატეგია, გეგმები, დარგის წინაშე მდგარი რეგიონალური გამოწვევები, სამოქმედო პროგრამები და ევროპული საკანონმდებლო ინიციატივები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ქვეყანაზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულება:
 - ✓ საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან და სტანდარტებთან;
 - ✓ უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

- ✓ საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- იდენტიფიცირებულია 75 ევროპული რეგულაცია საავიაციო სექტორისთვის, საიდანაც პრიორიტეტულად განისაზღვრა 20-მდე რეგულაცია და მიმდინარეობდა მათზე მუშაობა სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად; სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებელი გაიზარდა 64,4 %-მდე;
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ოფიციალური დასკვნის თანახმად, საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ზედამხედველობის თვალსაზრისით საქართველოს საერთო მაჩვენებელმა შეადგინა 87.8% (2008 წლის ICAO-ს აუდიტის მონაცემებით მაჩვენებელი შეადგენდა 58%-ს);
- საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჩიკაგოს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის იდენტიფიცირებულია 6 დანართის ტრანსპოზიციის აუცილებლობა, რომელიც დასრულდება მიმდინარე 3 წლის მანძილზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლისათვის იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებელია 56%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო აერნოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებლის გაუმჯობესება 63%-მდე;
მიღწეული მაჩვენებელი - იკაოს სტანდარტების ეფექტური დანერგვის მაჩვენებელი გაიზარდა 64,4 %-მდე;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს იდენტიფიცირებულია ევროპული რეგულაციების 87%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო აერნოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის იდენტიფიცირებული იქნება რეგულაციების რაოდენობა 100%-ით;
მიღწეული მაჩვენებელი - იდენტიფიცირებულია 75 ევროპული რეგულაცია.
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობაა 20 ერთეული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო აერნაოსნობა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - 2019 წლისათვის გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობა იქნება 31 ერთეული;

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობაა 25 ერთეული;

3.12 სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 12)

✓ პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით მომზადდა: ტექნიკური რეგლამენტი „გარკვეული კატეგორიის მრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ“ და ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ“;
- ქ.ბათუმში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოების ექსპერტთა ორმხრივი შერეული კომისიის სხდომა, სადაც განიხილულ იქნა როგორც ორ ქვეყანას შორის, ასევე მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანისას არსებული და ბოლო დროს წარმოქმნილი პრობლემები;
- ქ.თბილისში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოების ექსპერტთა ორმხრივი შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული ტვირთების გადაზიდვის შესახებ შეთანხმების პროექტის განხილვისა და შეჯერების მიზნით. აღნიშნული შეთანხმების მიზანს წარმოადგენს თანამედროვე სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვების სისტემის განვითარება საგზაო სისტემის დამატების გზით, რამაც უნდა გაამარტივოს საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა და მოიტანოს დამატებითი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებელი, შექმნას მნიშვნელოვანი წინაპირობას ხელშემკვრელ მხარეებს შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის;
- გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირის (IRU) აკადემიის წევრი ქვეყნების აკრედიტირებული სასწავლებლების ხელმძღვანელ პირებთან. განხილული და დამტკიცებული იქნა სატრანსპორტო სფეროში ახალი სწავლების პროგრამები და მეთოდოლოგია. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „კარიერული პერსპექტივების საერთაშორისო ტრანსპორტის ინდუსტრიაში“;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. პარიზში გამართულ საავტომობილო ტრანსპორტის მუშა ჯგუფის სხდომაში. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „ხარისხის ქარტიის“ საქართველოში დანერგვის შესახებ, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის საავტომობილო სისტემის ფორმირებას, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, გადაზიდვების არეალის გაფართოებას, კონკურენტუნარიანი გადამზიდველის ჩამოყალიბებას, ევროპის ბაზარზე დამატებითი კვოტების მოპოვებას და შემოსავლების ზრდას;
- CPC მენეჯერების მოსამზადებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის ჩატარდა სრული სალექციო კურსი (120 აკადემიური საათი) საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებით (გადამზადდა 31 მენეჯერი.);
- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელმა 217 მძღოლმა გაიარა სრული კურსი ციფრული ტაქოგრაფის შესახებ;

- სააგენტოს მიერ გაიცა:
 - ✓ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის 40 700-მდე ორმხრივი ნებართვა; 655 ECMT-სისტემის ნებართვა; 102 საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანის მრავალჯერადი ნებართვა და 45 600 ფირნიშის ბლანკი;
 - ✓ ECMT-ს სერტიფიკატის 1 291 კომპლექტი, მათ შორის: სატვირთო ავტომობილის გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი – 566; მისაბმელის (ნახ. მისაბმელის) გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი – 575; სატვირთო ავტომობილის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი - 19; მისაბმელის (ნახ. მისაბმ.) ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი – 131;
 - ✓ დაშვების მოწმობები განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების განსახორციელებლად 706 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაიზრდება სატვირთო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების არეალი და მათი უსაფრთხოების დონე;
- განახლდება ავტოპარკი;
- ჩამოყალიბდება ძლიერი, ტექნიკურად და ფინანსურად გამართული, მაღალი ხარისხის მომსახურების განმახორციელებელი დარგში ოპერირებადი საწარმოები;
- გაიზრდება ქართველ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა;
- ხელი შეეწყობა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას;
- განვითარდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- დასახლებულ პუნქტებში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის, როგორც იაფი გადაადგილების საშუალების განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა სახმელეთო სატრანსპორტო გადაზიდვები;
- განახლდა სატვირთო გადაზიდვებში მომუშავე ავტოპარკის ნაწილი;
- 217 მძღოლმა გაიარა სრული კურსი ციფრული ტაქოგრაფის შესახებ, რაც განაპირობებს უსაფრთხოების მაჩვენებლის ზრდას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გადაზიდვების ოდენობა, სამგზავრო გადაყვანების სერვისი - 26 000;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გადაზიდვების ოდენობის, სამგზავრო გადაყვანების სერვისის და არეალის ზრდა 40 000-მდე;
მიღწეული მაჩვენებელი - სატვირთო და სამგზავრო გადაყვანებთან დაკავშირებით გაცემულია 40 700-მდე ნებართვა.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს 20%-ით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან 40% - ით;
მიღწეული მაჩვენებელი - ავტოტრანსპორტის და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით გაუმჯობესებულია 25%-ით;
 ცდომილების მაჩვენებელი - ავტოტრანსპორტის და საგზაო ინტრასტრუქტურის გაუმჯობესება ძირითადად დამოკიდებულია კერძო ინვესტიციებზე. 2016 წელს ვერ მოხერხდა აღნიშნული კუთხით საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრება.
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი შეადგენს 10%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებლის გაზრდა 20%-მდე;
მიღწეული მაჩვენებელი - საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით გაუმჯობესებულია 20%-ით.

3.13 სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (პროგრამული კოდი 24 13)

✓ პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური

- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხარდასაჭერად საზღვაო სანავიგაციო რუკების წარმოების პროცესში გამოყენებული გეოდეზიური მონაცემების ოპერატიულად და მაღალი სიზუსტით მიღების მიზნით, სამსახური აღჭურვილ იქნა გეოდეზიური ხელსაწყო-ტაქსომეტრით და მასზე ინტეგრირებული GNSS მიმღებით, აგეგმვისა და დაკვალვის პროგრამული უზრუნველყოფით. აღნიშნული ხელსაწყოს მეშვეობით შესაძლებელია ობიექტის ადგილმდებარეობის სამ განზომილებიან სივრცეში განსაზღვრა, რის მეშვეობით ტექნიკური პერსონალი ღებულობს ზუსტ მონაცემებს სანაპირო ზოლის მყარი წერტილებიდან;
- საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლება-განახლების უზრუნველსაყოფად შეიქმნა სანავიგაციო ნიშნების დასაკომპლექტებელი და ჩასანაცვლებელი მარაგები (მეტალის ქერქეჭელები, სარყეები, რკინის შიდა ბჯენიანი ჯაჭვები);
- მცურავი საშუალებების გამართული მუშაობისათვის ჩატარდა დიდი ჰიდროგრაფიული კატარღის გეგმიური რემონტი და მცირე კატერის სამღებრო-პროფილაქტიკური სამუშაოები;
- ყულევის პორტში ზღვის ტალღების სისტემის დაზუსტებული შესწავლისათვის, საშტორმო შეტყობინებების სწორი განსაზღვრისა და ზღვაში მეტეოროლოგიური პირობების ცვლილებების ზუსტი ფაქტიური და პროგნოზული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მომხმარებელამდე დროული მიწოდების მიზნით, განთავსდა ოკეანოგრაფიულ-მეტეოროლოგიური ქერქეჭელა (მასზე განთავსებული

სენსორები გადმოსცემს ზღვის კონკრეტულ რაიონში წყალქვეშა დინებების მიმართულებას და სიჩქარეს, ასევე ზღვის რყევის ცვალებადობას სანტიმეტრული სიზუსტით და მეტეო პირობების ფაქტიურ მდგომარეობას);

- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური გაწევრიანდა შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაცია-ში (IALA);
- ჰიდროგრაფიული სამსახურის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებს მიზნით, სინოპტიკურ განყოფილებას ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ჰიდრო-მეტეოროლოგიური ტრენინგ-კურსები ოდესის სახელმწიფო ეკოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ. გარდა ამისა, სამსახურის კარტოგრაფმა დიდ ბრიტანეთში გაიარა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული კარტოგრაფიის B კატეგორიის სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო სამსახურის თანამშრომელმა - შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის IALA-ს შერჩევით სანავიგაციო ნიშნების მართვის (Aids to Navigation Management) ტრენინგი, რომელიც გაიმართა ჩინეთში IALA-ს მსოფლიო აკადემიის (IALA WORLD WIDE ACADEMY) და ჩინეთის საზღვაო უსაფრთხოების (CHINA MSA) ადმინისტრაციის ორგანიზებითა და უზრუნველყოფით;
- თანამშრომლების სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მოწესრიგდა შიდა ინფრასტრუქტურა, ჩატარდა შუქურის მორიგე ტექნიკოსების დამხმარე შენობის რეკონსტრუქცია და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროებზე დაინერგება თანამედროვე სანავიგაციო საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა);
- უსაფრთხო ნაოსნობა საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში;
- მეტეოროლოგიური და ნავიგაციური ცვლილებების შესახებ შესაბამისი უწყებების ინფორმირება;
- მომზადებული კვალიფიციური კადრები;
- საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენება ზღვაზე ლიმიტაციის საკითხების გადასაწყვეტად.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სანავიგაციო საშუალებები ჩანაცვლდა ახალი თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით. საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე განთავსდა სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობა;
- ყულევის პორტში ზღვის ტალღების სისტემის დაზუსტებული შესწავლისათვის, სამტორმო შეტყობინებების სწორი განსაზღვრისა და ზღვაში მეტეოროლოგიური პირობების ცვლილებების ზუსტი ფაქტიური და პროგნოზული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მომხმარებელამდე დროული მიწოდების მიზნით განთავსდა ოკეანოგრაფიულ-მეტეოროლოგიური ქერქეჩელა;
- შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული წყლების და პორტების საზღვაო რუკები ინტერნაციონალური კოდირებით. სამსახური აღიჭურვა გეოდეზიური ხელსაწყო-ტაქეომეტრით, მასზე ინტეგრირებული GNSS მიმღებით, აგეგმვისა და დაკვალვის პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც მემვეობით შესაძლებელია ობიექტის ადგილმდებარეობის სამ განზომილებიან სივრცეში განსაზღვრა;

- ჰიდროგრაფიული სამსახურის სინოპტიკური განყოფილების თანამშრომლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია ჰიდრო-მეტეოროლოგიური კუთხით, კარტოგრაფმა გაიარა კარტოგრაფიის B კატეგორიის სავალდებულო სასწავლო კურსი დიდ ბრიტანეთში და ერთმა თანამშრომელმა - შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის IALA-ს შერჩევით სანავიგაციო ნიშნების მართვის (Aids to Navigation Management) ტრენინგი ჩინეთში;
- სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური გაწევრიანდა შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციაში (IALA).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობა განთავსებული; რომლებიც დღისა თუ ღამის საათებში წარმოადგენენ ორიენტირს პორტში შემოსასვლელი თუ გამსვლელი გემებისათვის. სანავიგაციო ნიშნებით ხდება ზღვაზე ნაოსნობისათვის სახიფათო ადგილების შემოსაზღვრა და ასევე, ნავსადგურის შესასვლელი ფორვატორის ჩარჩოების კიდეების აღნიშვნა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო ნაოსნობა - სანავიგაციო საშუალებების შემენა-ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით; სანავიგაციო საშუალებების იდეალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ტექნიკური მომსახურების ჩატარება გეგმით გათვალისწინებული არსებული სქემით; საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობის დაგეგმარება, განთავსება, ტექნიკური მომსახურება უსაფრთხო ნაოსნობისათვის. სანავიგაციო ნიშნებზე საერთაშორისო სტანდარტებით მინიჭებული მახასიათებლების კონტროლი (კონსტრუქციის ფორმა, პარამეტრები, შეფერილობა, ოპტიკური მანათობელი აპარატის გამოკრთომის ფერი, სიხშირე, ხედვის სიშორე და ა.შ.); მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავსება უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში;
მიღწეული მაჩვენებელი - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების იდეალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით ჩატარდა ტექნიკური მომსახურება გეგმით გათვალისწინებული არსებული სქემით.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვაში განთავსებულია მეტეოროლოგიური-ოკეანოგრაფიული ტივტივა, ასევე სანავიგაციო ზოლზე (ხმელეთზე) განთავსებული მეტეოროლოგიური სენსორებით ხდება საზღვაო მეტეოროლოგიის დაკვირვება. ფაქტიური მონაცემები ზღვის მღელვარების, ქარის სიჩქარის, ზღვის დინებების შესახებ მიეწოდება გემის კაპიტნებს, პორტის უსაფრთხოების სამსახურს, პორტების სადისპეჩროებს, სამაშველო სამსახურებს და ა.შ. თანამგზავრიდან მიღებული რუქების დამუშავების შედეგად დადგენილი ახლო დროის პროგნოზი რამოდენიმე საათით ადრე გაფრთხილების სახით, ასევე გადაეცემა გემის კაპიტნებს, პორტის უსაფრთხოების სამსახურს, პორტების სადისპეჩროებს, სამაშველო სამსახურებსა და ა.შ.;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო ნაოსნობა - სამსახურის ბალანსზე არსებული ტექნიკა დანადგარების მოვლა-შენახვა მოსალოდნელი რთული მეტეოპირობების ოპერატიული მიწოდების თვალსაზრისით, ასევე ყულევის ნავსადგურისთვის მეტეოროლოგიური-ოკეანოგრაფიული ტივტივის შემენა;
მიღწეული მაჩვენებელი - ყულევის პორტში განთავსდა ოკეანოგრაფიულ-მეტეოროლოგიური ქერქეჭელა.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად იქმნება ქაღალდის რუკები, ასევე სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომელიც უზრუნველყოფს გემების კაპიტნებისათვის უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვაო რუკების ზონების ლიმიტაცია - სამსახურის ბალანსზე არსებული მცურავი საშუალებებისა და მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვა, რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე, კადრების გადამზადება და სერტიფიცირება;
მიღწეული მაჩვენებელი - კარტოგრაფიული განყოფილების მოდერნიზაციის, ახალი დანადგარებისა და პროგრამების შეძენის შედეგად შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული წყლების და პორტების საზღვაო რუკები ნაციონალური კოდირებით. ამ ეტაპზე საჭიროა აღნიშნული რუკებისათვის კლასიფიკაციის საერთაშორისო INT კოდის მინიჭება, რაზედაც მიმდინარეობს მოლაპარაკება საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციასთან (IHO).
4. **საბაზისო მაჩვენებელი** - „ნავიგაციური ტელექსის საშუალებით დღე დამის განმავლობაში 3 საათის ინტერვალით 6 ჯერ ხორციელდება 490KHZ სიხშირეზე საზღვაო გაფრთხილებების გადაცემა. გადამცემი სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მოსალოდნელი რთული მეტეოროლოგიური პირობების ოპერატიულად მიწოდებას საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში არსებული გემებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო ნაოსნობა, კვალიფიციური კადრები - გადამცემი სისტემის ნავტექსის (ნავიგაციური ტელექსის) გამართული მუშაობის მხარდაჭერა. კადრების გადამზადება და სერტიფიცირება;
მიღწეული საბოლოო შედეგები - მომზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 12 თანამშრომელმა.

3.14 სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 11)

✓ პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

- საკანანმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დარეგისტრირდა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული სამი იახტა;
- სააგენტოში დაინერგა ახალი სისტემა მეზღვაურთათვის კომპეტენციის, კვალიფიკაციის სერტიფიკატებისა და სხვა სერტიფიკატების (მეზღვაურის წიგნაკის გარდა) მიღებასთან დაკავშირებული განცხადებების შესატანად და აგრეთვე, ახალი SMS შეტყობინების სერვისი მათ მიერ შეტანილ განაცხადზე გადაწყვეტილების გასაგზავნად;
- დაინერგა გემთმფლობელებისათვის 24/7 მომსახურება, რომლის საშუალებით გემთმფლობელი ნებისმიერ დროს შეძლებს დროშის მომსახურების კუთხით კონსულტაციის გავლას კომპეტენტურ პირებთან;
- გამოცხადდა კონკურსი საზღვაო ფორუმის „MARITIME GEORGIA“-ს ორგანიზებისათვის;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ათენში გამართულ საზღვაო გამოფენა-კონფერენცია „POSIDONIA 2016“-ში. აღნიშნული გამოფენის საერთაშორისო მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველო ღონისძიებაზე წარსდგა მასშტაბური ეროვნული პავილიონით, სამომავლოდ ხელს შეუწყობს საქართველოს საზღვაო სფეროს პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, გაზრდის ქართული დროშის ცნობადობას უცხოელ გემთმფლობელებს შორის და სააგენტოს დაეხმარება ახალი გემების ქართული დროშის ქვეშ მოზიდვაში;

- საქართველოს ნავსადგურებში ამოქმედდა გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ნავსადგურებში უსაფრთხო ნაოსნობას, ხელს შეუწყობს საზღვაო სამაშველო ოპერაციების განხორციელებას და ხელს შეუწყობს ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლის ზრდას;
- დასრულდა დროშის კონტროლის და გემების სახელმწიფო რეგისტრაციის ელექტრონული ბაზის მოდიფიკაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სააგენტოს ვებ-გვერდიდან გემის მოწმობების დამოწმება (ონლაინ ვერიფიკაცია). აღნიშნული რეესტრის საშუალებით სააგენტოს მიერ აღიარებულ აგენტებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ უცხო ქვეყნის გემების დროებითი რეგისტრაცია საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში;
- ჩატარდა საქართველოს ნავსადგურების კომპლექსური შემოწმება;
- სააგენტომ გამართა საერთაშორისო საზღვაო ფორუმი, რომლის მიზანი იყო საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნისა და ლოგისტიკური ცენტრის, სახელმწიფო საზღვაო დროშის და ქართველ მეზღვაურთა პოპულარიზაცია. ფორუმის ფარგლებში გამართა საერთაშორისო საზღვაო სემინარი თემაზე „ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკა“, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის, გლობალური გარემოს დაცვითი პლატფორმის და IMO-ს გლობალურმა პროექტმა GLOMEEP გამართა საერთაშორისო სემინარი თემაზე „გემების ენერგოეფექტურობა“ (დაესწრო IMO-ს 15 წევრი სახელმწიფო).

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოება;
- უსაფრთხო ნაოსნობა საქართველოს ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში;
- მაღალკვალიფიციური ქართველ მეზღვაურებზე მოთხოვნის გაზრდა;
- გამართული საზღვაო კანონმდებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაიხვეწა საზღვაო კანონმდებლობა, კერძოდ:
 - ✓ ინიცირებულ იქნა „სარეგისტრაციო მოსაკრებლებლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის კანონპროექტები;
 - ✓ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით დაინერგა: „ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე“ 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივა; 2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/EC დირექტივა „სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ“; 2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა;
 - ✓ შემდგომი რატიფიცირების მიზნით გადაითარგმნა შემდეგი კონვენციები: „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია; „სატვირთო მარკის 1966 წლის საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული 1988 წლის პროტოკოლი“; „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ“ კონვენცია, 2001 წ.; „საზღვაო შრომის კონვენცია, 2001“;

- ✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის TRACECA საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება II-ის ფარგლებში, 2015-2016 წლებში შემუშავდა საზღვაო შრომის კონვენციიდან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“ (ინგლისურ ენაზე)
- განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დარეგისტრირდა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული ხუთი იახტა და ერთი კატარა და შიდა ნაოსნობაში ჩართული 300-მდე ახალი მცურავი საშუალება;
- გაიზარდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ქართველ მეზღვაურებზე;
- საკრუინგო კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გამოიკვეთა 8%-იანი ქართველი მეზღვაურების დასაქმების ზრდა. 2015 წელთან შედარებით დასაქმდა 400 მეტი მეზღვაური.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სერთიფიცირებული მეზღვაურების რაოდენობა - 60%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სერთიფიცირებული მეზღვაურების რაოდენობა 2016- 2019 წლებში სავარაუდოდ გაიზრდება 21%-30 %-ით და შეადგენს 90%-ს;
მიღწეული მაჩვენებელი - სერთიფიცირებული მეზღვაურების რაოდენობა 2016 წლის განმავლობაში გაიზარდა 1 005-ერთეულით, რაც წარმოადგენს 11%-იან ზრდას 2015 წელთან მიმართებაში.

4. პრიორიტეტი – განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
32 02	ზოგადი განათლება	580,051.0	577,391.0	578,220.9	576,446.7	1,774.3
32 04	უმაღლესი განათლება	416,247.9	111,166.8	379,829.5	114,085.1	265,744.5
32 06	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	79,568.9	79,541.8	79,064.8	79,064.8	0.0
32 07	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	62,750.0	62,750.0	62,364.4	62,364.4	0.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	69,018.6	65,238.5	69,133.8	66,502.6	2,631.3
32 03	პროფესიული განათლება	52,925.0	31,336.6	48,723.0	31,474.0	17,249.1
29 02	სამხედრო წვრთნა და განათლება	19,535.1	18,787.6	19,338.3	18,677.5	660.8
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	35,309.5	17,370.5	28,408.5	17,336.9	11,071.5
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	21,258.4	18,234.7	21,195.8	18,405.5	2,790.3
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,490.7	7,490.7	7,482.9	7,482.9	0.0
30 03	სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6,885.4	6,284.2	7,164.4	6,586.1	578.3
58 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	6,508.1	6,508.1	5,951.6	5,951.6	0.0
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,615.6	2,485.0	4,048.7	2,429.3	1,619.4
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,531.0	1,500.0	1,471.5	1,447.4	24.1
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,557.5	1,095.0	1,352.9	890.7	462.2
27 03	სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,405.4	1,405.4	1,443.7	1,443.7	0.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	439.7	439.7	0.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	362.0	352.0	326.3	326.3	0.0

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
64 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	8,706.2	0.0	7,799.1	438.2	7,360.9
24 10	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	6,277.4	392.6	6,122.7	425.3	5,697.5
სულ		1,382,453.6	1,009,780.4	1,329,882.6	1,012,218.6	317,664.0

4.1 ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ/ა(ა)იპ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ყველა მოქალაქისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქართული და უცხოური ენის სწავლების ხელშემწყობი და სხვა ღონისძიებების შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა განათლების დონე;
- გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხი და ამაღლდა მასწავლებელთა, დირექტორთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2014-2015 წლებში მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება.

მიღწეული - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია აუცილებელი ფინანსური რესურსებით, მოსწავლეები - სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სამუშაო რვეულებით, სასკოლო ტრანსპორტის პროგრამა ხორციელდება შეუფერხებლად;

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლეების 50%-ის ჩართულობა სასკოლო და სპორტულ ღონისძიებებში, მოსწავლეების 20%-ის მონაწილეობა ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეების 70%-ის ჩართულობა სასკოლო და სპორტულ ღონისძიებებში, მოსწავლეების 30%-ის მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადებში;
 მიღწეული - მოსწავლეები ჩართულნი იქნენ სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 10 838 მოსწავლემ, საიდანაც გამოვლინდა 121 გამარჯვებული მოსწავლე;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროცესების სრულყოფა;
 მიღწეული - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეებს მოთხოვნის/საჭიროების შესაბამისად გაეწიათ კვალიფიცირებული მომსახურება;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდება, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა 100%-ის უზრუნველყოფა შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით, სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან/და დღის მომსახურებით (ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციართა განათლებაზე და განვითარებაზე ზრუნვა);
 მიღწეული - 1 600-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციარი 9 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით, სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან/და დღის მომსახურებით.

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
დაგეგმილი შუალედური შედეგები
 - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა აუცილებელი დაფინანსებით;
 - მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
მიღწეული შუალედური შედეგები
- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილ იყო ვაუჩერული დაფინანსებით და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ შესაბამისი განათლება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - შესაბამის სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 100% უზრუნველყოფილ იყო აუცილებელი დაფინანსებით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამის სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 100% უზრუნველყოფილ იქნება აუცილებელი დაფინანსებით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით.

მიღწეული მაჩვენებელი - საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით ეროვნული სასწავლო გეგმის სრულად განხორციელებისათვის.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- პროფესიული სტანდარტების რევიზია და დანერგვა;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა;
- სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლების, დირექტორების, პროფესიული განათლების მასწავლებლების) ეტაპობრივი პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით, კარიერული წინსვლა და განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- სკოლის შიდა შეფასების ჯგუფების და ფასილიტატორების მომზადება (ტრენინგები, კონსულტირება);
- ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლება, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში.

მიღწეული შუალედური შედეგები

- შემუშავდა პროფესიული სტანდარტების დოკუმენტი;
- დაინერგა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესაბამისი ეტაპი;
- ამაღლებულ იქნა სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლები, დირექტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) კვალიფიკაცია;

- გაიზარდა სკოლის შიდა შეფასების ჯგუფებისა და ფასილიტატორების სამუშაო პოტენციალი;
- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების ჩართულობა, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის წინასარევიზიო სამუშაოები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს განახლებულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და გასაჯაროვებულია სამიზნე ჯგუფებისთვის;
 მიღწეული - მომზადებულია პროფესიული სტანდარტების განახლებული დოკუმენტი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედური შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პროფესიული სტანდარტების დოკუმენტი ამ ეტაპზე არ არის დამტკიცებული, იგი მომზადებულია და წარდგენილია ყველა შესაბამისი უწყებისათვის განხილვის მიზნით.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს საპილოტე რეჟიმში ჩაეშვა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. 2015 წლის მონაცემებით 76% პრაქტიკოსი მასწავლებელია დასაქმებული სკოლაში, 23,7 % - უფროსი მასწავლებელი და 0,3 % - წამყვანი მასწავლებელი. შემუშავების პროცესშია მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების 5 კრედიტიანი ტრენინგ-კურსი, ეტაპობრივად მიმდინარეობს სამიზნე ჯგუფების ტრენინგები ზოგადპროფესიული და საგნობრივი მიმართულებებით; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ენობრივი ბარიერისა და მრავალფეროვანი პროფესიული რესურსების არარსებობის გამო;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია 10 %-ით; გადამზადებულია იმ პრაქტიკოსი მასწავლებლების 80%, რომელთაც ჩაბარებული აქვთ შესაბამისი საგნის გამოცდა; მასწავლებელთა, დირექტორთა და პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა რაოდენობა, ვინც გაიარა ტრენინგები; არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების საგნობრივი ტრენინგების მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) ენაზე გავლა;
 მიღწეული - უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაიზარდა 8%-ით, განხორციელდა 5 კრედიტიანი კურსის ტრენინგები: თანამედროვე მდგომარეობის სწავლებასა და შეფასებაში (ტრენინგი გაიარა ბენეფიციარების 56%), ინკლუზიური განათლება (ტრენინგი გაიარა ბენეფიციარების 40%), საგნობრივი მიმართულებით ტრენინგი გაიარა ბენეფიციარების 1%;
 ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედური შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია 8%-ით ნაცვლად 10%-ისა, ვინაიდან არ განხორციელდა შიდა შეფასების დაკვირვების რუბრიკის დამტკიცება.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - შიდა შეფასების ჯგუფის წევრები და ფასილიტატორები არ ფლობენ სათანადო ცოდნას/გამოცდილებას სქემის ფარგლებში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების გზების შესახებ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის ყველა წევრს და ფასილიტატორს გავლილი აქვს ტრენინგი, შესაბამისად. სკოლებში დანერგილია მასწავლებლის შეფასების სისტემა;

მიღწეული - გაიზარდა სკოლის როლი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერულ წინსვლაში და ამაღლდა სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა, შეიქმნა 2 260 მასწავლებლის შიდა შეფასების ჯგუფი, რომელთაგან 3 962 ფასილიტატორია. შეფასდა 9 207 მასწავლებელი. განხორციელდა სქემაში ჩართული სკოლის შეფასების ჯგუფის წევრების გადამზადება: „სკოლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის დაგეგმვა და განხორციელება“ – 1 806 დირექტორი, „პროფესიული საქალაქის შეფასება“ – 16 888 მონაწილე, „სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება“ – 14 499 მონაწილე, „პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება“- 11 082 მონაწილე;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების მასწავლებლებს არ აქვთ განათლება პროფესიულ პედაგოგიკაში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ტრენინგები პროფესიაში არასისტემური და ფრაგმენტულია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული განათლების მასწავლებელთა 15%-ს გავლილი აქვს ზოგადპედაგოგიური კურსი; პროფესიული მასწავლებლების 60%-ს გავლილი აქვს ტრენინგები საწარმოში; პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა, ვისაც გავლილი აქვს მოდულური სწავლების კურსი; პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა, ვისაც გავლილი აქვს ინკლუზიური განათლების კურსი;

მიღწეული - მასწავლებელთა 15 %-ს გაიარა პედაგოგიური კურსი, საწარმოში დატრენინგდა მასწავლებელთა 60%. მასწავლებლების 38,3%-ს გავლილი აქვთ ტრენინგები ინკლუზიურ განათლებაში, მასწავლებელთა 81,9%-ს - ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასებაში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“, მასწავლებელთა 49%-ს - ტრენინგი „მოდულური სწავლების საკითხები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში დასაქმებულია 98 კონსულტანტ-მასწავლებელი და 116 დამხმარე მასწავლებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებული 100 კონსულტანტ-მასწავლებელი და 200 დამხმარე მასწავლებელი; ადგილობრივი მასწავლებლების რაოდენობა, რომელიც ჩართულია ენის შემსწავლელ კურსებში და იუმჯობესებს ენის ფლობის დონეს; სკოლების რაოდენობა, მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც უტარდებათ ქართული ენის კვალიფიციური გაკვეთილები.

მიღწეული - სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივმა მასწავლებლებმა აიმაღლეს ქართული ენის ცოდნის დონე მინიმუმ ერთი საფეხურით; საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების/სექტორების მასწავლებლების 1.5% (85) გადამზადებულია საგნობრივ ტრენინგებში მათ მშობლიურ ენებზე; სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების 80%-ზე მეტში (197) წარმოდგენილია პროგრამის მონაწილე 114 კონსულტანტ-მასწავლებელი და 164 დამხმარე მასწავლებელი (28 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი).

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევების შემცირებული რაოდენობა, გაცდენილი გაკვეთილების შემცირებული რაოდენობა;
- მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირდა დარღვევებისა და გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა, გაზრდილია მანდატურთა ჩართულობა რისკის ქვეშ მყოფი შემთხვევების მართვაში, უზრუნველყოფილია რისკის ქვეშ მყოფ შემთხვევათა სწრაფი იდენტიფიკაცია და ადეკვატური რეაგირება; დარღვევათა რიცხვი გასულ სასწავლო წელთან შედარებით შემცირებულია 58%-ით;

- ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემო, დაცულია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში გადამისამართების პროცედურები;
- გაზრდილია საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის მიმართ ნდობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს გაძლიერება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეთა ქცევითი დარღვევების ფაქტების შემცირება; მანდატურის სამსახურის გაფართოება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით;
 მიღწეული - უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შეყვანილია მანდატურები კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის რეგიონების იმ 26 საჯარო სკოლაში, სადაც ისინი გასულ წლებში არ იყვნენ წარმოდგენილები;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნა ფსიქო-სოციალური მომსახურებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა და რეაბილიტაცია;
 მიღწეული - გამოვლენილი და სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი) რეფერირებული იყო ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბენეფიციარები, რომელთაც გაეწიათ ყველა საჭირო სერვისი თუ მომსახურება. ასევე, დამატებით გახსნილია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ქალაქ რუსთავში;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფორიენტაციის სისტემის დანერგვა საჯარო სკოლებში; 2014-2015 სასწავლო წელს ჩართულია 482 საპილოტე საჯარო სკოლა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლის სექტემბერში პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობა შეადგენს 2085 სკოლას;
 მიღწეული - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამა მიმდინარეობდა 1 500-მდე საჯარო სკოლის IX და XI კლასებში.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე სამსახური 2013 წლიდან, საპილოტე რეჟიმში, ახორციელებდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, პროფორიენტაციისა და კარიერის სისტემის საჯარო სკოლებში დანერგვა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავება.

მოცემული დროისათვის, პროფორიენტაციისა და კარიერის პროგრამის ძირითადი მიზნები შესრულებულია, რაც ერთმნიშვნელოვნად იძლევა, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისა და პროცესების, მანდატურის სამსახურისგან დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერების, ეფექტურობის, რაციონალობისა და ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;
- ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდები;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაციის დონე.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გამოვლენილია წარჩინებული მოსწავლეები, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები;
- მოსწავლეთა მოტივაციის დონის ამაღლების მიზნით ჩატარებულია ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები და გამარჯვებულებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადებში, სხვადასხვა სასკოლო კონკურსები, რომლის ფარგლებში გამარჯვებული გუნდები/მოსწავლეები, დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სასაჩუქრე ბარათებითა და დიპლომებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელების დაახლოებით 5-6% შეადგენს;
მიზნობრივი მაჩვენებელი - - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელების დაახლოებით 7-8%-მდე გაიზრდება;
მიღწეული - წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა 2015-2016 სასწავლო წლის მე-12 კლასელების 7% შეადგენს;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საგნობრივ ოლიმპიადებში გამოვლინდა 132 გამარჯვებული მოსწავლე, 2015 წელს საერთაშორისო ოლიმპიადებში მოპოვებულ იქნა 8 მედალი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეთა დაინტერესების ზრდა საგნობრივ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის; ოლიმპიადებში 2015 წელთან შედარებით 5% -ით გაზრდილი მოსწავლეთა რაოდენობა;
მიღწეული - საგნობრივ ოლიმპიადებში გამოვლინდა 121 გამარჯვებული მოსწავლე, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიადებში მოპოვებულია 5 მედალი, ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილია 1%-ით;
- 4.1.5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი;
- საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის გაუმჯობესებული პროცესი, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალიზირებული ინვენტარი, ტექნიკა, განმავითარებელი თვალსაჩინოებები და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები;
- პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაცია და ინტეგრაცია;
- განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის გაზრდილი ხარისხი სპეციალური პროფილის მქონე სკოლა - პანსიონებში, შეფასებული ყველა ჩასარიცხი ბავშვი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება, აუტისტური სპექტრის მქონე და საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის 10 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი სპეციალისტებითა და ყველა საჭირო ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები (ინტეგრირებული კლასები);
- პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- გაზრდილია განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხი სპეციალური პროფილის მქონე სკოლა - პანსიონებში, შეფასებულია ყველა ჩასარიცხი ბავშვი

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2014 - 2015 წელს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელებულ იქნა 4 743 სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შეფასება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაოდენობის ზრდა 67% - ით;

მიღწეული - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაოდენობა წინა წლების მონაცემებთან მიმართებაში გაზრდილია 47% - ით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შეფასება ხორციელდება შესაბამისი მომართვის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში შემოსული მომართვების რაოდენობამ შეადგინა დაგეგმილზე ნაკლები, თუმცა ყველა მომართვაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაში ჩართულ იქნა 200 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის 50 %-ით გაზრდა; მიღწეული - პროფესიულ განათლებაში ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 132%-ით;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით, ფუნქციონირებდა 9 ინტეგრირებული კლასი; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის

და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით იფუნქციონირებს 11 ინტეგრირებული კლასი;

მიღწეული - ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით ფუნქციონირებს 11 ინტეგრირებული კლასი;

3. საბაზისო მაჩვენებელი - სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათი განვითარებაზე ზრუნვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

მიღწეული - 1 600-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციარი 9 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით, სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან/და დღის მომსახურებით.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- თანაბრად ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსები საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე, კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები, გაუმჯობესებულია განათლების ხარისხი და შექმნილია კომფორტული სასწავლო პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა სასკოლო სახელმძღვანელოებით;
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100%
- მიღწეული - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (32 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროგრამის მონაწილე მოსწავლეებმა აიმაღლეს ცოდნის დონე ინგლისურ ენაში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, გაეცნენ უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურას;
- მულტიკულტურულ საზაფხულო სკოლაში მონაწილე ბენეფიციარები გაეცნენ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურას და აიმაღლეს ცოდნის დონე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2014-2015 წელს პროგრამაში „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილე 1 200 მოსწავლემ აიმაღლა ცოდნის დონე ინგლისურ ენაში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს 600 მოსწავლით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს;

მიღწეული - 2016 წელს 600 მოსწავლით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც აიმაღლეს ინგლისურ ენაში ცოდნის დონე;

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014-2015 წელს 170 მოსწავლემ გამოიმუშავა არაფორმალურ გარემოში საკუთარი თავის შეცნობის, მიზნისა და მთავარი ამოცანის ჩამოყალიბების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და მასზე ფოკუსირების, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ

ცხოვრებაში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 90 მოსწავლით გაზრდილი რაოდენობა;
 მიღწეული - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით 75-მა მოსწავლემ აიმაღლა ცოდნის დონე;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორით განსაზღვრული იყო საანგარიშო პერიოდში „მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლის“ აქტივობის განხორციელება, რის ნაცვლად სამინისტროს გადაწყვეტილებით დამტკიცდა და განხორციელდა „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლა“, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ზუსტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართ. საზაფხულო სკოლის მონაწილეები იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-10 და მე-11 კლასების 75 მოსწავლე.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტერგაციის დონის ამაღლება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - აქტივობის „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისათვის“ ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 100 ერთეულით;
 მიღწეული - ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტერგაციის მიზნით 100-მა ბენეფიციარმა

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების 1 060-მდე მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი იქნა ფინანსური დახმარებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური დახმარებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მაჩვენებლის შენარჩუნება.
 მიღწეული - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით;

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ყველა არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესაძლებლობა სპეციფიკურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნების შესწავლის, შესაბამისი ატესტატის მიღებისა და განათლების სხვა საფეხურზე სწავლის გაგრძელების;
- დასაქმების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა 150-მდე ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ შეისწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები. ჩართული იყვნენ სხვადასხვა აღმზრდელობით საქმიანობაში, მიეცათ შესაძლებლობა შესაბამისი ატესტატის მიღებისა და განათლების სხვა საფეხურზე სწავლის გაგრძელების;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები, ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფი პირობითი მსჯავრდებულები, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და თავისუფლებაზეზღუდულ მსჯავრდებულები დაეუფლნენ მათთვის სასურველ პროფესიებს.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** 2015 წელს სასწავლო პროცესში ჩართული ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების რაოდენობამ შეადგინა 68%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების ზრდა;
 მიღწეული - 150-მდე ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე უზრუნველყოფილი იყო უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით, 1 004 ბენეფიციარი დაეუფლა პროფესიულ მოკლევადიან (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამებს.

4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 10)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა;
- მომზადებული ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბრად უზრუნველყოფა;
- სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების დონის ამაღლება, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ზოგადი განათლების საფეხურზე გადასვლის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო
- მომზადებულია სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მონიტორინგის კონცეპტუალური ჩარჩო, შექმნილია მონიტორინგის ინსტრუმენტის ჩარჩო.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა მუშაობა დაწყებითი საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და მიმდინარეობს მუშაობა საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი სასწავლო გეგმები;
მიღწეული - მომზადებული საბაზო საფეხურის საგნობრივი სასწავლო სტანდარტები და წლიური პროგრამები, მომზადებულია საშუალო საფეხურის სასწავლო გეგმის გადამუშავებული პირველადი ვერსია;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებული იქნა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომზადებულ იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის;

მიღწეული - მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ჩარჩო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ჩატარებულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო საფეხურზე თბილისის მასშტაბით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩატარებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო საფეხურზე რეგიონების სკოლებში, ხოლო საშუალო საფეხურზე თბილისისა და რეგიონების სკოლებში;

მიღწეული - ჩატარდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საშუალო საფეხურზე თბილისის მასშტაბით ქართულენოვან სკოლებში;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - დამტკიცებულ იქნა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, რომლის დასაწერგად მომზადებულ იქნა აღმზრდელი გზამკვლევი, ყოველკვირეული აქტივობების კრებული, სატრენინგო მოდულები;
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომზადდება სკოლამდელი განათლების სტანდარტი და სტანდარტის დასაწერგად საჭირო მეთოდოლოგიური მასალები;

მიღწეული - მომზადდა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მონიტორინგის კონცეპტუალური ჩარჩო, შეიქმნა მონიტორინგის ინსტრუმენტის ჩარჩო;

4.1.11 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

მოსწავლეებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

მიღწეული შუალედური შედეგები

გაიზარდა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხი რეგიონში მცხოვრები საჯარო სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ სკოლამდე მანძილის დაფარვისა და რთული კლიმატური და გეოგრაფიული პირობების გამო გადაადგილების პრობლემები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა 90% უზრუნველყოფილ იქნა ტრანსპორტით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილ იქნება ტრანსპორტით;

მიღწეული - დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეების 99.8% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილების მაჩვენებელი დაახლოებით 0.2% გამოწვეულია: რეგიონში არსებული პრობლემური შიდა საგზაო ინფრასტრუქტურით; ცუდი კლიმატური პირობების გამო (დიდთოვლობა, მოყინული გზა) შეუსრულებელი რეისებით; კონტრაქტორი ფირმის მხრიდან შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული ვალდებულებებით.

4.1.12 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

სწავლისადმი მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია და თანაბარკონკურენტული გარემო მოსწავლეთა უნარების წარმოსაჩენად;

მიღწეული შუალედური შედეგები

- მოსწავლეებში გაზრდილია სამოქალაქო ცნობიერების დონე;
- ამაღლდა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ცოდნის დონე ქართულ ენაში;
- სასკოლო ჟურნალებით უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის მდგომარეობით შეძენილ იქნა 37 ათასზე მეტი სასკოლო ჟურნალი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოთხოვნილი ჟურნალების რაოდენობის შეძენა;
მიღწეული - მიზნობრივი საქართველოს მასშტაბით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის სასკოლო ჟურნალით;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად საშუალოდ 30-50 პროექტის დაფინანსება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად დაფინანსებულ იქნება საშუალოდ 50-60 პროექტი;
მიღწეული - დაფინანსებულია 41 პროექტი;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - გადამზადებულ იქნა გალის რაიონის 45 პედაგოგი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად გადამზადებულ იქნება 45 პედაგოგი;
მიღწეული - გადამზადებულია გალის რაიონის 46 პედაგოგი;
4. **საბაზისო მაჩვენებელი** - აზერბაიჯანში არსებული ქართული სკოლების მომარაგება 6 ათასამდე ქართული ენა/ლიტერატურის და მათემატიკის სახელმძღვანელებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოთხოვნილი სახელმძღვანელოების მიწოდება;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2016 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართულენოვანი სკოლების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა, ვინაიდან 2015 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი წიგნების დიასპორის სამინისტროსთვის გადაცემა მოხდა 2016 წელს.

4.2 უმაღლესი განათლება (32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა;
- უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაფინანსებულია საგანმანათლებლო დაწესებულებები და უზრუნველყოფილია ხარისხიანი სასწავლო პროცესი;
- გაზრდილია საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლების დონე

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან;
 მიღწეული - ხარვეზების გარეშე ჩატარდა სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და მასწავლებელთა საგნის გამოცდები;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების 10-20%-ით გაზრდილი რაოდენობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის 20-30%-ით ზრდა;
 მიღწეული - წინა წელთან შედარებით გაზრდილია აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა. 2016-2017 სასწავლო წლისთვის დაფინანსება მოპოვებულმა სტუდენტთა რაოდენობამ შეადგინა 14 300 -ზე მეტი, მათ შორის პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე ჩარიცხულ აქტიურ სტუდენტთა რაოდენობამ შეადგინა 5 022.

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (32 04 01)

✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება, მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მქონე პირებისათვის;
- გამოვლენილია კვალიფიციური მასწავლებლები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სკოლის, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების გზით გამოვლინდნენ და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის უფლება მოიპოვეს შესაბამისი ცოდნის მქონე პირებმა;
- პრაქტიკოს მასწავლებელთა ზამთრის და ზაფხულის საგნის გამოცდებზე გამოვლინდა კვალიფიციური კადრები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.
მიღწეული - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო, ასევე მასწავლებლის საგნის გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო კვლევებში (შეფასებაში), როგორიცაა TIMSS, PISA, TALIS ჩართულია 6 ათასზე მეტი ბენეფიციარი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საერთაშორისო კვლევებში (შეფასებაში), როგორიცაა TIMSS, PISA, TALIS ჩართული ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა;
მიღწეული - საერთაშორისო კვლევებში (შეფასებაში), როგორიცაა TIMSS მონაწილეობა მიიღო 180 სკოლის დირექტორმა, 400-ზე მეტმა მასწავლებელმა, 5 000-მდე მოსწავლემ და 5 000-მდე მშობელმა, ხოლო PISA -ის კვლევებში მონაწილეობა მიიღო 220 სკოლის დირექტორმა, 6 000-მდე მოსწავლემ, 6 000-მდე მშობელმა და 255 მასწავლებელმა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე TALIS 2018 საცდელი კვლევა განხორციელდა მიმდინარე წელს, ხოლო ძირითადი კვლევა ჩატარდება 2018 წელს.

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა;
- წარჩინებულ სტუდენტთა ხელშეწყობა, მათთვის განათლების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქების გზით;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული შუალედური შედეგები

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემულია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;

- წარჩინებულ სტუდენტებზე გაცემულია სტიპენდიები;
- დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების სწავლება;
- გაიზარდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა რაოდენობა.
- პროგრამის „ცოდნის კარი“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით უზრუნველყოფილია ბენეფიციარები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700 სტუდენტზე მეტს;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო სტიპენდიების მქონე სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;
მიღწეული - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სტიპენდიებს იღებს 2 700 -მდე სტუდენტი;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების ფარგლებში 12 126 - მდე სტუდენტის დაფინანსებით უზრუნველყოფა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5 000 სტუდენტით ყოველწლიური რაოდენობის ზრდა;

მიღწეული - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე ჩარიცხულ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია დაფინანსებით. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5 000-მდე სტუდენტით გაიზარდა დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა; სულ დაფინანსდა 16 500-ზე მეტი სტუდენტი.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობის უზრუნველყოფა სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ გრანტის მფლობელ აქტიურ სტუდენტთა სრული (100%) რაოდენობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტით;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს იმ 54 უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციართა 33%-ით გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული - საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში 9 ერთეულით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც დაუფინანსდათ სწავლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

4.2.3 უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა (32 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში პედაგოგიური ინოვაციების განვითარება;
- სწავლების ყველა დონეზე სწავლას, სწავლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირი;
- აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციების გაუმჯობესება;

- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ბენეფიციარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაცია და მათ მიმართ ნდობის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაუმჯობესდა და მომხმარებელზე ორიენტირებულია მომსახურება;
- შემცირდა ბიუროკრატიული და არაეფექტური პროცედურები;
- დაინერგა მართვის თანამედროვე სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.
1. მიღწეული - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მართვის არსებული სისტემის შეფასების ანგარიში და SWOT ანალიზი, შემუშავდა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა; დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულების მდგომარეობის გაუმჯობესება.

4.2.4 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაცია;
- შექმნილი და განახლებული სასწავლო მასალა და ვიდეო ფაილი;
- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- განხორციელდა ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებული უცხოელი მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ქართული ენის პოპულარიზაცია;
- ამაღლდა სტუდენტთა მოტივაცია, მათთვის შთავაზებული გარკვეული შეღავათებიდან გამომდინარე

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის ყოველწლიური შევსება/განახლება;
1. მიღწეული - ორენოვანი სასწავლო ლექსიკოგრაფია: ენის ფლობის A1 და A2 დონეებისათვის მომზადებულია თარგმნით-განმარტებითი სასწავლო ლექსიკონი, რომელშიც გახმოვანებულია სალექსიკონო ერთეულები;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქართული ენის ფლობის სხვადასხვა დონეებზე ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში ქართული ენის ფლობის დონეებზე სრულად შევსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები
მიღწეული - დასრულებულია ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ელექტრონული სახელმძღვანელო A1, A2, A2+, B1, B2, B2+ ენის ფლობის დონეებისათვის.

4.3 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- უზრუნველყოფილია ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესდა რიგი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა;
- კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით მიმდინარეობდა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საჯარო სკოლების ეტაპობრივი აღჭურვის პროცესი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
მიღწეული - საჯარო სკოლები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საჭიროების შესაბამისად შეძენილია და გადაცემულია 90 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დამღევის მიზნით საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილ იქნენ პერსონალური კომპიუტერებით და განხორციელდა წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლისა და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით და წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;
მიღწეული - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით, დაჯილდოებულია წარჩინებული ახალგაზრდები კომპიუტერული ტექნიკით;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის ეტაპობრივი მიმდინარეობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზარდა ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა
მიღწეული - გაზრდილია ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა, ასევე გაზრდილია რეაბილიტირებული პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა;

4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილია სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- განახლებულია ინფორმაციულ - ტექნოლოგიური კომუნიკაციები;
- კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია საჯარო სკოლები და ბენეფიციარებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო/სამუშაო გარემო.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 13% - ით გაიზარდა საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს გაიზარდება საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.
მიღწეული - 11 ერთეულით გაზრდილია საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნა პერსონალური კომპიუტერებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2017 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით.
მიღწეული - 2016-2017 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციარები სრულად უზრუნველყოფილნი იყვნენ პერსონალური კომპიუტერებით, ასევე გასულ წელთან შედარებით 17%-ით გაზრდილია კომპიუტერული ტექნიკით დაჯილდოებული წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა.

4.3.2 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

მიღწეული შუალედური შედეგები

აშენდა, რეაბილიტირებულია და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია რიგი საგანმანათლებლო დაწესებულებები

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საჭიროების შესაბამისად რეაბილიტირებულია და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილია საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რიგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა სახის აღჭურვილობითა და სასკოლო ინვენტარით

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წელთან შედარებით 30% - ით გაიზარდა რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 51% - ით გაიზარდება რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
მიღწეული - 50% - ით გაზრდილია რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2014 - 2015 წელს დასრულდა 10 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 10 ერთეულით გაიზარდა ახალ აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა; მიღწეული - 5 ერთეულით გაზრდილია ახალ აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილების მაჩვენებელი შეადგენს 50%-ს, 2016 წელს მიმდინარეობდა 14 ახალი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, დასრულდა - 5, დანარჩენი სკოლების მშენებლობა დასრულდება 2017 წელს. აღნიშნული გარემოება გამოიწვია სამშენებლო კომპანიების მიერ გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენამ და სამუშაოების არაჯეროვანმა შესრულებამ.

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 16%-ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა; მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 28%-ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა; მიღწეული - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საანგარიშო პერიოდში 66 %-ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა,

4.3.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის შესაბამისი გარემო;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები რეაბილიტირებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა 23 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

მიღწეული - დასრულებულია 10 პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდა 14 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აღჭურვა საჭირო ინვენტარით და ტექნიკით.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედური შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

დაგეგმილ და მიღწეულ შედეგების ინდიკატორებს შორის ცდომილების მაჩვენებელი წარმოადგენს 54%-ს, ვინაიდან სამშენებლო კომპანიებმა არაჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 03)

დაგეგმილი შუალედური შედეგები

რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

მიღწეული შუალედური შედეგები

გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის, მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ნაწილობრივი მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის, მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სრული მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

მიღწეული - განხორციელდა 5 უმაღლესი სასწავლებელის დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოების და სამეცნიერო - კვლევითი აპარატურით აღჭურვისათვის.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილების მაჩვენებელი შეადგენს 50%-ს, ვინაიდან, „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის № 289 დადგენილებით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების მიღების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის N1573 და 14 დეკემბრის N2698 განკარგულებების მიხედვით, უნივერსიტეტების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

4.3.2.4 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ტერიტორიული ორგანოები.

მიღწეული შუალედური შედეგები

რეაბილიტირებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების შენობები;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო რესურსცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა.

1. მიღწეული - განხორციელდა სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის და 10 ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია.

4.4 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (32 07)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA – GEORGIA)

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- კვალიფიციური კადრების მომზადება კონკურენტული შრომითი ბაზრისთვის;
- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის (მათ შორის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების) თანაბარი შესაძლებლობების და გაუმჯობესებული ხარისხის სასწავლო პირობების და გარემოს უზრუნველყოფა;
- საქართველოს საჯარო სკოლების ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, ინგლისური ენისა და მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია ამაღლება;
- საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში მათემატიკის, ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით;
- საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შრომის ბაზარზე გაიზარდა კვალიფიციური კადრების რაოდენობა, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით;
- დაფინანსებული პროექტები საზღვაო, საინჟინრო, ტურიზმის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ავიაციის და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით;
- რეაბილიტირებული და ლაბორატორიებით აღჭურვილი რიგი საჯარო სკოლები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადდა რიგი საჯარო სკოლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო სკოლების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;
 მიღწეული - განხორციელდა 12 საჯარო სკოლების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები, მომზადდა 32 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა პროფესიული განათლების სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზი, პრობლემების შესწავლა და საჭიროებების გამოვლენა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მასშტაბით არსებული რიგი პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის საკონკურსო განაცხადის საფუძველზე. კერძოდ, არსებული ინფრასტრუქტურის, სასწავლო ბაზის, სასწავლო პროგრამებისა და სხვა რესურსების საჭიროების გათვალისწინებით (საშუალოდ 16 პროფესიული კოლეჯი);
 მიღწეული - პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში შერჩეულია/დაფინანსებულია 10 პროექტი (45-ზე მეტი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ განხორციელებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აშშ-ის საბაკალავრო პროგრამების განხორციელებას;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში;
 მიღწეული - სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 4 ამერიკულ საბაკალავრო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წელს ჩაირიცხა 110 სტუდენტი, სან დიეგოს პროგრამებზე სწავლობს 206 ქართველი და უცხოელი სტუდენტი;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისების მიზნით ჩატარდა ინოვაციის კონკურსი. ექსპერტების მიერ განხილულ იქნა საქართველოს ცხრა რეგიონის, 77 სკოლის, 85 გუნდის 88 საკონკურსო განაცხადი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები, რომლებზეც გაიცემა მცირე გრანტები წარმოდგენილი პროექტების დახვეწა/დასრულებისათვის (საშუალოდ 20 გუნდი).
 მიღწეული - ათასწლეულის ინოვაციის მეორე კონკურსზე, 10 ფინალისტი გუნდის მიერ წარმოდგენილი ინოვაციური პროექტების საფუძველზე გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდის პროექტი.

4.5 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
 - უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
 - ქართული ენის ეროვნული კორპუსის განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ენის შესწავლის საქმეში;
 - ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.
-
- მიღწეული საბოლოო შედეგები - მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარება და პოპულარიზაცია, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა;
 - გაღრმავდა სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი და ჩამოყალიბდა კონკურენტული კვლევითი გარემო
 - გაიზარდა სკოლის მოსწავლეების მოტივაცია ფუნდამენტალური და სხვა მეცნიერებების შესწავლის მიმართულებით;
 - სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისების მიზნით დაფინანსდა კვევითი პროექტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობის, მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით 20-30% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
 - მიზნობრივი მაჩვენებელი** - 30-35% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
- მიღწეული - გაიზარდა დაფინანსებულ პროექტთა და მეცნიერთა, ასევე სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

4.5.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა;
- შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი;
- უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაუმჯობესდა სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა;
- დაინერგა გამოყენებითი კვლევითი პროექტების ეკონომიკურ-სოციალური და ტექნოლოგიური მნიშვნელობის კუთხით შეფასების კრიტერიუმები;
- სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო პროდუქტიულობის ინდიკატორების დადგანაზე;
- სვადასხვა პროექტებში ჩართულობის გზით ამაღლდა ახალგაზრდა მეცნიერთა მოტივაცია, კვალიფიკაცია და ჩართვა კვლევით პროექტებში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სამეცნიერო კვლევებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით 263 დაფინანსებული პროექტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს იგეგმება 370 პროექტის დაფინანსება;
მიღწეული - დაფინანსდა 335 პროექტი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება 10%, გამოწვეულია პროექტების შეფასების სიტემის მოდიფიცირებით და მხოლოდ საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენებით, რის შედეგადაც პროექტების ნაწილმა ვერ გადალახა დაფინანსების მოპოვებისათვის აუცილებელი მინიმალური ქულობრივი ზღვარი;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსებული 122 პროექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 150 პროექტის დაფინანსება;

მიღწეული - დაფინანსდა 146 პროექტი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება - 3%, გამოიწვია 2016 წლის განმავლობაში იტალიის კვლევების საბჭოსა (CNR) და ფონდის ერთობლივი კონკურსის ჩაუტარებლობამ

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის კუთხით დაფინანსებული 32 პროექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 50 პროექტის დაფინანსება;

მიღწეული - მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის კუთხით საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 პროექტი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება - 84%, 2016 წელს დაგეგმილიყო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ ჩატარება, რომელიც ვერ განხორციელდა.

4.5.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემო;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სამეცნიერო კვლევებში გაიზარდა საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი ჩამოყალიბდა კონკურენტული კვლევითი გარემო;
- სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების გზით გაიზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაცია

4.5.3 მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (32 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დაგეგმილი შუალედური შედეგები

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედიები და ჟურნალები.

მიღწეული შუალედური შედეგები

მომზადდა სამეცნიერო ლექსიკონი, გამოიცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები და ჟურნალები

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით 10% - ით გაზრდილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული - საანგარიშო პერიოდში 5% გაიზარდა სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ განხილული და შეფასებულია უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - აკადემიის მიერ განხილული და შეფასებული სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა;
 მიღწეული - აკადემიის მიერ განხილული და შეფასებულია 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო დაწესებულებებში 42 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების და 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირის 330 სამეცნიერო ნაშრომი.

4.5.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 05 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დაგეგმილი შუალედური შედეგები

აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგების შეფასება დამოუკიდებელ რეცეზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა და გამოიცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები სოფლის მეურნეობის საკითხებზე;
- ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარები და კონფერენციები;
- გაიმართა სამეცნიერო შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატით და გამოიცა რეკომენდაციები

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხილულ და შეაფასებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო და აგრარული პროფილის სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - განხილული და შეფასებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა;
მიღწეული - აგროსასურსათო სექტორში წარმოებულ კვლევათა რაოდენობის ზრდა.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 10% - ით გაიზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - აკადემიის მიერ გამოქვეყნებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა.
მიღწეული - აკადემიის მიერ გამოცემული იქნა 3 სახელმძღვანელო, 14 მონოგრაფია, 23 რეკომენდაცია, 16 ბროშურა და 2 გამოგონება/პატენტი; სულ 15%-ით გაიზარდა გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა.

4.5.5 მეცნიერების აღდგენა და განვითარება (32 05 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა;
- შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი;
- სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით;
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უნივერსიტეტების სტრუქტურულ ერთეულებში - 42 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულში, სამეცნიერო პროგრამების შესაბამისად, განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
- გაუმჯობესდა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო პირობები, მათ შორის ტექნიკური კუთხით.
- ამაღლდა საზოგადოებისა და ახალგაზრდობის ინტერესი სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური დარგების მიმართ

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 42 პროექტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს შერჩეული 42 პროექტის დაფინანსების გაგრძელება;
მიღწეული - გასულ წლის მსგავსად დაფინანსება გაუგრძელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის 42 პროექტს.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - წარმოდგენილი რიგი სამეცნიერო - კვლევით პროექტების დაფინანსება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა;
მიღწეული - დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 42 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პროექტები;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს ჩატარდა სამეცნიერო-შემეცნიერო ღონისძიებები და გამოფენები, სადაც მოწვეული იყვნენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი მეცნიერები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩატარებული სამეცნიერო-შემეცნიერო ღონისძიებების და გამოფენების გაზრდილი რაოდენობა.
მიღწეული - მეცნიერების და ინოვაციების თბილისის ფესტივალის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა 39-მა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ და გაიმართა 150-ზე მეტი ღონისძიება.

4.6 პროფესიული განათლება (32 03)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- პროფესიული განათლების გაზრდილი მოთხოვნა/ხარისხი;
- პროფესიული განათლების თავსებადობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ.);
- ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა;
- ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება;
- ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაინერგა შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომლებმა და ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა აიმაღლეს ქართული ენის ცოდნის დონე;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- დანერგილია ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ინფრასტრუქტურით,

თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ფინანსური რესურსით; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილ იქნება ხარისხიანი პროფესიული განათლებით; მიღწეული - პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილ იქნება ხარისხიანი პროფესიული განათლებით;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო მართვასა და ადმინისტრირებაში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, გადამზადებული ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების რაოდენობის ყოველწლიურად 10-ით ზრდა;
3. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ყოველწლიურად გადამზადებულთა 20-30%-ით ზრდა.
მიღწეული - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში გაიზარდა 150%.

4.6.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესისა და ცოდნის ხარისხის ამაღლება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის;
- ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა;
- ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება და არაფორმალური განათლების აღიარება;
- ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ახალი შეფასების სტანდარტებითა და პროფესიული პროგრამებით სწავლების გზით ამაღლდა ცოდნის ხარისხი;
- პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილია კვალიფიციური სპეციალისტებით;

- გაზრდილია ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;
- დაარსდა რიგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, გეოგრაფიული არეალისა და მოთხოვნადი პროფესიების გათვალისწინებით

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 10 000 - ზე მეტი ბენეფიციარის ჩართულობა პროფესიული განათლების პროცესში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილი ბენეფიციარების რაოდენობა;
მიღწეული - 11 000-ზე მეტი სტუდენტი ეუფლებოდა პროფესიულ განათლებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროფესიული მომზადების კურსებში ჩართულ იქნა 400-მდე მსჯავრდებული და ყოფილი პატიმარი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული მომზადების კურსებში ჩართული იქნება დამატებით 450-მდე ბენეფიციარი;
მიღწეული - 21 მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე მომზადება გაიარა 1 004-მა მსჯავრდებულმა და 16 ყოფილმა პატიმარმა;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი განსაზღვრულ იქნა 40%-მდე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 2%-ით.
მიღწეული - 2015 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 56%.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საგულისხმოა, რომ 2015 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, შესაბამისად 2017 წელს იგეგმება გასული წლის მაჩვენებლის დასადგენად შესაბამისი კვლევის ჩატარება.

4.6.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;

დაგეგმილი შუალედური შედეგები

საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მართულ საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შორის ამაღლებულია სახელმწიფო ენის ცოდნის დონე; საჯარო მოსამსახურეების პროფესიული უნარ-ჩვევები გაუმჯობესებულია

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსების რაოდენობა 7;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსების რაოდენობრივი ზრდა 10- მდე;
მიღწეული - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 13 კურსი;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა განისაზღვრება 480 ერთეულით, ხოლო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 2 000 ერთეულით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 30%-ით.
მიღწეული - საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა განისაზღვრა 721 ერთეული, ხოლო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 3 193 ერთეულით

4.6.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (32 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში;
- თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა საქართველოს საჯარო სკოლებში შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის უზრუნველყოფა, მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში გაზრდილია მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები;
- პროფესიულ სტუდენტებს შორის ამაღლებული ცოდნის დონე და გაზრდილია დასაქმებულთა რაოდენობა;
- დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემები და გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის ხარისხი

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - IT პროფესიული სწავლება გაიარა 282-მა სტუდენტმა, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 5-მა პირმა. წარმატებით დასაქმდა კურსდამთავრებულთა 60%. მიმდინარეობს სასწავლო სივრცის და ინფრასტრუქტურის გაფართოების მოსამზადებელი პერიოდი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს ახალი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება 7%-მდე. წარმატებით დასაქმდება კურსდამთავრებულთა 70%;
 მიღწეული - 2016 წელს ჩარიცხულია 369 სტუდენტი, საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილია 7,3 %-ით, წარმატებით დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 87%;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სკოლების 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. ამათგან მაღალი ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს სკოლების 30%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება ქსელის ფუნქციონირების ეფექტიანობა, მონაცემთა გადაცემის სიჩქარე, მოთხოვნების შესრულების მაჩვენებლები, ქსელების გამტარუნარიანობა. სკოლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ყოველწლიურად გაიზრდება 15%-ით;
 მიღწეული - ოპტიკური კავშირით და მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს საჯარო სკოლების 40%-მდე;
 ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
 ცდომილება - 5%, გამოიწვია მაღალი გამტარიანობის ოპტიკური კავშირების განვითარების დაბალმა ტემპმა რეგიონებში და მსხვილი მომწოდებლის შპს „მაგთიკომის“ მიერ მომწოდებლების შპს „კავკასუსის“ და შპს „დელტაკომის“ შესყიდვამ ასევე განაპირობა ოპტიკურ კავშირებზე გადასვლის ტემპის დროებით შენელება;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია სკოლების 3%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 50%-ზე მეტი;

მიღწეული - Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია სკოლების 3%;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება 47% - ია, გადაიხედა პრიორიტეტები და ღონისძიება არ განხორციელდა

საბაზისო მაჩვენებელი - ფუნქციონირებს პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის საბაზისო მოდულები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ამოქმედდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემის მოდულები: eJournal, მასწავლებლების შეფასების ელექტრონული სისტემა; პროფესიულ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა პასუხობს ყველა დაინტერესებული კლიენტის მოთხოვნებს; შემუშავდება ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა.

მიღწეული - პილოტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool)-ის მოდული - „ელექტრონული ჟურნალი“. განვითარდა „მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემის“ მოდული. განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) დაფინანსების მოდულის, მოდულური სწავლების შესაბამისად მოდიფიცირება. ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUNI) შემუშავების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალური ინფორმაციის და მომხმარებლების მართვის მოდულების დეველოპინგი.

4.7. სამხედრო წვრთნა და განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;
- ✓ ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

საერთაშორისო წვრთნებში ჩართული ქვედანაყოფების ნატოსთან თავსებადობის ზრდა;

უწყებათაშორის სწავლებებში მონაწილეობის შედეგად მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება.

ქვეყნის შიგნით და გარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები.

განვითარებული სიმულაციური საშუალებები და ეფექტიანი სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარებას.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები;

წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გავლილი სასწავლო კურსების შედეგად კვალიფიკაცია აიმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებმა;

წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელდა სიმულაციური საშუალებების შეკეთება/განახლება, რამაც ხელი შეუწყო რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარებას;

წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შედეგად ხელი შეეწყო წვრთნის, განათლების და მართვის სისტემის გაუმჯობესებას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

მიზნობრივი მაჩვენებელი - განათლებული, მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადებული ოფიცერთა, სერჟანტთა და სპეციალისტთა რგოლი.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადებული ოფიცერთა, სერჟანტთა და სპეციალისტთა რგოლი შეესაბამება ჯარის მოთხოვნებს და თავსებადია ნატოს სტანდარტებთან.

4.8 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

მოწესრიგებული სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემა და მისი სრული თავსებადობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრებით უზრუნველყოფილი ქვეყნის სახელოვნებო ორგანიზაციები, საქართველოს „სახელოვნებო სკოლის“ ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო მასშტაბით, ახალგაზრდებში სახელოვნებო განათლებისადმი ინტერესის მზარდი ხასიათის ტენდენციად ჩამოყალიბება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ხელი შეეწყო სტუდენტების და მოსწავლეების განათლებას, მიღწეული შედეგების წარმოჩენას სხვადასხვა ტიპისა და მიმართულებების კონცერტების, საღამოების, მასტერკლასებისა და ვორკშოპების, სპექტაკლების, გამოფენების, კონფერენციების გამართვით, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, საგანგებოდ მათთვის გამართული საჯარო ლექციებით, სტუდენტებისა და მოსწავლეების მონაწილეობით ეროვნულ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში და სხვადასხვა ტიპის საჯარო ღონისძიებებში.

ხელი შეეწყო 23 სტუდენტის სწავლას, მათ შორის პროფესიული განათლების და სამაგისტრო პროგრამებზე, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო სასწავლებლებში.

188 სტუდენტი და მოსწავლე მიიღო მონაწილეობა პროფესიულ ზრდა-დაოსტატებას საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, მასტერკლასებში, კონცერტებში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების მიერ საანგარიშო პერიოდში მისაღწევი აქტივობების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 600-მდე გაიზრდება;

მიზნობრივი მაჩვენებელი -თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების მიერ საანგარიშო პერიოდში მისაღწევი აქტივობების რაოდენობა დაახლოებით 1 200-მდე გაიზრდება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებული აქტივობების რაოდენობა - 908

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: საკუთარ შემოსავლებში არსებული თანხების არასაკმარისმა და თანადაფინანსებების მოძიების პრობლემა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 100-მდე გაიზრდება;

მიზნობრივი მაჩვენებელი -საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 150-მდე გაიზარდება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერკლასებში, საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა - 183.

4.9 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დროის შემცირება და სანდოობის გაზრდა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება; ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა;
- შეუფერხებელი განათლების მიღება უცხოელი სტუდენტების - საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის მიზნით სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, ამ პროგრამებით სწავლებისათვის საჭირო საკანონმდებლო, ინსტიტუციური და საოპერაციო (მათ შორის, ადამიანური და მატერიალური რესურსების კუთხით) შესაძლებლობის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების სისტემაში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტთა შეფასების მექანიზმების დანერგვა;
- გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაიზარდა სანდოობა და შემცირდა მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დრო;
- გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემა და უზრუნველყოფილია მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ხარისხი;
- 2016 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ხელი შეუწყო უცხოელი სტუდენტების - საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შეუფერხებელი განათლების მიღებას; განხილულ იქნა განათლების აღიარების თაობაზე განცხადებები; მომზადდა განათლების აღიარების დოკუმენტები და უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსთან დაკავშირებით ცნობები; განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გაიცა პროფესიული დიპლომი/დიპლომი;
- 2016 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყო პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე უკეთ ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით უზრუნველყო შესაბამისი სამუშაოების გახორციელება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
 მიღწეული - გრძელდებოდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფისა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით;
 მიღწეული - გახორციელდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების და სტანდარტების განახლება და სრულყოფა;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა 6 000-ზე მეტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, აპოსტილით დამოწმდა/ლეგალიზებულ იქნა 3 500-ზე მეტი დოკუმენტი, დადასტურდა 400-ზე მეტი დოკუმენტის ნამდვილობა, მომზადდა განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე 300-ზე მეტი

გადაწყვეტილება, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათების აღიარების 25-ზე მეტი ბრძანება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების 10-ზე მეტი დოკუმენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - წინა წლების სტატისტიკის გათვალისწინებით 2016 წლისათვის ივარაუდება აპოსტილის/ლეგალიზაციის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, განათლების მიღების ფაქტის დადასტურების, ლიცენზირებულ რეჟიმში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით წარმოდგენილი განცხადებების ოდენობის 10%-იანი ზრდა;

მიღწეული - 2016 წელს სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა 7 800-ზე მეტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 30%-ით), აპოსტილით დამოწმდა/ლეგალიზებულ იქნა 8 000-ზე მეტი დოკუმენტი (საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 128%-ით), დადასტურდა 558 დოკუმენტის ნამდვილობა (საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 39,5%-ით), მომზადდა განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე 523 გადაწყვეტილება (საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 75%-ით), ასევე ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათების აღიარების 14 ბრძანება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების 5 დოკუმენტი;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში 450 პროფესიული კვალიფიკაციაა, შრომის ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების ჩამონათვალის რეგულარული განახლება; ასევე დამტკიცებულია 54 და დანერგილია 45 მოდულარული პროფესიული პროგრამა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით 50 პროფესიული სტანდარტის პროექტის მომზადება და 50 მოდულური პროფესიული პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი დანერგვის მიზნით;

მიღწეული - მომზადდა 54 პროფესიული სტანდარტის პროექტი, დანერგილია 57 დასახელების მოდულური პროგრამა.

4.11 სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

შსს-ს მომავალი და არსებული თანამშრომლები მზად იქნებიან ყველა იმ სირთულეებისათვის რაც მათ პრაქტიკაში შეხვდებათ, იმ საკანონმდებლო ცვლილებებისათვის, რომელიც დაიგეგმება სახელმწიფოში, ასევე მზად იქნებიან სრულყოფილად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები კონკრეტული საქმიანობის განხორციელების დროს.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

გადამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მომავალი თანამშრომელი და მოქმედი თანამშრომლების - 14.7%;

დანერგილია დისტანციური სწავლების მეთოდი და განვითარებულია სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა;
რეაბილიტირებული აკადემიის ინფრასტრუქტურის - 4%;
განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის - 5.7%.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და მათი ცოდნის დონე;

მიღწეული მაჩვენებელი - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 287 სტუდენტი;

2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მომზადებული და გადამზადებული პატრულ ინსპექტორები, უბნის ინსპექტორები, მეხანძრე-მაშველები, დეტექტივ-გამომძიებლები, სასაზღვრო პოლიციის, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადებული და გადამზადებული სხვადასხვა დანაყოფის 4 249 თანამშრომელი;

4.13 იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საჯარო მოსამსახურეების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება;
- საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების შეფასებისა და შერჩევის ეფექტური სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ხელი შეუწყო იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. აპლიკანტებმა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი, თეორიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ჩატარებული ტესტირებები განხორციელდა მაღალ დონეზე. ორგანიზებული ტესტირების შედეგად სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ, გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობებზე აეყვანათ კვალიფიციური კადრები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ტრენინგი გაიარა 4 700-მა მონაწილემ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ტრენინგს გაივლის 5 000 მონაწილე;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა 7 436-მა ადამიანმა;

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ტრენინგის მონაწილეთა 80%-ის მიერ ტრენინგი შეფასდა დადებითად (დადებით შეფასებად ითვლება მინიმუმ 80 ქულა შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს ტრენინგს დადებითად შეაფასეს მონაწილეთა 83%, 2017 წელს - 84%, 2018-2019 წლებში შენარჩუნდება 84%-იანი მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს ტრენინგი დადებითად შეფასდა მონაწილეთა 85%-ის მიერ;

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ტესტირება გაიარა 20 800-მა აპლიკანტმა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ტესტირებას გაივლის 6 000 აპლიკანტი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს ტესტირება გაიარა 9 290-მა აპლიკანტმა;

4.15 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევა, პროფესიული სწავლება, მომზადება/გადამზადება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა.
- საქართველოს სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.) ხელშეწყობა. საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება მათ შორის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელების გზით.
- ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა - საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით (მათ შორის კადრების შერჩევის ხელშეწყობით).

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/ გადამზადებული კადრებით;
- სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში;
- სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარების, ასევე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელების გზით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო კურსების განხორციელება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ასევე, სამუშაო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად (მუდმივი პროცესი); 2015 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 678 თანამშრომელი.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა.
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1185 თანამშრომელი; გადამზადებული კადრების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 74%-ით.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 427 პირი.
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების ფარგლებში გადამზადებულ პირთა რაოდენობის ზრდა 5%-ით.
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 662 პირი. გადამზადებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 55%-ით.
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით გავრცელების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას როგორც საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის. 2015 წელს აკადემიაში გადამზადდა 3753 დაინტერესებული ადამიანი. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა 5%-ით.
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს აკადემიაში გადამზადდა 2222 დაინტერესებული ადამიანი; საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 41 %-ით.

ცდომილების მაჩვენებელი - 2015 წელს მოცემულ რაოდენობაში გათვალისწინებული იყო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები, რომელთა ფარგლებში გადამზადდა ჯამურად 1800-ზე მეტი ადამიანი. 2016 წელს ამ მიმართულებით სწავლების საჭიროება იყო ნაკლები, შესაბამისად, გადამზადდა 500-მდე მსმენელი. გარდა ამისა, შესყიდვების კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, აკადემიის მომსახურების შესყიდვა სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ არ იყო შესაძლებელი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა; შესაბამისად, სასწავლო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო პროცედურების სირთულიდან გამომდინარე, შემცირდა სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან მონაწილეთა რაოდენობა.

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში აკადემია ორგანიზებას უკეთებს დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსებს - პროფესიული მიმართულების, ასევე, უნარების შესაფასებელ ტესტირებებს (მუდმივი პროცესი). 2015 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 25 ტესტირება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დასაქმების მსურველთათვის, ხოლო 7 ტესტირება სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციისთვის.

მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის კადრების შესარჩევად განხორციელებული პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის ზრდა 5%-ით.

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს აკადემიის ორგანიზებით სამინისტროს სისტემაში განხორციელდა 22 ტესტირება შესაბამისად წინა წელთან შედარებით ტესტირებების რაოდენობა შემცირდა 12%-ით. ხოლო სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის კადრების შესარჩევად განხორციელდა 9 ტესტირება, შესაბამისად ჩატარებული ტესტირების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 30%-ით.

ცდომილების მაჩვენებელი - პროფესიული მიმართულებისა თუ პიროვნების საკვლევი ტესტირებების რაოდენობის შემცირება 12%-ით 2016 წელს გამოწვეული იყო ვაკანტური პოზიციების და, შესაბამისად, ტესტირებების განხორციელების საჭიროების შემცირებით.

4.16. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელების, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დანაშაულის პრევენციის, მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;

- განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება;
- ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება;
- სამინისტროს სისტემისათვის საექსპერტო საქმიანობის უზრუნველყოფა

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მოქმედი ყველა ძირითად პროგრამა ხელს უწყობს სისტემის მოსამსახურეებისა და სისტემაში დასაქმების მსურველთა პროფესიულ განვითარების გზით ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული და ეფექტიანი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბებას;
- განხორციელდა ურთიერთთანამშრომლობა შემდეგ საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან: აშშ საელჩო საქართველოში (აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის თბილისის ბიურო (INL)), ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), ციხის საერთაშორისო რეფორმა(PRI);
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდა არსებული სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება.
- ახლადანიშნული თანამშრომლების სისტემაში ადაპტირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მენტორის (გამოცდილი თანამშრომელი) არსებობამ, რომელიც სისტემაში მოსვლის პირველ ეტაპზე დაეხმარა მათ მუშაობის სპეციფიკაში გარკვევასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა მენტორინგის პროგრამის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარა 289 ახალმა მიღებულმა მოსამსახურემ;
- ევროპის საბჭოსგან მიღებულია სახელმძღვანელოები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2 277 მსმენელმა და საგამოცდო ბარიერი დაძლეული იქნა 80% ის მიერ. ჩატარდა 80 სასწავლო ღონისძიება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს **საბაზისო მაჩვენებელი** შენარჩუნებულია. 80 სასწავლო ღონისძიება ჩატარებულია. 5 200 კაც./ტრენინგდღე;

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული სასწავლო ღონისძიების რაოდენობა 171; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 900 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 93%-მა.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- საქართველოს კანონის „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა სამსახურის ყველა იმ თანამშრომლის მომზადებისა და გადამზადების პროცესი, ვისი თანამდებობისთვისაც სერტიფიკატი მოითხოვება, პროცესი გაგრძელდება 2017 წელს. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის ამოქმედებამ დღის წესრიგში დააყენა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადების საკითხი. „საქართველოს სახალხო

დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტო გადაღების უფლების განხორციელების წესის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციული ჯგუფის წევრებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის მოსამსახურეთა გადამზადება. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულ/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით დაიწყო სისტემის სამედიცინო პერსონალის გადამზადება, პროცესი გაგრძელდება 2017 წელს. ყოველივე ამან და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა და სხვადასხვა თემაზე ჩატარებულმა ტრენინგებმა, რომელიც დაიგეგმა პენიტენციური და პრობაციის სისტემის სამსახურებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში - განაპირობა დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა;

- მინიმალური ქულობრივი ბარიერის გადალახვის გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგს შორის გამოწვეულია მსმენელების მაღალი მოტივაციით, რადგანაც სერთიფიკატის შედეგები გავლენას ახდენდა მათ დასაქმებაზე.

4.18. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებებში საერთაშორისო ურთიერთობებზე მომუშავე მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ტრადიციულ კურსებთან ერთად შეიქმნა და წარმატებით განხორციელდა რამდენიმე ახალი სასწავლო და უცხო ენის კურსი;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა;

მიღწეული მაჩვენებელი - 6 ათეული წიგნით გამდიდრებული სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა;

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - კვალიფიკაცია ამაღლებული 521 საჯარო მოხელე;

3. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული 1 გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა (შესავალი კურსი დიპლომატიკისა და საერთაშორისო ურთიერთობებში - 107 სთ.), 11 საჯარო ლექცია, 14 მოკლევადიანი სასწავლო კურსი, 3 უცხო ენის შემსწავლელი კურსი;

4. მიზნობრივი მაჩვენებელი - მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები.

მიღწეული მაჩვენებელი - ურთიერთგაგების ხელმოწერილი 8 მემორანდუმი.

4.19 სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ (პროგრამული კოდი 64 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

- განხორციელდა ღონისძიებები გამოგონების, დიზაინის, სასაქონლო ნიშნების და სასარგებლო მოდელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით (დამცავი დოკუმენტების გაცემის მიზნით), რომელიც მოიცავდა: ფორმალურ მოთხოვნების ექსპერტიზას, არსობრივ ექსპერტიზას, გამოქვეყნებას, პატენტის გაცემას და ძალის შენარჩუნებას, საერთაშორისო განაცხადზე ქმედებების ჩატარებას, სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელებას, სააპელაციო საჩივრის განხილვას სასაქონლო ნიშანზე და სხვას;
- ინტელექტუალური საკუთრების დამცავი დოკუმენტების მომზადების მიზნით საქპატენტის ექსპერტების მიერ მიმდინარეობდა შესაბამისი საძიებო სამუშაოები საქპატენტის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყებისა და არასაპატენტო ლიტერატურის მონაცემთა ბაზებში;
- საპატენტო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის და მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან უფრო დაახლოების მიზნით გაიმართა შეხვედრები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ავსტრიის საპატენტო ოფისის (APO), აშშ-ს მთავრობის

წარმომადგენლებთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. გაიმართა ხვადასხვა ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ქ.ბათუმში საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ DCFTA-ს კონტექსტში“, რომლის ფარგლებშიც მოხდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების გამოცდილების გაზიარება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- უზრუნველყოფილ იქნა ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი) და დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოგონების სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებით დამცავი დოკუმენტაციის გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული სასაქონლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დიზაინის სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული დიზაინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროულად გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები

5. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვა;
მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტები

6. **საბაზისო მაჩვენებელი** - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დროულად იქნა გაცემული ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტები

4.20 სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მომზადდა და წარედგინა აკრედიტაციისათვის 3 ახალი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- გაიხსნა ახალი სასწავლო კლასები (სანავიგაციო ხიდურისა და გემბანის საწყისი ცნებების აუდიტორია) და მარლენსის (MARLINS) აღიარებული ტესტირების/სერტიფიკაციის ცენტრი, სადაც განხორციელდა პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება;
- პროფესიული განათლების ცენტრში განხორციელდა პირველი ჩარიცხვა მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე (კომპიუტერული გრაფიკის ინჟინერი), ჩატარდა ორი ტრეინინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პედაგოგებისათვის;
- განხორციელდა პროფესიულ მომზადების ცენტრისათვის გამოყოფილი ახალი სასწავლო ფართი რემონტი და გაიხსნა ორი სპეცკლასი;
- მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრისათვის შეძენილ იქნა მაღალი ძაბვის ლაბორატორია, სადაც განხორციელდება ახალი მოკლევადიანი საწვრთნელი კურსი. მოკლევადიანი კურსებისათვის შეძენილ იქნა ახალი სამაშველო აღჭურვილობა;
- საწვრთნელ ცენტრს დაემატა სამი ახალი სასწავლო აუდიტორია. განხორციელდა ცენტრის ინსტრუქტორებს გადამზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კომპანია „ტრანზასის“ მიერ განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის ათვისების მიზნით;
- მიმდინარეობდა სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა;
- „კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების“ პროგრამის ფარგლებში, აკადემიის 5-მა თანამშრომელმა ლატვიის საზღვაო აკადემიაში გაირა ტრეინინგები შემდეგი მიმართულებებით: „სწავლებისა და სწავლის ფორმატისა და მეთოდების, სასწავლო მასალის დროში განაწილების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სტრუქტურის, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების მეთოდიკა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასასაქმებლად;
- დაინტერესებული საკრუინგო კომპანიების რიცხვისა და მათი კმაყოფილების ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციაზე წარდგენილი სამი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამიდან ორ პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. დაგეგმილი სამი მოკლევადიანი საწვრთნელი კურსიდან დაინერგა ერთი კურსი;
- შესრულდა გეგმით გათვალისწინებული საკლასო ოთახების მოწყობა;
- 2016 წელს საკრუინგო კომპანიების მიერ გაიზარდა დაინტერესება კადეტების მომზადების პროგრამით

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლის მონაცემებით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში აკადემია მე-9 ადგილზეა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ მინიჭებული რეიტინგები - რეიტინგის გაზრდა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში ხუთეულში შესვლა;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მონაცემებით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეიტინგში აკადემიამ გაიუმჯობესა პოზიცია 2 პუნქტით და დაიკავა მე-7 ადგილი.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 55%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა - დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა 70%-მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მაჩვენებლებით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 50%-ს;

ცდომილების მაჩვენებელი - 20%. გამოწვეულია საკრუინგო კომპანიების სიმცირით;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში არსებულ საზღვაო ნავსადგურებთან და ტურისტულ სააგენტოებთან, რომლებსაც უწევს შესაბამის მომსახურებას კომპეტენციის ფარგლებში. სხვადასხვა ეტაპზე აკადემიამ მომსახურება გაუწია 5-6 ინვესტორს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინვესტორებისა და ინვესტიციებით დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების რაოდენობა - ინვესტორებისა და ინვესტიციებით დაინტერესებული პირების გაზრდა 10-15-მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მაჩვენებლებით მომსახურება გაეწია 8 კომპანიას;

ცდომილების მაჩვენებელი - გამოწვეულია კომპანიებისა და ინვესტორების მხრიდან დაბალი დაინტერესებით ეკონომიკური კრიზისის (ნავთობის სექტორში განვითარებული კრიზისი) გამო;

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - ამ ეტაპზე აკადემიას აქვს 30-ზე მეტი მოქმედი მემორანდუმი როგორც საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე საზღვარგარეთ არსებულ სასწავლებლებთან. მემორანდუმები ფორმდება ასევე შესაბამისი პროფილით მომუშავე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები - ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერება და მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდა 50-მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მაჩვენებელით ბათუმი სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ გააფორმა 7 ახალი მემორანდუმი;

ცდომილების მაჩვენებელი - არსებული მემორანდუმების და ხელშეკრულებების ბაზის განახლება ხდება ეტაპობრივად.

5 პრიორიტეტი – მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
24 01	ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია	115,475.6	108,086.3	115,665.7	109,108.3	6,557.4
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	143,772.3	37,043.2	134,203.3	34,638.3	99,565.0
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	20,775.4	20,775.4	17,981.3	17,981.3	0.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	27,014.3	7,775.5	20,190.0	7,418.8	12,771.2
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	7,602.0	7,500.0	7,507.5	7,454.0	53.5
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,995.0	4,745.0	4,684.6	4,570.1	114.5
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	2,728.0	2,728.0	3,020.2	3,020.2	0.0
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,314.0	2,300.0	1,605.9	1,602.2	3.7
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	2,150.0	1,147.9	1,147.9	0.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2,000.0	2,000.0	1,776.3	1,776.3	0.0
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,449.8	1,300.0	1,405.4	1,290.1	115.3
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,093.0	938.1	2,161.7	1,241.6	920.1
04 02	საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	766.0	766.0	734.5	734.5	0.0
04 03	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	506.3	506.3	505.3	505.3	0.0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	327.0	327.0	301.7	301.7	0.0
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	614.3	149.3	602.8	149.3	453.5
24 08	ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	400.0	400.0	334.8	334.8	0.0
63 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	8,654.8	0.0	5,078.2	0.0	5,078.2
23 06	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	6,650.0	0.0	5,269.0	0.0	5,269.0
სულ		350,287.7	199,490.0	324,176.0	193,274.6	130,901.3

5.1. ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია, არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითარება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების (მ.შ. თავისუფალი ვაჭრობის) გაფორმება;
- „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციისა და „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ მომზადება სადაც, ასახული იქნება მშენებლობის, ტრანსპორტის და მრეწველობის სექტორების შემარბილებელი ღონისძიებები;
- ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას;
- ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოღება და უძრავი ქონების სექტორის კიდევ უფრო განვითარება;
- კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;
- საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა და საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობის ღონის ამაღლება, მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ღონის ამაღლება, საქართველოს საავიაციო ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლა;
- სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება, მდგრადი განვითარების ჩამოყალიბების, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღებისა და ინვესტიციების მიზნადღეი, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, რაც აამაღლებს გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს;
- სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება, ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია და ძველი, საბჭოური ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების ჩანაცვლება თანამედროვე დოკუმენტებით;

- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- იდენტიფიცირებულ იქნა მაკროეკონომიკური რისკები და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები, ასევე შემუშავდა მეთოდოლოგიები სხვადასხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორის დეტალური გაანალიზების მიმართულებით;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში;
- 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის ჩათვლით) გაიზარდა 20%-ით და შეადგინა 11 966 მლნ აშშ დოლარი. ექსპორტი შემცირდა 4%-ით და შეადგინა 2 114 მლნ აშშ დოლარი, იმპორტი გაიზარდა 27%-ით და განისაზღვრა 9 852 მლნ აშშ დოლარით;
- განხორციელდა საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია გლობალური მასშტაბით;
- გამოიკვეთა პროდუქციის ახალი საექსპორტო ბაზრები;
- გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტრუქტურა და გამოჩნდა ახალი საექსპორტო პროდუქცია;
- ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელდა პირველი ფაზით გათვალისწინებულ საცხოვრისი სექტორის ანალიზი;
- მომზადდა და გამოიცა საინვესტიციო კატალოგი, რომელმაც ხელი შეუწყო ინვესტორების დაინტერესებას ქვეყანაში არსებული პრიორიტეტული სექტორებით (მათ შორის უძრავი ქონება, ენერგეტიკა, წარმოება, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ინოვაციები და ტექნოლოგიები);
- გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტით, საქართველოს რკინიგზის საშუალებით და საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მეშვეობით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვი. საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთნაკადების ზრდა განპირობებულია საქართველოს ავიაბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოსვლით და ბოლო პერიოდში საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციით;
- გაიზარდა პარტნიორ ქვეყნებთან პარიტეტის საფუძველზე ფუნქციონირებადი მარშრუტებისა და შესრულებული რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო რეისების ოდენობა (საერთო ჯამში 2016 წელს ფუნქციონირებდა 95 მარშრუტი და სრულდებოდა 597 რეისი დღეში);
- შემუშავდა სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაცია და მათ საფუძველზე ამაღლდა მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი;
- შემუშავდა „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“-ს პროექტი;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიო ბანკის 2015 წლის ანგარიშით „ბიზნესის კეთება 2016“ საქართველოს 23-ე ადგილზე იმყოფებოდა 77.72 ქულით. მათ შორის, ინდიკატორებში საქართველოს პოზიციები და ქულები ასე გადანაწილდა: ბიზნესის დაწყება - მე-10 ადგილზე 96.04 ქულით; მშენებლობის ნებართვა - მე-9 ადგილზე 82.77 ქულით; ელექტროენერგიით მომარაგება - 65-ე ადგილზე 76.15 ქულით; ქონების რეგისტრაცია - მე-3 ადგილზე 91.16 ქულით; კრედიტის მიღება - მე-7 ადგილზე 85.00 ქულით; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - 22-ე ადგილზე 68.33 ქულით. გადასახადების გადახდა - 35-ე ადგილზე 83.75 ქულით; ვაჭრობა საზღვრებს შორის - 62-ე ადგილზე 80.59 ქულით; კონტრაქტების აღსრულება - მე-17 ადგილზე 73.21 ქულით; გადახდისუუნარობა - 101-ე ადგილზე 40.24 ქულით. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის 2015 წლის ანგარიშით საქართველოს მე-11 ადგილზე იმყოფებოდა 7.87 ქულით. შექმნილია რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტზე. მიმდინარეობს მუშაობა საპენსიო რეფორმაზე რეგულირების გავლენის შეფასების მიზნით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება; სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;

მიღწეული მაჩვენებელი:

- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული რეიტინგები:
 - ✓ საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიო ბანკის 2016 წლის ანგარიშით „ბიზნესის კეთება 2017“ საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 7 პოზიციით და იმყოფება 16-ე ადგილზე 80.20 ქულით. მათ შორის, 10 ინდიკატორიდან სარეიტინგო პოზიცია გაუმჯობესდა შემდეგი 7 ინდიკატორის მიხედვით: ბიზნესის დაწყება - მე-8 ადგილი 96.13 ქულით; მშენებლობის ნებართვა - მე-8 ადგილი 82.84 ქულით; ელექტროენერგიით მომარაგება - 39-ე ადგილი 82.73 ქულით; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-7 ადგილი 76.67 ქულით; გადასახადების გადახდა - 22-ე ადგილი 87.43 ქულით; ვაჭრობა საზღვრებს შორის - 54-ე ადგილი 85.15 ქულით; კონტრაქტების აღსრულება - მე-16 ადგილი 73.21 ქულით. ქონების რეგისტრაცია და კრედიტის მიღება - ინდიკატორის მიხედვით პოზიციები არ შეცვლილა, ხოლო გადახდისუუნარობის მიხედვით - გაუარესდა 5 პოზიციით;
 - ✓ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის „Frazer Institute“-ს 2016 წლის ანგარიშით საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 6 ადგილით და მე-5-ე ადგილზე იმყოფება 7.98 ქულით
- მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები: კალმანის ფილტრის გამოყენებით შეფასებულმა მშპ-ს პოტენციურმა დონემ შეადგინა 4.6%; წინასწარი შეფასებით 2016 წლის ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 2.2%; 2016 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.2%, რაც მიზნობრივზე (5%) დაბალია; წინასწარი მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის ცხრა თვეში შეადგინა 1.3 მლრდ აშშ დოლარი, რაც 4.9%-ით აღემატება 2015 შესაბამის მაჩვენებელს; 2016 წლის ივნისის შემდეგ დაიწყო ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა და გამომდინარე აქედან, მესამე და მეოთხე კვარტლებში ექსპორტის რეალურმა ზრდამ შეადგინა შესაბამისად 18% და 23%; რაც შეეხება იმპორტს, 2016 წლის აპრილიდან იმპორტის ზრდა ძირითადად საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული. ტენდენცია შეიცვალა მეოთხე კვარტალში, როცა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შუალედური საქონლის იმპორტის ზრდამ შეიტანა. მთლიანობაში 2016 წელს საინვესტიციო საქონლის წვლილი იმპორტის წლიურ ცვლილებაში იყო დადებითი და 2.0 პროცენტული პუნქტი შეადგინა. შუალედური საქონლის წვლილი წლიურ ცვლილებაში კი უარყოფითი და შეადგინა 2.7 პროცენტული პუნქტი.

ცდომილების მაჩვენებელი:

- 5% - საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა განხორციელებული რეფორმა შესაბამისად აისახებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში;
- 2016 წელს განხორციელებული ექსპორტის თანხობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად იმოქმედა პროდუქციაზე საშუალო საექსპორტო ფასების ვარდნამ. ფასების შენარჩუნების შემთხვევაში 2016 წელს სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდებოდა 2%-ით.

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში; საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;
- საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;
- არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითარება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის) გაფორმება;
- „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციისა და „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ მომზადება;
- ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოძინება და უძრავი ქონების სექტორის განვითარება;
- კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;
- საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება;
- საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია;
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა;
- საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება;
- მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;
- ახალი კომპანიების შემოსვლა საქართველოს საავიაციო ბაზარზე;
- სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება;
- სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება;

- სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა;
- სამშენებლო სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- იდენტიფიცირებულ იქნა მაკროეკონომიკური რისკები და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები, ასევე შემუშავდა მეთოდოლოგიები სხვადასხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორის დეტალური გაანალიზების მიმართულებით;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში;
- მოხდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და შეფასება;
- ეკონომიკის განვითარებისათვის იდენტიფიცირებულ იქნა მნიშვნელოვანი მიმართულებები;
- ეკონომიკაში გაიზარდა მეწარმეობის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და წილი;
- გაფორმდა შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
- გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტრუქტურა და გამოჩნდა ახალი საექსპორტო პროდუქცია: ხმელი ლიმონი, ტყემლის, ქაჯვის, ასკილის, კარალიოკისა და ვაშლის ჩირი;
- განხორციელდა საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია გლობალური მასშტაბით. გამოიკვეთა პროდუქციის ახალი საექსპორტო ბაზრები, კერძოდ: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ერაყი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, სირია; ცხვარი - ყატარი; თხილი და კაკალი - ალჟირი, ლიბანი, ეგვიპტე; ციტრუსი - გერმანია; ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - საუდის არაბეთი, ეგვიპტე; სპირტიანი სასმელები - ვიეტნამი; ციანიდები და ოქსიციანიდები - მაროკო, ნიგერია; დაუმუშავებელი ოქრო - შვეიცარია;
- შემუშავდა „ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კანონის პროექტი;
- უძრავი ქონების ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა საინვესტიციო შესაძლებლობები აღნიშნული სექტორის სხვადასხვა მიმართულებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმროების მაღალი დატვირთულობის მაჩვენებელი, რამაც ხელი შეუწყო ამ ინდუსტრიით ინვესტორების დაინტერესების ზრდას;
- მომზადდა და გამოიცა საინვესტიციო კატალოგი, რომელმაც ხელი შეუწყო ინვესტორების დაინტერესებას ქვეყანაში არსებული პრიორიტეტული სექტორებით, მათ შორის: უძრავი ქონება, ენერგეტიკა, წარმოება, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ინოვაციები და ტექნოლოგიები;
- ორგანიზება გაეწია 6 ღონისძიებას საქართველოში და 4 ღონისძიების ორგანიზებას/მონაწილეობის მიღებას სამიზნე ბაზრებზე (არაბთა გაერთიანებული საამიროები, ჩინეთი, თურქეთი). რის შედეგად მოხდა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების გაცნობა პოტენციური ინვესტორებისათვის და ასევე, მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზება პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით;
- შემუშავდა საპენსიო რეფორმის კანონმდებლობის პროექტი;
- დაიწყო მუშაობა საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონმდებლობაზე;

- ამაღლდა ტრანსპორტის დარგის კონკურენტუნარიანობა, გაღრმავდა საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია;
- გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტით, საქართველოს რკინიგზის საშუალებით და საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მეშვეობით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვი. საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთნაკადების ზრდა განპირობებულია საქართველოს ავიაბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოსვლით და ბოლო პერიოდში საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციით;
- გაიზარდა პარტნიორ ქვეყნებთან პარიტეტის საფუძველზე ფუნქციონირებადი მარშრუტებისა და შესრულებული რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო რეისების ოდენობა;
- შემუშავდა სივრცითი მოწყობისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის დოკუმენტაცია და მათ საფუძველზე ამაღლდა მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი;
- შემუშავდა „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის“ პროექტი;
- შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“;
- ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელდა პირველი ფაზით გათვალისწინებული საცხოვრისი სექტორის ანალიზი;
- საქართველო პირველად იქნა არჩეული მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) ორივე მუდმივმოქმედი საბჭოს წევრ ქვეყნად.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიო ბანკის 2015 წლის ანგარიშით „ბიზნესის კეთება 2016“ საქართველო იმყოფებოდა 23-ე ადგილზე 77.72 ქულით, მათ შორის: ინდიკატორებში საქართველოს პოზიციები და ქულები გადანაწილდა შემდეგნაირად: ბიზნესის დაწყება - მე-10 ადგილზე 96.04 ქულით; მშენებლობის ნებართვა - მე-9 ადგილზე 82.77 ქულით; ელექტროენერგიით მომარაგება - 65-ე ადგილზე 76.15 ქულით; ქონების რეგისტრაცია - მე-3 ადგილზე 91.16 ქულით; კრედიტის მიღება - მე-7 ადგილზე 85.00 ქულით; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - 22-ე ადგილზე 68.33 ქულით; გადასახადების გადახდა - 35-ე ადგილზე 83.75 ქულით; ვაჭრობა საზღვრებს შორის - 62-ე ადგილზე 80.59 ქულით; კონტრაქტების აღსრულება - მე-17 ადგილზე 73.21 ქულით; გადახდისუუნარობა - 101-ე ადგილზე 40.24 ქულით. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის 2015 წლის ანგარიშით საქართველო იმყოფებოდა მე-11 ადგილზე 7.87 ქულით. შექმნილია რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტზე. მიმდინარეობს მუშაობა საპენსიო რეფორმაზე რეგულირების გავლენის შეფასების მიზნით
2. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები; საქართველოს მიმართულებით გადაზიდული ტვირთების მოცულობების და სამგზავრო გადაყვანების გაზრდა; კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში

ჩართული მოსახლეობის რაოდენობა; მშენებლობით დამთავრებული ობიექტების მაჩვენებელი; საინფორმაციო ვებ-პორტალზე ვიზიტორების რაოდენობის ზრდა; საჯარო ლექციებსა თუ სემინარებზე დამსწრე საზოგადოების რაოდენობა; ახალი საექსპორტო ბაზრები; მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა; საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის მოცულობისა და ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა; დასრულებული „მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფცია; საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება; სავაჭრო რეჟიმების ეფექტური გამოყენება; სამშენებლო სფეროს სტატისტიკური მაჩვენებლები; დასრულებული „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“;

მიღწეული მაჩვენებელი:

- სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები:
 - ✓ 2016 წლის საქართველოს სავაჭრო ბალანსი (C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის გამოკლებით) შეადგენს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55%-ს, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის ტოლია;
 - ✓ 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის ჩათვლით) გაიზარდა 20%-ით და შეადგინა 11 966 მლნ აშშ დოლარი. ექსპორტი შემცირდა 4%-ით და შეადგინა 2 114 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი გაიზარდა 27%-ით და განისაზღვრა 9 852 მლნ აშშ დოლარის ოდენობით;
 - ✓ საქართველოს იმპორტში C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტმა შეადგინა 2 619.5 მლნ აშშ დოლარი (27%), ხოლო მედიკამენტების გარეშე - 7 233 მლნ აშშ დოლარი;
 - ✓ დსთ-სა და ევროკავშირის გარდა საქართველოს სხვა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა 15%-ით. შესაბამისად გაიზარდა ამ ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში 33%-დან 38%-მდე. აღნიშნული ჯგუფიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: მექსიკა, კანადა, კოლუმბია, ჩილე, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ეგვიპტე, შვეიცარია, საუდის არაბეთი, ჩინეთი, ერაყი, ისრაელი, სამხრეთ აფრიკა და ტუნისი;
 - ✓ საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ზოგიერთ მეზობელ და რეგიონის ქვეყნებთან (მაგალითად: რუსეთი, უკრაინა და ტაჯიკეთი) გაიზარდა ექსპორტი, დანარჩენთან გაუმჯობესდა ექსპორტის შემცირების ტენდენცია;
 - ✓ აზია-აფრიკის რეგიონსა და სხვა ქვეყნებთან ექსპორტი გაიზარდა 42%-ით 2015 წელთან შედარებით;
 - ✓ ამერიკის რეგიონის ქვეყნებში აღინიშნა ექსპორტის კლება 38.4%-ით 2015 წელთან შედარებით;
- სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მგზავრთნაკადებისა და ტვირთნაკადების რაოდენობა:
 - ✓ საავტომობილო ტრანსპორტი:
 - საქართველოს ტვირთზიდვის მაჩვენებელმა შეადგინა 30.4 მლნ ტონა, რაც 2015 წელთან შედარებით 1%-ით მეტია (30.1 მლნ ტონა) და გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 373.0 მლნ მგზავრი, რაც 2015 წელთან შედარებით 3%-ით მეტია (363.2 მლნ მგზავრი);
 - გაიზარდა საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ერთჯერადი/ მრავალჯერადი ნებართვის ბლანკების ათვისების რიცხვი (წინა წელთან შედარებით ერთჯერადი ნებართვების ათვისების ზრდამ შეადგინა 10,70%, ხოლო მრავალჯერადი ნებართვების ათვისების ზრდამ - 12,58 %);
 - გაიზარდა პარტნიორ ქვეყნებთან პარიტეტის საფუძველზე ფუნქციონირებადი მარშრუტებისა და შესრულებული რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო რეისების ოდენობა. საერთო ჯამში 2016 წელს ფუნქციონირებდა 95 მარშრუტი და სრულდებოდა 597

რეისი დღეში, რაც შესაბამისად 46.15%-ით და 21,59%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით (2015 წელს - 65 მარშრუტი და 491 რეისი);

- ✓ საქართველოს რკინიგზა - 2016 წელს საქართველოს რკინიგზის საშუალებით გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 2.46 მლნ მგზავრი, რაც 2015 წლის რაოდენობაზე 3%-ით მეტია (2.40 მლნ მგზავრი);
- ✓ სამოქალაქო ავიაცია - 2016 წელს საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მეშვეობით გადაზიდულმა ტვირთების რაოდენობამ შეადგინა 32.9 ათასი ტონა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 122%-ით მეტია (14.8 ათასი ტონა). 2016 წელს საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 2.83 მლნ მგზავრი, რაც 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტია 26%-ით (2.26 მლნ მგზავრი);
- სამშენებლო სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა:
 - ✓ მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე გაცემულ იქნა სულ 11 031 ნებართვა (2015 წელს - 10 186 მშენებლობის ნებართვა);
 - ✓ დასრულდა სულ 2 884 ობიექტის მშენებლობა (დასრულებული მშენებლობების საერთო ფართობი შეადგენს 2 468 415 მ²);
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა საპილოტე RIA-ს დოკუმენტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტზე. აგრეთვე მომზადდა ეკონომიკური შეფასება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე“;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული რეიტინგები:
 - ✓ საერთაშორისო რეიტინგში მსოფლიო ბანკის 2016 წლის ანგარიშით „ბიზნესის კეთება 2017“ საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 7 პოზიციით და იმყოფება 16-ე ადგილზე 80.20 ქულით. მათ შორის, 10 ინდიკატორიდან სარეიტინგო პოზიცია გაუმჯობესდა შემდეგი 7 ინდიკატორის მიხედვით: ბიზნესის დაწყება - მე-8 ადგილი 96.13 ქულით; მშენებლობის ნებართვა - მე-8 ადგილი 82.84 ქულით; ელექტროენერგიით მომარაგება - 39-ე ადგილი 82.73 ქულით; მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-7 ადგილი 76.67 ქულით; გადასახადების გადახდა - 22-ე ადგილი 87.43 ქულით; ვაჭრობა საზღვრებს შორის - 54-ე ადგილი 85.15 ქულით; კონტრაქტების აღსრულება - მე-16 ადგილი 73.21 ქულით. ქონების რეგისტრაცია და კრედიტის მიღება - ინდიკატორის მიხედვით პოზიციები არ შეცვლილა, ხოლო გადახდისუუნარობის მიხედვით - გაუარესდა 5 პოზიციით;
 - ✓ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის „Frazer Institute“-ს 2016 წლის ანგარიშით საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 6 ადგილით და მე-5-ე ადგილზე იმყოფება 7.98 ქულით

ცდომილების მაჩვენებელი:

- 5% - საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა განხორციელებული რეფორმა შესაბამისად აისახებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში;
- 2016 წელს განხორციელებული ექსპორტის თანხობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად იმოქმედა პროდუქციაზე საშუალო საექსპორტო ფასების ვარდნამ. ფასების შენარჩუნების შემთხვევაში 2016 წელს სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდებოდა 2%-ით.

5.1.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების გაზრდა, მოძიებული ინვესტიციების გაზრდა და ეკონომიკის განვითარება;
- სახელმწიფო საწარმოების კლასიფიკაციის და მათი ეფექტური მართვის/განკარგვის სწორი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- სახელმწიფო საწარმოთა მომგებიანობის გაზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით ფულადი სახსრების აკუმულირება;
- სახელმწიფო ქონების მოვლა/პატრონობის ფუნქციის უკეთესად განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გამოცხადებულ იქნა 1 582 აუქციონი, პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემულ იქნა 95 ობიექტი. გაყიდული/გადაცემული ქონებიდან მოსალოდნელი ინვესტიცია შეადგენს 86.4 მლნ ლარს, 51.2 მლნ დოლარს და 6.4 ევროს. პრივატიზების სახელმწიფო გეგმა შესრულდა 99.8%-ით;
- 2016 წლის ბოლოს დასრულდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი, რის შედეგადაც აღმოჩენილ/აღრიცხულ იქნა 91 025 ობიექტი. შეფასებულია განსაკარგავად მომზადებული 4 331 საპრივატიზაციო ობიექტი;
- შემცირებულია სახელმწიფო უმოქმედო/არამომგებიანი საწარმოთა რაოდენობა. დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება 18 საწარმოზე, განხორციელდა 35 საწარმოს შერწყმა, მართვის უფლებით გადაცემულია 8 საწარმო, ხოლო გასხვისებულია 3 საწარმო. სახელმწიფო ბიუჯეტში მოზიდულ იქნა 74 850 მლნ ლარი;
- საქართველოს მასშტაბით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააგენტოს დაცვის ქვეშ იმყოფებოდა 45 ობიექტები, რომელზეც არსებობს შეჭრისა ან/და გაძარცვის საფრთხე (2016 წლის დასაწყისში ობიექტების რაოდენობა შეადგენდა 38-ს).

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის დასაწყისში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 280 ერთეულს. მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილია საწარმოთა რაოდენობის 100-ერთეულით შემცირება, რის შედეგადაც 2015 წლის ბოლოსთვის დარჩება 180 ერთეული სახელმწიფო საწარმო;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საწარმოთა ოპტიმიზაციის პროცესის დასრულების შედეგად სახელმწიფოს მართვაში მხოლოდ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების არსებობა (დაახლოებით 60 საწარმო);

მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის მიზნით დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება 18 საწარმოზე, განხორციელდა 35 საწარმოს შერწყმა და 8 საწარმოს მართვის უფლებით გადაცემა, რის შედეგად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს მართვის ქვეშ დარჩა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 135 საწარმო.

5.1.3. მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- რეგიონებში ბიზნესის განვითარება;
- საწარმოების კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობის ზრდა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სამეწარმეო კულტურის ამაღლება;
- ახალი ბიზნესების შექმნის წახალისება;
- ბიზნესში (რე)ინვესტირება;
- დამწყები ბიზნესების მდგრადობის ზრდა;
- ახალი საწარმოების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სასტუმრო ბიზნესის ხელშეწყობის შედეგად ტურისტული პოტენციალის ამაღლება;
- კომპანიების მიერ ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება;
- ექსპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა ზრდა;
- პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ზრდა;
- ცნობადობის ამაღლება საქართველოს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებით (პროდუქტისა და მომსახურების);
- DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და ტექნიკური დახმარების გაწევა;
- კომპანიების პერსონალის ცოდნისა და უნარების ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყებისა და მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2016 წელს დაფინანსდა 2 597 პროექტი (3 964 ბენეფიციარი);
- საწარმოების კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობის ზრდის და საქართველოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების წახალისების, ახალი საწარმოების შექმნის, ბიზნესში (რე)ინვესტირებისა და სასტუმრო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება. 2016 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა 79 ხელშეკრულება (მათ შორის სასტუმრო ბიზნესის ხელშეწყობისა და ტურისტული პოტენციალის ამაღლებისათვის 15), დამტკიცებულმა სესხების საერთო რაოდენობამ შეადგენა 83.4 მლნ ლარი. გამოდინარე აქედან, ჯამური მოსალოდნელი ინვესტიცია შეადგენს 153.1 ლარს;
- „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ინდუსტრიული ნაწილის შესაბამისად განხორციელებული პროექტების ფარგლებში 2016 წელს შეიქმნა 3 400-ზე მეტი, ხოლო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის შესაბამისად - 4 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი;
- სამეწარმეო კულტურის ამაღლების მიზნით მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტის ფარგლებში 2016 წლის ბოლოსთვის ჯამში ტრეინინგი გაიარა 8 880 ბენეფიციარმა;
- ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისების მიზნით საერთაშორისო გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილეობა მიიღო 34 კომპანიამ და ექსპორტი განხორციელდა 10 ქვეყანაში;
- ექსპორტთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით მოქმედებს სავაჭრო ვებ-პორტალ www.tradewithgeorgia.com, რომელზეც დარეგისტრირდა 224 ბენეფიციარი;
- პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის კუთხით გაფორმდა კონტრაქტები 10 მლნ აშშ დოლარის მოცულობით;
- სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში 18 კომპანიის ტოპ მენეჯერმა მიიღო მონაწილეობა „Fit for Partnership“ პროგრამაში. გადამზადდა ექსპორტზე ორიენტირებული 26 კომპანიის წარმომადგენლები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიების 95% წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომლებიც ასაქმებს სამუშაო ძალის 43%, მაგრამ მისი წილი ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებაში არის 16%-მდე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონებში დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობისა და დასაქმებულთა წილის ზრდა 50%-მდე. ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებაში ამ საწარმოთა წილის 23%-მდე გაზრდა;
მიღწეული მაჩვენებელი - წინასწარი მონაცემებით საანგარიშო პერიოდში რეგიონებში დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმებულთა წილი გაიზარდა 59%-მდე, ასევე წინასწარი მონაცემებით ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებაში ამ საწარმოთა წილმა შეადგინა 23%.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ბიზნესში (რე)ინვესტირების მოცულობა პროგრამის დაწყებისას შეადგენდა დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინვესტიციების (მათ შორის რეინვესტირების) მოცულობის ზრდა არანაკლებ 350 მლნ აშშ დოლარის ოდენობით;

მიღწეული მაჩვენებელი - ინვესტიციების (მათ შორის რეინვესტირების) მოცულობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 356 მლნ ლარი, მათ შორის 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით დეკლარირებულმა საინვესტიციო მოცულობამ 153 მლნ ლარზე მეტი.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის დაწყებისას საქართველოს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 508 ათას ადამიანს შეადგენდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობების მხარდაჭერის ნაწილში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 150-მდე პროექტის განხორციელება და 7 000 ადამიანის დასაქმება; სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილში რეგიონებში 5 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა (2016-2017წწ);

მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილით 165 მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შეიქმნა 7 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი, მათ შორის 2016 წელს 79 მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში - 3 400-ზე მეტი სამუშაო ადგილი; პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის შესაბამისად განხორციელებული პროექტების ფარგლებში რეგიონებში შეიქმნა 5 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი, მათ შორის 2016 წელს - 4 000-მდე სამუშაო ადგილი.

5.1.4. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მოწყობა;
- საქართველოში „საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების“ დაარსება;
- მეცნიერებაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომერციული პოტენციალის მქონე პროდუქტის, კვლევის ან მომსახურების განვითარება და/ან დანერგვა, რომელიც გამოიწვევს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურების გაჩენას, წარმოების პროცესის გაღრმავებას, არსებული პროდუქტის გაფართოვებასა და კომერციული პროცესების გამოყენებას საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაიხსნა პირველი ტექნოლოგიური პარკი;
- ამოქმედდა ტექნოპარკის ბიზნეს ინკუბატორი;
- ბიზნეს-ინკუბატორის პროექტში მონაწილე 19 გუნდიდან 11 გუნდი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში (როგორც შპს), 9 გუნდს გაუჩნდა მომხმარებელი და 3-მა გუნდმა დაიწყო გაყიდვების განხორციელება. ბიზნეს-ინკუბატორის 2-მა სტარტაპმა გაიმარჯვა პროექტ „სტარტაპ საქართველო“-ს კონკურსში და მოიპოვა 100 000 ლარამდე ოდენობის ინვესტიცია;
- საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირება დაიწყო დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ოთხმა ლაბორატორიამ და ერთმა ინოვაციების ლაბორატორიამ;
- საქართველოს მუნიციპალიტეტების ცენტრალური ბიბლიოთეკების ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო 3-მა ინოვაციების ცენტრმა (IC);
- სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტი“ მეწარმეებმა წარადგინეს 46 პროექტი წინასწარ ძიებაზე (38 გამოგონება და 8 სასაქონლო ნიშანი), მათ შორის გამოგონებაზე პატენტის მისაღებად - 7 განაცხადი;
- ახალი ბიზნეს-პროექტების შექმნისათვის, ფაბლაბის მოწყობილობის გამოყენებით, იდეების კონკურსებში და ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სტარტაპმა, საიდანაც 30-ზე მეტი უკვე გამოიმუშავეს შემოსავალს;
- ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცეს იყენებდა 50 გუნდი, მათ შორის: სტარტაპები, ბიზნეს-ინკუბატორის გუნდები და ტექნოლოგიურ/კრეატიულ ინდუსტრიებში მომუშავე კომპანიები;
- ტექნოპარკის სამრეწველო ლაბორატორიაში დამზადდა 252 პროდუქტის პროტოტიპი (საიდანაც 20 მაღალტექნოლოგიურია), ხოლო 5 მოქმედ ფაბლაბში - 400-ზე მეტი პროტოტიპი;
- „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 20 ბიზნეს-იდეა (100 000 ლარის ოდენობით);
- სამოგზაურო გრანტების ფარგლებში დაფინანსება მიიღო 20-მა ბენეფიციარმა;
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 84 საგრანტო პროექტი, საიდანაც 5 მაღალტექნოლოგიურია (5000 ლარამდე);
- საგრანტო პროგრამით დაფინანსდა ინოვაციების ხელშეწყობი ღონისძიების ორგანიზებისთვის 12 პროექტი;
- სტარტაპების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში 2016 წლის ბოლოს შეიქმნა 160 დამწყები ბიზნესი, საიდანაც 67 რეგისტრირებული სტარტაპია, ხოლო 93 ფორმირების პროცესშია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით ფაბლაბის ბაზაზე განხორციელებულია 9 პროექტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფაბლაბის ბაზაზე განხორციელებული პროექტების რაოდენობა - არანაკლებ 60 პროექტი 2016-2019წწ.-ში;
- მიღწეული მაჩვენებელი:**
- 2016 წელს ფაბლაბის ბაზაზე განხორციელდა დამატებით 3 პროექტი, მათ შორის:

- ✓ ფაბლაბის მაღალტექნოლოგიური დანადგარების გამოყენების სწავლების მიზნით ჩატარდა 2 ტრენინგ-კურსი;
 - ✓ განხორციელდა „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ პროექტი (ორი ნაკადი);
 - ✓ ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ფაბლაბში მოეწყო „ჰაკატონი“
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ფაბლაბის კონტრაქტორების რაოდენობა 2015 წლის მდგომარეობით შეადგენს 16 ერთეულს;
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - კომპანიების რაოდენობა, რომლებიც პროდუქტის განვითარებას მოახდენენ ფაბლაბის ბაზაზე - ფაბლაბის კონტრაქტორების რაოდენობა გაიზარდა 60 ერთულამდე 2016-2019 წწ.-ში;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მდგომარეობით ფაბლაბის ბაზაზე პროდუქტის განვითარება მოახდინა 100-მა კომპანიამ.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ცენტრების ფორმირება დაგეგმილია 2016 წელს;
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრში მუნიციპალიტეტიდან მისული ვიზიტორების რაოდენობა - საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრებს მუნიციპალიტეტებიდან 2016 წელს ეწვევა 108 000 ვიზიტორი, ხოლო 2017-2019 წწ.-ებში სავარაუდოდ 200 000 ვიზიტორი;
- მიღწეული მაჩვენებელი** - 2016 წელს ზუგდიდის ტექნოპარკს, ქ. ბაღდათის, სოფ. ჭოპორტისა და დაბა ხარაგაულის ინოვაციების ცენტრებს ეწვია სულ 2 000 ვიზიტორი. რეგიონებში ინოვაციების ცენტრების ბაზაზე გამართულ ტრენინგ-კურსებსა და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო სულ 1 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ცდომილების მაჩვენებელი - მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა შეადგენს 98%-ს ვინაიდან, ვიზიტორების რაოდენობა (108 000 ვიზიტორი) დათვლილია 87 ინოვაციების ცენტრისათვის. 2016 წელს საზოგადოებრივ ინოვაციების ცენტრში მუნიციპალიტეტებიდან მისული ვიზიტორების ფაქტობრივი რაოდენობა პროპორციულ შესაბამისობაშია რეგიონებში ფორმირებული ინოვაციების ცენტრების ფაქტობრივ რაოდენობასთან.

5.2 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლის ზრდა და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა გახდა უფრო ეფექტიანი: მიმდინარე წელს გაიზარდა როგორც აუდიტორთა რიცხოვნობა ასევე, მათი კვალიფიკაციის დონე ჩატარებული ტრენინგების გათვალისწინებით, საგადასახადო შემოწმების ჩატარების ხანგრძლივობა შემცირდა, ხოლო აუდიტორთა საქმიანობა გახდა უფრო მარტივი.
- გადამხდელებისათვის შეთავაზებულია გადასახადების გადახდის მარტივი და მრავალფეროვანი საშუალებები, მათ შორის მოძრავი სერვის-ცენტრებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამხდელების მომსახურება, საგადასახადო ვალდებულების დროულად და სწორად შესრულების მიზნით ჩატარდა არაერთი შეხვედრა;
- წლის განმავლობაში შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფის მოდულები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა გადამხდელების მიერ გადასახადების სწრაფად და მარტივად გადახდა, ხოლო თანამშრომლების მხრიდან პროფესიული საქმიანობის შესრულების პროცედურების გამარტივება;
- 2016 წლიდან შესაძლებელი გახდა: ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულად შევსება, დარეგისტრირება და ელექტრონული სტატუსების მინიჭება, ელექტრონული საბაჟო ადმინისტრაციული ოქმის შედგენა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებზე და შენახვის სხვა ადგილებზე ნებართვების გაცემა ელექტრონულად, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება ერთიან მოდულებში;
- მიზნობრივ ჯგუფებში მოხვედრილი გადამხდელებისათვის გამარტივდა პროცედურები და შეღავათები, რამაც გამოიწვია 2016 წელს მობილიზებული შემოსავლები გაზრდა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაჟისო მაჩვენებელი** - დამტკიცდა 2015-2016 წლების ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის წახალისების სტრატეგია. მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკაში რეალიზებასთან დაკავშირებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სტრატეგიით გათვალისწინებულ მიზნობრივ ჯგუფებში მოხვედრილი გადამხდელებიდან მობილიზებული გაზრდილი შემოსავლები და ამ სფეროში შემცირებული საგადასახადო დანაკლისი;
მიღწეული მაჩვენებელი - მიზნობრივ ჯგუფებში მოხვედრილი გადამხდელებისათვის გამარტივდა პროცედურები და შეღავათები, რამაც გამოიწვია მობილიზებული შემოსავლების გაზრდა, კერძოდ 2016 წლის განმავლობაში წარმოდგენილი ქონების გადასახადის დეკლარაციების რაოდენობა 2015 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 19,1%-ით, ხოლო დარიცხვა 14,6%-ით;
2. **საბაჟისო მაჩვენებელი** - შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულია შიდა და გარე მოხმარების პროგრამული უზრუნველყოფა (ელ-სერვისები). მიმდინარეობს მუშაობა არსებული სისტემების დახვეწაზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაუმჯობესებული შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისები; შიდა მოხმარების პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დახვეწა; Android სიტემის აპლიკაციის განვითარება და დახვეწა; ახალი აპლიკაციების შემუშავება სხვა მობილური პლატფორმებისათვის.
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლიდან შესაძლებელი გახდა: ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულად შევსება, დარეგისტრირება და ელექტრონული სტატუსების მინიჭება; ელექტრონული საბაჟო ადმინისტრაციული ოქმის შედგენა; თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებზე და შენახვის სხვა ადგილებზე ნებართვების გაცემა ელექტრონულად; გადამხდელისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა; შეიქმნა და დაიხვეწა აპლიკაცია android-ისთვის.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან
ჰარმონიზების
კუთხით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.
- მიღწეული მაჩვენებელი** - საქართველოს საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზების კუთხით წლის განმავლობაში საქართველო დაესწრო მსოფლიო ფორუმებს და იყო არაერთი სამუშაო შეხვედრის მონაწილე. ამასთან, სსიპ - შემოსავლების სამსახურმა უმასპინძლა გლობალური ფორუმის პლენარულ სესიას;
4. **საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს გამშვები პუნქტების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა; გაიხსნა კინოლოგიის ცენტრი;
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამშვები პუნქტების სრულად აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის დანერგვა; API (მგზავრის შესახებ წინასწარი ინფორმაცია) – PNR (მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერი) სისტემის დანერგვა.
- მიღწეული მაჩვენებელი** - აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის საქართველოში იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, გამოცდილების მისაღებად კი შეხვედრები გაიმართა ლიტვაში, უკრაინასა და სლოვაკეთში, ასევე, ტრენინგები ჩატარდა საქართველოში. „ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის“ ფარგლებში. შეძენილია ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის აუცილებელი აღჭურვილობის ძირითადი ნაწილი რამდენიმე საბაჟო-გამშვები პუნქტისთვის, ასევე მიმდინარეობს API (მგზავრის შესახებ წინასწარი ინფორმაცია) – PNR (მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერი) სისტემების დანერგვა.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა;

- სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა;
- ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა;
- საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად მობილიზებული სათანადო რესურსი;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს;
- დონორებთან/პარტნიორებთან უზრუნველყოფილია საგარეო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის ეფექტური თანამშრომლობა;
- საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების არეალი გაფართოებულია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს წარედგინათ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების წარდგენა;

მიღწეული მაჩვენებელი - კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების (2015 წლის წლიური, 2016 წლის 3, 6 და 9 თვის) ანგარიშები წარედგინა შესაბამის უწყებებს.

2. საბაზისო მაჩვენებელი - წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოცულობებთან;

მიზნობრივი მაჩვენებელი - წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოცულობებთან;

მიღწეული მაჩვენებელი - წლიური ბიუჯეტი და ძირითადი ფისკალური პარამეტრები საშუალოვადიან პერიოდში შეესაბამება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოცულობებს. სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან - 44,6%; ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (GFSM 2001) - 1.4%.

3. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში;

მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის მდგრადობა შენარჩუნებულია და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს (სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან - 44,6%).

4.საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით „BB- სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი “Ba3 (რაც BB- ანალოგია) პოზიტიური”;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება;

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლები.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისთვის შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების 3 სცენარი: საბაზისო, ნეგატიური და პოზიტიური;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი; დახვეწილი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია; ანალიტიკური დოკუმენტი ფისკალური რისკების შესახებ;

მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების 3 სცენარი: საბაზისო, ნეგატიური და პოზიტიური; თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდა ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტი 2016-2020 წლებისთვის, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკური რისკების ანალიზს.

6.საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს აქტიური მუშაობა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების გაფორმების მიმართულებით იმ ქვეყნებთან, რომელთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები.

ამჟამად	შეთანხმებები	ძალაშია	49	ქვეყანასთან;
---------	--------------	---------	----	--------------

მიზნობრივი მაჩვენებელი - შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების არეალის გაფართოება;

მიღწეული მაჩვენებელი - გაფართოებულია საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების არეალი, შეთანხმებები ძალაში შევიდა დამატებით 3 ქვეყანასთან: ლიხტენშტეინი, სამხრეთ კორეა და კვიპროსი (სულ 52 ქვეყანა).

5.4 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა;

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება (რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება);
- მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან;
- უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირებული. განსაზღვრულია მომხმარებელთა მათი სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ;
- უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) კომპონენტები (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) დანერგილია ადგილობრივ თვითმმართველობებში და სსიპ-ებში; საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - eBudget: არსებული ფუნქციონალის მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავება; სისტემის მოქმედების არეალის „გარეთ“ დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზება და ახალი მოდულების დამატება; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაუმჯობესება; eTreasury: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა; სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება/ახალი მოდულების დამატება; eDMS: ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება/გაუმჯობესება; eHRMS: შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და კარიერის განვითარების მართვის მოდულების დანერგვა. ახალი მოდული - self-service დამატება (რაც საშუალებას მისცემს თითოეულ თანამშრომელს მართოს საკუთარი მონაცემები და განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა კადრების დანაყოფის თანამშრომლებთან); **მიღწეული მაჩვენებელი** - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის პარამეტრები შესაბამისობაშია დაგეგმილ მაჩვენებლებთან.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონი (eAuction).

მიზნობრივი მაჩვენებელი - eAuction საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალის და დიზაინი შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument დანერგილია 100-ზე მეტ ორგანიზაციაში ქვეყნის მასშტაბით და ჩართულია 20,000-მდე მომხმარებელი; უზრუნველყოფილია სხვა საინფორმაციო სისტემებთან მონაცემთა გაცვლა Interflow სერვისით.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან; შემუშავებულია და მომხმარებელ ორგანიზაციებში დანერგილია სისტემის ახალი ვერსია; განხორციელებულია ინტეგრაცია სხვა საინფორმაციო სისტემებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან. შემუშავებულია სისტემის ახალი ვერსია და განსაზღვრულია მისი ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურებში დანერგვის გრაფიკი. სისტემა დანერგილი და მხარდაჭერილია ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების, ჯამურად, 200-ზე მეტ ორგანიზაციაში.

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაკვეთით შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა (eNRMS).

მიზნობრივი მაჩვენებელი - eNRMS საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალის და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

5. **საბაზისო მაჩვენებელი** - შემუშავებული და ექსპლოატაციაში გაშვებულია რამდენიმე ათეული ვებგვერდი. შემუშავების და განვითარების პროცესშია სხვა ავტომატიზებული სისტემები. ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის დაკვეთით შემუშავებულია საერთაშორისო დახმარებების მართვის ელექტრონული სისტემა (eAIMS).

მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - შექმნილი და/ან განახლებულია 12 ვებგვერდი და სისტემა. ფუნქციონალი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან.

6. **საბაზისო მაჩვენებელი** - მაქსიმალური მდგრადობის და ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ძირითადი და სარკულ მონაცემთა დამუშავების ცენტრები მუშაობს active-active რეჟიმში; ტექნიკური პერსონალი გადამზადებულია და გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია; განხორციელებულია სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის მოდერნიზაცია; განხორციელებულია ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი ტექნიკური ინსტრუმენტების ინტეგრაცია ქსელსა და სისტემებში.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა და მისი სიმძლავრეები შესაბამისობაშია კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან; ბიზნეს-პროცესები ხორციელდება ITIL სტანდარტების შესაბამისად. მისაღებ დონემდეა შემცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების რისკები.

მიღწეული მაჩვენებელი - დანერგილია ერთ-ერთი ძირითადი ITIL პროცესი - ცვლილებების მართვის სისტემა. პერიმეტრზე განთავსებულ სერვერებზე დაინსტალირებული და დაკონფიგურირებულია SQL injection ფილტრაციის და შემოტევისაგან დამცავი სისტემა. განახლებულია ძირითადი ქსელის მოწყობილობები.

5.5 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- აღებული ვალდებულებებისა და ფუნქციების შესრულება, სტატისტიკური კვლევების განხორციელება და მისი შედეგების გამოქვეყნება;
- ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის და პრიორიტეტების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევების მართვა და გავრცელდა მისი შედეგები; დამუშავდა და გამოქვეყნდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები; შემუშავდა მეთოდოლოგიური სტანდარტები; განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული სისტემები; განახლდა ოფისები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესრულდა სამსახურის დასახული ამოცანები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა;

მიღწეული მაჩვენებელი - სტატისტიკური მეთოდოლოგია და სტანდარტები შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან; სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

5.6 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები;
- მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლების, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა;
- მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ;
- მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადასხვა სექტორში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) მონაცემთა გაანგარიშება, ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება, ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება, ენერგეტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება და ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება, დემოგრაფიული ვითარების ამსახველი მონაცემების გაანგარიშება და გავრცელება, სხვადასხვა სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გაანგარიშება; დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გაანგარიშება; მოსახლეობის შემოსავლების, ხარჯების, სიღარიბის და უთანაბრობის მაჩვენებლების გაანგარიშება; შიდა ტურიზმის მაჩვენებლების გაანგარიშება; მიღებული და გავრცელებული იქნა სოციალური სტატისტიკის შესახებ სხვა მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები; განხორციელდა სამომხმარებლო კალათის დადგენისთვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა; მიღებული იქნა როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ; მიღებულ იქნა მონაცემები საწარმოებში და შინამეურნეობებში ინოვაციური აქტივობის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაცემთა ანალიზი და შედარებები; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა;

მიღწეული მაჩვენებელი - საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები (ძირითადად დადებითი); სხვადასხვა ჭრილში გამოქვეყნებული ახალი მონაცემები.

5.7 სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სათანადო დონეზე შენარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, განვითარდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- თურქულმა კომპანია „Kayabas Tekstil“-მა ქ. ქუთაისში გახსნა სამკერვალო საწარმო (ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული) და დაასაქმა 70 ადამიანი;
- ამერიკულმა არქიტექტურულმა სერვისების კომპანია „Base 4“-მა საქართველოში დააფუძნა კომპანია, რომელიც განახორციელებს არქიტექტურულ/საინჟინრო სერვისების აუტოსორსინგს და საწყის ეტაპზე დაასაქმა 50 ადამიანი;
- აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა უმსხვილეს BPO-კომპანია „Arvato“-მ თბილისში გახსნა BPO-ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია გერმანულენოვან ფინანსური სერვისების აუტოსორსინგზე და მიმდინარე ეტაპზე დაასაქმა 80 კაცი;
- თურქულმა კომპანია „The Organic People“-მა „აწარმოე საქართველოში“ პროექტ-ის ფარგლებში მოაწერა ხელი მიწის უფასოდ მიღების ხელშეკრულებას ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მაკარონის, პურის, გაყინული პიცების და სხვა გამომცხვარი პროდუქტების საწარმოს აშენების მიზნით;
- კომპანიებმა საუდის არაბეთიდან („Hajer LLC” და „Mag Agri”) განახორციელეს ინვესტიცია სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ქართველ პარტნიორებთან ერთად შეიძინეს 33 ჰა მიწა, რომლის ნაწილზეც გააშენებენ თხილის ბაღებს;
- გერმანელმა ინვესტორმა „Ingo Schlutius“-მა ბახმაროში დაიწყო „Free ride” ტურისტული საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც იქირავა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კოტეჯები, შეისყიდა მოძრავი ტექნიკა და დაიწყო „სატესტო სეზონის“ გახორციელება;
- ინდოელმა ინვესტორმა Saurabh Pahuja შეიძინა უძრავი ქონება ქუთაისის ცენტრში შერეული ტიპის (საცხოვრებელი და კომერციული) კოპლექსის აშენების მიზნით;
- ქიმიურ სექტორში მოღვაწე მსოფლიოს ერთ-ერთმა ლიდერმა კომპანია „Henkel“-მა გარდაბნის მუნიციპალიტეტში გახსნა წებოცემენტის საწარმო;
- ამერიკულმა კომპანიამ SEI, ნუშის ბაღების გაშენების მიზნით, კახეთის და ქართლის რეგიონში დაიწყო მოძიებული მიწების ნიადაგის შესწავლის სამუშაოები;
- ბრიტანულმა IT კომპანია „Xoomworks“-მა საქართველოში შეარჩია პარტნიორი კომპანია „Wandio” და მასთან გააფორმა მემორანდუმი, რიც საფუძველზეც აღნიშნული კომპანია მომავალში პროექტებს დაუკვეთავს ქართულ პარტნიორს;

- ესტონური კომპანია „Skinest Group“-ის მიერ გაგრძელდა ინვესტიციის განხორციელება 330 ჰა მიწის ნაკვეთში, რომლის 40 ჰა-ზე იგეგმება გოლფის სტადიონის მოწყობა, ხოლო 290 ჰა-ზე ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება (მიწის და გოლფის მოედნის ღირებულება - 34 მლნ დოლარი, ხოლო საცხოვრებელი კომპლექსების - დაახლოებით 250 მლნ დოლარი);
- ინდურმა კომპანია „Tata Group“-მა IFC-სთან და ნორვეგიულ კომპანიებთან („Norsk Mineral“ და „Clean Energy“) ერთად დაასრულა მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს უშუალო ჩართულობითა და განხორციელებული აქტივობების მეშვეობით 2015 წლის განმავლობაში დაიგეგმა/მიმდინარეობდა 26 პროექტი
მიზნობრივი მაჩვენებელი - მიმდინარე/დაგეგმილი საინვესტიციო საბაზისო პროექტების განხორციელების შემდგომ ეტაპზე ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება საბაზისო მაჩვენებლის 83%-ით
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში დაიგეგმა და მიმდინარეობდა 25 პროექტი. სააგენტოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა 160.0 მლნ დოლარის ინვესტირების ხელშეწყობა
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლისათვის სააგენტოს ხელშეწყობით მიმდინარე პროექტებში დასაქმებულ პირთა ოდენობა შეადგენს 980 ადამიანს
მიზნობრივი მაჩვენებელი - დაწყებული/დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შემდეგ წელს მოსალოდნელია საბაზისო მაჩვენებლის 23%-ით გაზრდა
მიღწეული მაჩვენებელი - დასაქმებულ პირთა ოდენობამ შეადგინა 1 100 ადამიანი
 ცდომილების მაჩვენებელი - 2016 წელს დაგეგმილი იყო 1 205 ადამიანის დასაქმება სააგენტოს ჩართულობით განხორციელებულ პროექტებში. რეალურად დასაქმდა 1 100 ადამიანი. ცდომილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვერ განხორციელდა „Kaya Group“-ის მიერ დაგეგმილი პროექტი, რომელის ითვალისწინებდა სამკერვალო ფაბრიკის გახსნას ქუთაისში.

5.9 სსიპ - კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - კონკურენციის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა. ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სსიპ - კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ: საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევის, ბაზრის მონიტორინგის, მოსალოდნელი კონცენტრაციის შეტყობინების და განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე, სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით და აგრეთვე, სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის შესწავლის კუთხით;
- ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაიცა რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე ეკონომიკური აგენტების მიმართ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 4 ფაქტი; კარტელური გარიგების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 3 ფაქტი; სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დასრულებული მოკვლევების 3 ფაქტი; შესაბამის ბაზრებზე მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შესწავლის 2 ფაქტი; ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნით, სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა 2 საკითხი და შებამასი რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართლზომიერი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა;

მიღწეული მაჩვენებელი - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით განხორციელებული მოკვლევების ფარგლებში გამოვლენილ იქნა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები,

რომელიც გამოსწორებულ იქნა მთლიანად ან ნაწილობრივ. ასევე გამოვლენილ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები და დასახულ იქნა მათი გამოსწორების გზები, რომელთაგან ნაწილი გამოსწორებულია.

5.11 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაზომვების პრიორიტეტული სფეროებში ყველა დაინტერესებული მხარისათვის (საწარმოები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ორგანოები) ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების გაწევა;
- ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საერთაშორისო მოთხოვნებთან მიახლოება;
- საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებების მეშვეობით;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტების გაზრდა;
- განახლებული და თანამედროვე ელექტრონული საშუალებების ფართოდ გამოყენება სტანდარტიზაციის სფეროში და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების ფუნქციონირება საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- უკვე შესაძლებელია დაინტერესებული მომხმარებლებისათვის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში სააგენტოს მიერ მომსახურების ფართო დიაპაზონის შეთავაზება სხვადასხვა სფეროებში (წნევა, რადიაციული გაზომვები, მცირე მოცულობები, სიგრძე, რადიოფიზიკა, ტემპერატურის სფეროებში და ტენიანობა) და პრიორიტეტული ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება;
- გაიზარდა საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა;
- 2016 წლისათვის საქართველოს სტანდარტად მიღებული იყო 7 300-მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, ხოლო 2016 წლის ბოლოსათვის დამატებით მიღებულია 2 100-ზე მეტი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტი;
- სააგენტოში მიმდინარე CIB პროგრამის ფარგლებში მომზადდა სპეციფიკაციები და მოთხოვნები ელექტროლონული ბაზისა და ონლაინ გაყიდვების დანერგვისა და ვებგვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის;

- აღიჭურვა ლაბორატორიები შემდეგი 7 მიმართულებით: წნევა, რადიაციული გაზომვები, მცირე მოცულობები, სიგრძე, რადიოფიზიკა, ტემპერატურა, ტენიანობა.
- განახლდა სააგენტოს შენობის გარე ფასადი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოში განახლებულია და თანამედროვე დონეზე აღჭურვილია 3 ლაბორატორია;
მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა - დამატებით 12 ლაბორატორიის განახლება და თანამედროვე დონეზე აღჭურვლა;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში CIB პროექტისა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დამატებით ლაბორატორიების აღჭურვა და ეტალონური ბაზის განახლება შემდეგ სფეროებში: წნევა და ძალა, რადიაციული გაზომვები, მცირე მოცულობები, სიგრძე, რადიოფიზიკა, ტემპერატურა და ტენიანობა.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 7 000 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების რაოდენობის ზრდა - 2019 წლის ბოლოს საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ჯამური რაოდენობა იქნება დაახლოებით 13 000 (სააგენტო გეგმავს ყოველწლიურად 1 500 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტის საქართველოს სტანდარტად მიღებას);
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 ბოლოსათვის საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია სულ 9 400-მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, მათ შორის 2016 წელს სულ დამატებით მიღებულ იქნა 2 100-ზე მეტი სტანდარტი.
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს მიღწეული აქვს საერთაშორისო აღიარება 3 სფეროში: მასა, ტემპერატურა, ელექტროგაზომვები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ევროპის სტანდარტიზაციის ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში სააგენტოს მონაწილეობა - დაგეგმილია აღიარების მიღწევა 2 ახალ სფეროში და არსებული სფეროებიდან ერთში დიაპაზონის გაფართოება;

მიღწეული მაჩვენებელი - 3 საერთაშორისო დონეზე აღიარებული ლაბორატორია.

5.12 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის რიცხოვნობისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა;
- ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება;
- არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება. მიღებული იქნება აღწერის საბოლოო შედეგები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოქვეყნდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგები;
- გავრცელდა 2014 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის საბოლოო შედეგები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ;

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის საყოველთაო აღწერის და სასოფლო სამეურნეო აღწერის შედეგი გამოყენებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

5.13 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობებითა და საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია;
- EA-სთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება და განახლება;
- აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარება საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისთვის ტექნიკური ბარიერების შემცირების მიზნით.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განხორციელდა აკრედიტირებული პირების 120 გეგმიური მონიტორინგი და გაიცა 38 ახალი აკრედიტაცია;
- აკრედიტაციის სისტემაში ამოქმედდა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით და აკრედიტაციის პროცესი წარიმართა განახლებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ევროკავშირის CIB პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აკრედიტაციის პროცესების მენეჯმენტში ჩართული - წამყვანი შემფასებლების, მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისა და ექსპერტების 12 ტრეინინგი;
- აკრედიტაციის ცენტრის განაცხადის საფუძველზე, 2016 წლის ნოემბერში წარმატებით ჩატარდა EA-ს კოლეგიალური შეფასება შემდგომში აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ორმხრივი აღიარების ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციაში 2015 წლის ბოლომდე სრულად დაინერგება ISO/IEC 17065 და ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების ოპერირება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის განხორციელება ISO/IEC 17065 და ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიების მიხედვით;

მიღწეული მაჩვენებელი - განახლებული საერთაშორისო (ISO) სტანდარტების იმპლემენტაცია 5 ახალი მიმართულებით: სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 - ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციისათვის; სსტ ისო/იეკ 17021:2011/2014 - მენეჯმენტის სისტემების აუდიტისა და

სერტიფიკაციის ორგანოებისათვის; სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014 - პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციისათვის; სსტ ისო/იეკ 15189:2012/2015 - სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციისათვის; სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014 - პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოებისათვის;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის სამუშაოების მიმდინარეობს კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ასოცირების შეთანხმების თანახმად მიღებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში აკრედიტაციის განხორციელება - აკრედიტაციის განხორციელება მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში;

მიღწეული მაჩვენებელი - ასოცირების შეთანხმების თანახმად მიღებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების სფეროში გაცემულია 2 აკრედიტაცია. კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროებში გაცემულია 38 აკრედიტაცია და ჩატარებულია 120 გეგმიური მონიტორინგი.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ასოცირებული წევრი და მონაწილეობს მის მუშაობაში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება - გაკეთებულია ევროპული თანამშრომლობის (EA) მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის შეფასება. ამ შეფასების შედეგების მიხედვით გაკეთებულია მაკორექტირებელი ღონისძიებები რათა EA-სა და აკრედიტაციის ცენტრს შორის ხელი მოეწეროს ორმხრივი აღიარების შეთანხმება. განიხილება საკითხი აკრედიტაციის ცენტრსა და ILAC, IAF-თან მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერის საჭიროების შესახებ საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად;

მიღწეული მაჩვენებელი - EA-ს შემფასებელთა ჯგუფმა მიიღო დადებითი რეკომენდაცია აკრედიტაციის ცენტრი გახდეს EA-თან ორმხრივი ხელშეკრულების ხელმომწერი.

5.14 ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) (24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენა მთელი ქვეყნის მასშტაბით და მცირე და საშუალო ქართველი მეწარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ინტერნეტიზაციის პროცესის, მათ შორის კომპიუტერული წიგნიერების ამაღლება და საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მომუშავე კვალიფიციური კადრები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, დაგეგმილი საბოლოო შედეგების მისაღწევად, ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
 - ✓ დაკომპლექტდა პროექტის განხორციელებელი ძირითადი გუნდი;
 - ✓ ინოვაციების ცენტრების გახსნის მიზნით მოხდა 7 ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება მუნიციპალიტეტებში;
 - ✓ ცენტრების შერჩევის მიზნით რეგიონებში ჩატარდა 7 კვლევა საჭიროებების შეფასებისთვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ბენეფიციარების მიერ 200 ახალი/გაუმჯობესებული პროდუქტის/სერვისის გაჩენა ახალ ან არსებულ ბაზარზე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ბენეფიციარების მიერ დარეგისტრირებული 340 ახალი სტარტ-აპ კომპანია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ადგილობრივი მოსახლეობის 50%-ის ინტერნეტთან წვდომა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განსახორციელებელ პროექტებში მონაწილე ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა (59 000);

მიზნობრივი მაჩვენებელი - განსახორციელებელ პროექტებში მონაწილე ქალ ბენეფიციართა რაოდენობა - 20%;

ცდომილების მაჩვენებელი - ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის განხორციელების მიზნით 2016 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას საქართველოსთვის 40 მლნ აშშ დოლარის სასესხო რესურსის გამოყოფის შესახებ. სასესხო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის 21 ივლისს და დაიწყო პროექტის განხორციელება, რომელიც დასრულდება 2021 წლის 30 აპრილს. საბოლოო შედეგის შესრულების ინდიკატორები გაწერილია 2016-2021 წლებზე.

5.15 სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (პროგრამული კოდი 63 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

- მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების მონიტორინგი;
- მიმდინარეობდა მუშაობა გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის;
- მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა და განვითარება მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით;
- მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტების, ევროდირექტივების მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;
- უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;
- დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა;
- განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის, წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement“-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში

რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესყიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; შესყიდვების ელექტრონულ ფორმატზე გადავიდა კონკურსის საშუალებით პროექტების შესყიდვის პროცედურების ჩატარება; მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან იწყება მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც გულისხმობს გამარტივებული შესყიდვის იმ ნაწილის სააგენტოსთან შეთანხმებას, რომელზე გადაწყვეტილებასაც სუბიექტურად იღებს შემსყიდველი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა

მიღწეული მაჩვენებელი:

- უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;
- დაინერგა გამარჯვებულის გამოვლენის ახალი მეთოდი, რომლის საშუალებით ხარისხისა და ფასის კრიტერიუმების ჯამური კრიტერიუმების შესაბამისად შემსყიდველს აქვს საშუალება ტენდერით მიიღოს ეკონომიკურად მომგებიანი წინადადება. გარდა ამისა, დაინერგა გამარტივებული შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურები და ვადები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა გამარტივებული შესყიდვის ჯამური ოდენობა;
- გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.

5.16 სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (პროგრამული კოდი 23 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

- ვებ-გვერდზე (eAuction.ge) ამოქმედდა განახლებული ინტერნეტ მაღაზია, სადაც ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საშუალება აქვს შეიძინოს ან/და გაყიდოს სასურველი ქონება სახლიდან გაუსვლელად e-მაღაზიის რეჟიმში, ასევე განხორციელდა რიგი ცვლილებები სისტემის დახვეწა/მოდერნიზაციის მიმართულებით. 2016 წელს ახალი მომხმარებლების რაოდენობამ შეადგინა 11 137 პირი;
- შეიქმნა ვებ-გვერდის (eAuction.ge) მობილური აპლიკაცია;

- შემუშავდა და განახლდა მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი service.gov.ge, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ იხილონ სააგენტოში მიმდინარე სიახლეები, სააგენტოს განახლებული სტრუქტურა, ელექტრონული აუქციონის ტარიფები, საკანონმდებლო ბაზა და საჯარო ინფორმაცია;
- ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველსაყოფად, ასევე, ქონების ეფექტური განკარგვის მიზნით დაიხვეწა ვებგვერდი eAuction.ge-ს სისტემა, დაინერგა ახალი სერვისები, ამოქმედდა სხვადასხვა სასარგებლო ღილაკი და დაემატა ახალი ფუნქციები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა;
- ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის დანერგვა;
- რეპორტირების სისტემის ოპტიმიზაცია;
- ERP ინტეგრირება www.eauction.ge-თან და www.rs.ge-თან;
- მომხმარებლისთვის მოქნილი და მარტივი ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველსაყოფად, ასევე, ქონების ეფექტური განკარგვის მიზნით დაიხვეწა ვებგვერდი eAuction.ge-ს სისტემა, დაინერგა ახალი სერვისები, ამოქმედდა სხვადასხვა სასარგებლო ღილაკი და დაემატა ახალი ფუნქციები;
- უზრუნველყოფილია მოქნილი და გამარტივებული მომსახურების სისტემა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - eAuction.ge სისტემაში რეგისტრირებული 60.0 ათასამდე მომხმარებელი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - eAuction.ge სისტემაში რეგისტრირებული 80.0 ათასამდე მომხმარებელი;
მიღწეული მაჩვენებელი - eAuction.ge სისტემაში რეგისტრირებული 72.0 ათასამდე მომხმარებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქონების განკარგვის გამარტივებული პროცესები, ფუნქციურად განახლებული ელექტრონული სისტემების საშუალებით.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიხვეწა ვებ-გვერდის (eAuction.ge) სისტემა, სერვისების გამარტივების მიზნით ვებ-გვერდს დაემატა ფუნქციონალური ღილაკები, ასევე დაინერგა ახალი სერვისები.

6 პრიორიტეტი – ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	50,091.0	50,091.0	47,744.9	47,744.9	0.0
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	46,571.7	46,571.7	46,007.2	46,007.2	0.0
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	19,305.1	19,305.1	18,183.9	18,183.9	0.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	14,517.2	14,517.2	15,020.5	15,020.5	0.0
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,875.9	12,875.9	12,875.8	12,875.8	0.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	10,384.2	10,384.2	10,214.2	10,214.2	0.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	14,077.4	14,077.4	13,983.4	13,983.4	0.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	38,538.3	38,538.3	38,382.6	38,382.6	0.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	11,419.7	6,835.6	9,806.2	6,745.0	3,061.2
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	52,242.6	7,458.3	55,476.5	11,435.2	44,041.3
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	5,800.0	5,800.0	4,848.6	4,848.6	0.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,500.0	4,500.0	6,014.4	6,014.4	0.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	4,235.4	3,510.0	4,230.7	3,507.5	723.2
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,447.1	2,297.1	2,286.0	2,278.4	7.6
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,100.0	2,100.0	1,704.4	1,704.4	0.0
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	2,028.4	2,028.4	40.7	40.7	0.0
26 10	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	29,375.9	2,000.0	26,505.7	1,985.6	24,520.1

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	4,153.6	1,700.0	3,658.9	1,695.3	1,963.5
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.0	1,400.0	1,173.6	1,173.6	0.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	1,300.0	1,284.1	1,284.1	0.0
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,082.0	1,082.0	888.6	888.6	0.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,000.0	1,000.0	908.2	908.2	0.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	900.0	900.0	807.2	807.2	0.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	740.7	740.7	0.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	800.0	800.0	0.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	694.8	694.8	0.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	594.9	594.9	0.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	618.3	618.3	0.0

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	510.3	510.3	0.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	649.2	649.2	0.0
61 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	300.0	300.0	0.0	0.0	0.0
26 11	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,477.6	0.0	1,735.7	0.0	1,735.7
26 12	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	49,282.8	0.0	40,793.3	1,099.0	39,694.4
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	1,663.5	625.0	1,472.5	625.0	847.5
სულ		390,019.3	256,147.1	370,655.9	254,061.4	116,594.5

6.2 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- არჩევნების ორგანიზება მაღალ დონეზე;
- სამართლიანად შემდგარი არჩევნები;
- საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის კვალიფიციური მოხელეები;
- არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად დემოკრატიულ, ღია და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებული არჩევნები;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის კვალიფიციური მოხელეები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩეული პირები და საქართველოს პარლამენტის არჩეული წევრები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, მეორე ტურის ჩათვლით, ცესკოს მონაწილეობით გაიმართა 46 სასამართლო პროცესი;

2.მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ.

მიღწეული მაჩვენებელი - არ ფიქსირდება;

3.მიზნობრივი მაჩვენებელი - ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დროს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოიცავს მედია საშუალებების დაფარვის არეალმა.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებულმა საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი;

4.მიზნობრივი მაჩვენებელი - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღეს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით 2 593, ხოლო მეორე ტურის კენჭისყრის დღეს 590 მოქალაქემ ისარგებლა;

5.მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - სასწავლო პროგრამებში მონაწილეობდა - საოლქო საარჩევნო კომისიის 998 და საუბნო საარჩევნო კომისიის 52 313 წევრი;

6.მიზნობრივი მაჩვენებელი - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის განხორციელდა 9 სასწავლო პროგრამა, მონაწილეთა რაოდენობა - 893;

7.მიზნობრივი მაჩვენებელი - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები.

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ ძირითადად დადებითად შეფასდა. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასებით: „ცესკოს ხელმძღვანელობით, საარჩევნო ადმინისტრაცია დროულად და პროფესიონალურად მუშაობდა და ცესკომ საარჩევნო პროცესებში ჩართული არჩევნებში მონაწილე მხარეების მხრიდან მაღალი ნდობა დაიმსახურა.“

6.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა;
- საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასებლად კითხვარები გაეგზავნათ სამინისტროებს (16 სამინისტროს), რომელიც უწყებებს აფასებს 7 ძირითადი კომპონენტის მიხედვით, რაც არსებითია მათი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებაში 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ განხილულ იქნა სამინისტროთა საქმიანობა ადამიანური რესურსების მართვის, გარე კომუნიკაციების და შიდა აუდიტის ასპექტში. შემუშავდა 2 პუბლიკაცია: სახელმწიფო ქონების მართვა - უკეთესი პრაქტიკა, შრომის ანაზღაურება საჯარო სექტორში - უკეთესი პრაქტიკა.

6.4 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის კუთხით ჩატარდა 14 პროექტი;

- ჩატარდა 21 საგრანტო პროექტი ინფორმირებული ამომრჩევლის საარჩევნო პროცესებში ჩართვის კუთხით, 6 პროექტი - ქალთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით და 9 პროექტი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 23 პოლიტიკური პარტიის (მათ შორის, 11 კვალიფიციური და 12 არაკვალიფიციური პარტიის) 1 431 წარმომადგენელმა;
- ფინანსური მხარდაჭერა გაეწია საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 50 საგრანტო პროექტი

6.7 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი საარქივო ფონდის დოკუმენტები და მათი დაცულობის უზრუნველყოფა;
- მოწესრიგებული საარქივო, საოფისე ინფრასტრუქტურა და საცავები;
- მოქალაქეთა ელექტრონული მომსახურების სისტემის ხელმისაწვდომობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანილ იქნა დოკუმენტები და აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი;
- მოწესრიგდა რეგიონული და ადგილობრივი არქივები, საოფისე ინფრასტრუქტურა და საცავები;
- განახლდა და დაიხვეწა მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული პროგრამა, საარქივო სერვისით კმაყოფილი მოქალაქეთა პროცენტული მაღალი მაჩვენებელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანერდა 2 872 ათასი დოკუმენტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად, ელექტრომატარებლებზე გადატანილ იქნება 700 ათას გვერდი;
მიღწეული მაჩვენებელი - ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანილია ეროვნული საარქივო ფონდის 1 500 ათას გვერდზე მეტი;

2.საბაზისო მაჩვენებელი - განახლდა რუსთავისა და თელავის რეგიონული არქივები, ასევე, აბაშის რაიონული არქივი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს აშენდება და გარემონტდება სამეგრელოს რეგიონული არქივი, თბილისში საგამოფენო სივრცე. 2017 წელს - ქუთაისის ცენტრალური არქივი, 2018 წელს დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონული არქივის მშენებლობა, ხოლო 2019 წელს - თბილისში არქივის დამატებითი საცავი;
მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა სამეგრელოს რეგიონული არქივის შენობა (საერთო ფართი - 1455 მ², მათ შორის საცავი - 1117 მ²), ქ. თბილისში საგამოფენო პავილიონის შენობა (589,7მ²) და უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 17 სართულიანი კომპლექსის კიბის უჯრედი, დამხმარე ოთახები, ასევე, სხვენი; ფოთის ადგილობრივი, დუშეთის, ზესტაფონის, ხაშურის, კახეთის რეგიონული არქივებისა და ბოლნისის ადგილობრივი წარმომადგენლობის შენობები;

3.საბაზისო მაჩვენებელი - ცენტალიზაციას დაექვემდებარა 38 ადგილობრივი არქივი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისათვის დაგეგმილია 2 არქივის ცენტალიზაცია (სენაკი და აბაშა), 2017 წლისათვის - 3 (საჩხერე, ჭიათურა და ტყიბული), ხოლო 2018 წლისათვის - 3 (ხაშური, კასპი და ახალქალაქი);
მიღწეული მაჩვენებელი - ცენტალიზაციას დაექვემდებარა სენაკისა და აბაშის არქივები;

4.საბაზისო მაჩვენებელი - საარქივო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 80%-იანი მაჩვენებელი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 80% მაჩვენებლის შენარჩუნება;
მიღწეული მაჩვენებელი - საარქივო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 80%-იანი მაჩვენებელი;

6.8 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაზრდილი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებაზე, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე;
- მომხმარებელთა საჭიროებების საპასუხოდ არსებული და ახალი სერვისების განვითარება;
- საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებაზე როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე;
- მომხმარებელთა საჭიროებების საპასუხოდ განვითარდა სააგენტოს არსებული და ახალი სერვისები ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;
- შესრულდა სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები როგორც საერთაშორისო პარტნიორობის, ისე ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის ფარგლებში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - ფუნქციონირებს 32 საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო 9 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 200-ზე მეტი სოფლის მოსახლეობას;

ახალი **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 - ფუნქციონირებს 27 საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო 9 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 200-ზე მეტი სოფლის მოსახლეობას (ახალი საბაზისო მაჩვენებლები მოყვანილია 2015 წლის ბოლოს არსებული დაზუსტებული მონაცემებიდან გამომდინარე);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2017 - ყოველწლიურად სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 10-11 ახალი საზოგადოებრივი ცენტრი, 2018-2019 - თითოეულ წელს 5. 2016-2019 - სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 64 საზოგადოებრივი ცენტრი, ხოლო 2016 წელს 71 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 1000 -ზე მეტი სოფლის მოსახლეობას;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 17 ახალი საზოგადოებრივი ცენტრი, სულ 44, ხოლო 52 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით სერვისები მიეწოდება 1000-ზე მეტი სოფლის მოსახლეობას;

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა დანერგილია 2 მუნიციპალიტეტში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 - მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა ყოველწლიურად დანერგილია 10 მუნიციპალიტეტში;

მიღწეული მაჩვენებელი - მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა დანერგილია 46 მუნიციპალიტეტში;

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - დისტანციური სერვისების ახალ სისტემაში სააგენტოს მიერ წარმოებული 19 სერვისი გაიცემა ინფორმაციული უსაფრთხოების და პერსონალური მონაცემების დაცვის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისად;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 - დანერგილია 6 დისტანციური სერვისი; 2017 - 9 დისტანციური სერვისი; 2018 - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციურად შესაძლო ყველა სერვისი ხელმისაწვდომია დისტანციურად;

მიღწეული მაჩვენებელი - დაინერგა 7 დისტანციური სერვისი;

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენების მომსახურება (პირადობის მოწმობის გამოყენებით) არ გაიცემა სააგენტოს მიერ და ასევე, არცერთი სახელმწიფო და კერძო უწყება არ აწარმოებს დოკუმენტბრუნვას ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 - ჩატარებულია სამუშაოები ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის, რომელიც მოიცავს ასევე, სააგენტოს მიერ წარმოებული ყველა მომსახურების შედეგად შექმნილ დოკუმენტებზე ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებასთან დაკავშირებულ კომპონენტებს. 2017 - სააგენტოს მიერ წარმოებული ყველა მომსახურების შედეგად შექმნილი დოკუმენტების 100% გაიცემა ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით; 2017 - სახელმწიფო უწყების 20% აწარმოებს დოკუმენტბრუნვას ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით; 2018 - 50%; 2019 - 80%; 2016 - 2017 - თითოეულ წელს, ერთი წამყვანი (ბრუნვის მიხედვით) კომერციული ბანკის დისტანციურ სისტემაში დანერგილია ციფრული ხელმოწერა ან/და ციფრული შტამპი სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატებით, 2018 - დამატებით 3 წამყვან (ბრუნვის მიხედვით) კომერციულ ბანკში;

მიღწეული მაჩვენებელი - ჩამოყალიბდა ერთიანი პროგრამული პლატფორმა, რომელიც მოიცავს სააგენტოს მიერ წარმოებული ყველა მომსახურების შედეგად შექმნილ დოკუმენტებზე ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებასთან დაკავშირებულ კომპონენტებსაც;

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - ამ ეტაპზე არ ხდება მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტების გაცემა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 - (2016 წლიდან) გაიცემა მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტები, ევროკავშირის ვიზა-ვიზალიზერალიზაციის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად;

მიღწეული მაჩვენებელი - გაიცა მე-3 თაობის 121 567 ბიომეტრიული პასპორტი;

6.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 - მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია საჭიროებს შემდგომ მხარდაჭერას, ეროვნულ დონეზე, მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროცესების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 - მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემა გაშვებულია სატესტო რეჟიმში; 2017 - სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით, გასწორებულია მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემის სატესტო რეჟიმით ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზები; 2016 - ამოქმედებულია 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა; 2017-2018 - სამოქმედო გეგმაში განხორციელებულია სათანადო ცვლილებები სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მონიტორინგის საფუძველზე; 2016 - განახლებულია მიგრაციის პროფილი

მიღწეული მაჩვენებელი - მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემა გაეშვა სატესტო რეჟიმში; ამოქმედდა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. განახლდა მიგრაციის პროფილის მოკლე ფორმატის ვერსია.

პროგრამის განმახორციელებელი:

- სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2015 წელთან შედარებით, შემოსული საქმეების მთლიანი რაოდენობა გაზრდილია 4.6%-ით, ხოლო 2016 წელს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა გაორმაგებულია, გაწეული კონსულტაციების რაოდენობა კი გაზრდილია 6%-ით.
- იურიდიული დახმარების ბიუროებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარეს 195 გასვლითი კონსულტაცია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის არანაკლებ 2%-ით გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 14.5 %-ით.

6.10. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;
- თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის უფლებათა ცენტრი, ტოლერანტობის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;
- სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- აღმოჩენილი და დაფიქსირებულია ადამიანის უფლებების დარღვევები;
- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად განხორციელდა პრევენციული ზომების მიღება;
- ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ჩატარდა მონიტორინგი (გეგმიური -არაგეგმიური);
- მხარდაჭერილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრებისა და რეგიონული ოფისების მუშაობა;
- ადამიანის უფლებათა სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა საინფორმაციო ბიულეტენების, ანგარიშებისა და პუბლიკაციების გამოცემა, მედიასაშუალებებში სოციალური რეკლამის სახით მათი განთავსება და საჯარო დებატების მოწყობა;
- შესრულდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაცია;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს 2006 წლის კონვენციის შესრულებაზე მონიტორინგი;
- მიწოდებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში; მიღწეული მაჩვენებლები - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით მცირე საოჯახო ტიპის 11 ბავშვთა სახლში განხორციელდა - 11 ვიზიტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 6 დაწესებულებაში განხორციელდა - 6 ვიზიტი, 11 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა - 30 ვიზიტი, ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში დეპორტირებული მიგრანტების დაბრუნების პროცესზე დასაკვირვებლად (5 ჩარტერული რეისის ფარგლებში) 5 -5 ვიზიტი განხორციელდა დიუსელდორფისა და ათენის აეროპორტში. გარდა ამისა, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა განახორციელა მონიტორინგი შსს-ს 27 დროებითი მოთავსების იზოლატორში (სულ 31 ვიზიტი) და პოლიციის 58 სამმართველოში (სულ 58 ვიზიტი). პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ექვს რეგიონში 6 შეხვედრა გამართეს ადვოკატებთან და ადამიანის უფლებათა დამცველებთან;

2.მიზნობრივი მაჩვენებელი - დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებებისა და შუამდგომლობების რაოდენობა; მიღწეული მაჩვენებლები - სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირების მიმართ გაიცა - 77 რეკომენდაცია/წინადადება/ზოგადი წინადადება, აქედან - 15 (რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება) გაიცა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში. რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების თვალსაზრისით შესრულდა - 39%, ნაწილობრივ შესრულდა - 10%, არ შესრულდა - 17%, მიღებულია მხოლოდ შუალედური პასუხი - 4%, დაპირება შესრულებაზე - 12%, პასუხი არ მოვიდა - 18%. სპეციალური ანგარიშების ფარგლებში გაიცა - 185 რეკომენდაცია.

3.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა; მიღწეული მაჩვენებლები - ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარდა 13 ტრენინგი. ასევე, თანამშრომლება მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში, როგორც საქართველოს მოსახლეობასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

4.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა. აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი; მიღწეული მაჩვენებლები - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა - 8 827 განცხადება. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი - 6558 განცხადება. განცხადებები სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 91 განცხადება, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 580 განცხადება, სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტი - 3 277 განცხადება, რეგიონული დეპარტამენტი - 2 225 განცხადება, ბავშვის უფლებების ცენტრი - 311 განცხადება, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 161 განცხადება, შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 208 განცხადება, ანალიტიკური დეპარტამენტი - 96 განცხადება,

თანასწორობის დეპარტამენტი - 272 განცხადება, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 29 განცხადება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაასრულა მუშაობა და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო - 7 196 განცხადება/საჩივარზე. კონსულტანტის მომსახურებით ისარგებლა - 3 411 ვიზიტორმა.

6.11 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებით ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება;
- პორტალზე (data.gov.ge) გამოქვეყნებული ღია მონაცემთა ცხრილები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურას დაემატა ახალი ელექტრონული სერვისები;
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე მოხდა რეაგირება, რეკომენდაციების და რეაგირების გზების მეთოდების მიწოდება დაზარალებული ორგანიზაციებისათვის;
- პორტალზე (data.gov.ge) გამოქვეყნდა ღია მონაცემთა ცხრილები XML და CSV ფორმატში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლომდე მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის 56 სერვისი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში იგეგმება, ყოველწლიურად 15-მდე ელექტრონული სერვისის დამატება;

მიღწეული მაჩვენებელი - მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული 136 ელექტრონული სერვისი;

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში განხორციელდა 50 მლნ ტრანზაქცია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში იგეგმება, ყოველწლიურად დამატებით 5 მლნ ტრანზაქციის განხორციელება;

მიღწეული მაჩვენებელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ გადააჭარბა 44 მილიონს;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობა 2016 წლის მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია, დაახლოებით, 20%-ით, რაც გამოწვეულია ბანკების მხრიდან ავთენტიფიკაციის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს გამოვლენილია 600-მდე ინციდენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლის ბოლომდე ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენა გაიზრდება დაახლოებით 750-მდე, 2017 - 850-მდე, 2019 - 1050-მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა სულ გამოავლინა და რეაგირება მოახდინა 1 258 ინციდენტზე;

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია 130 მონაცემთა ცხრილი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში ღია მონაცემების პორტალზე ყოველწლიურად დამატებით გამოქვეყნდება 40 მონაცემთა ცხრილი;

მიღწეული მაჩვენებელი - პორტალზე (data.gov.ge) ატვირთულია 480 მონაცემთა ცხრილი.

6.12 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი;
- ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტროლი.
- ინსპექტორის აპარატი უზრუნველყოფს კონსულტაციების გაწევას ფიზიკური პირებისთვის და საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და მათ დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე ახორციელებს მოქალაქეთა განცხადებების განხილვას, საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებას (ინსპექტირება),

ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლს, სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობას, საზოგადოების ინფორმირებას ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და წლის განმავლობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი

მიღწეული მაჩვენებელი - 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.5-ჯერ გაზრდილი გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებების რაოდენობა, 3-ჯერ მეტი საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების მაჩვენებელი; „ფეისბუქის“ გვერდის მომწონებელთა (უნიკალური მომხმარებლები) რაოდენობის 30%-იანი ზრდა; შემცირებული მაჩვენებელი გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების.

6.13 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- შერჩეულ არეალებში ყველა სახის მიწის ნაკვეთის აზომვა და რეგისტრაცია, რაც ჯამში, დაახლოებით, 48 000 ერთეულ ნაკვეთს შეადგენს;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავდა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზა და მსოფლიო ბანკის პროცედურებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებულია კანონის პროექტი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“; საპილოტე არეალში დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებული დაახლოებით 11000 ერთეული მიწის ნაკვეთი, რაც სრული რაოდენობის დაახლოებით 23% შეადგენს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 - 2017 წლებში მოხდება 24 000-24 000 ნაკვეთის რეგისტრაცია, მიწის რეგისტრაციის მონაცემების დაზუსტება და მიწების პირველადი რეგისტრაციების დასრულება;

მიღწეული მაჩვენებელი - მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“; შემუშავდა ფინანსური სახელმძღვანელო, „მიწის საპილოტო რეგისტრაციის სახელმძღვანელო“, „საველე-ტექნიკური სპეციფიკაციის სახელმძღვანელო“, „ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო“.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიწის ნაკვეთების აზომვა და რეგისტრაცია არ განხორციელებულა. სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის განხორციელების წინაპირობას შესაბამისი, ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნა წარმოადგენდა. კანონპროექტის განხილვის ეტაპზე, პირველად ვერსიაში, შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც პროექტის დაწყებისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის პროცესი გაახანგრძლივა.

6.14 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის სახლის ფარგლებში დანერგილი ახალი სერვისები;
- იუსტიციის სახლში ინტეგრირებულ სერვისებზე მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;
- იუსტიციის სახლის ახალი ფილიალები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის სახლში დაინერგა ახალი სახელმწიფო და კერძო სერვისები;
- იუსტიციის სახლში ინტეგრირებულ სერვისებზე შენარჩუნდა მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;
- ამოქმედდა იუსტიციის სახლის ახალი ფილიალები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - არსებული მდგომარეობით იუსტიციის სახლის ფარგლებში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია 362 სერვისი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, იუსტიციის სახლის ფარგლებში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება ყოველწლიურად 10-მდე ახალი სერვისი;
მიღწეული მაჩვენებელი - იუსტიციის სახლის ფარგლებში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია 376 სერვისი. 2016 წელს დამატებულ იქნა 14 ახალი სერვისი;

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2014 წელს მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა 87%, ხოლო 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მომხმარებელთა საშუალოდ 75-85%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში სერვისის მომხმარებელთა კმაყოფილების დონე ყოველწლიურად იქნება 75-85%;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლისთვის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით კმაყოფილ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 85%-ს;

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლოს 16 მოქმედი ფილიალი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს 20 მოქმედი ფილიალი. 2017 წელს 22 მოქმედი ფილიალი;
მიღწეული მაჩვენებელი - გაიხსნა 3 ახალი ფილიალი (ბორჯომის, ლაგოდეხის, ონის) - 2016 წლისთვის მოქმედებს სულ 19 ფილიალი;

6.15 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სსიპ „სმართ ლოჯიკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციების ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- „Cloud Computing“-ის ტექნოლოგიის გამოთვლითი სიმძლავრეების და მასშტაბების ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სსიპ „სმართ ლოჯიკის“ მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციების რიცხვს (როგორც სრული და არასრული IT მომსახურება) დაემატა 9 ორგანიზაცია;
- უზრუნველყოფილი და შენარჩუნებულია სსიპ „სმართ ლოჯიკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციების უსაფრთხოება;

- გაზრდილია „Cloud Computing“-ის ტექნოლოგიის გამოთვლითი სიმძლავრეები და მასშტაბები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით სარგებლობს 4000-მდე მომხმარებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს - 5000-მდე, 2017 წელს - 5700-მდე, 2018 წელს - 6200-მდე და 2019 წელს - 7000-მდე მომხმარებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით სარგებლობს 6327 მომხმარებელი;

2.საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიკის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში საბაზისო ინდიკატორის შენარჩუნება - არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში შენარჩუნდა არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი;

3.საბაზისო მაჩვენებელი - დასრულებულია ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის სისტემის დანერგვა და მიმდინარეობს მისი ტესტირება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში არსებული სერვერების რაოდენობა 2016 წელს - 200-მდე, 2017 წელს - 350-მდე, 2018 წელს - 500-მდე და 2019 წელს - 800-მდე ერთეული;

მიღწეული მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიკის“ სისტემაში 2016 წელს სერვერების რაოდენობა - 218 ვირტუალური ერთეული.

6.17 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.
- სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა;
- კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- განხორციელდა არსებული ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია;
- უზრუნველყოფილია სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა და კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

6.21 ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ჩატარდა სამკვირიანი სატრენინგო კურსი „SDL Trados Studio /Multiterm“-ის გამოყენებაში;
- განხორციელდა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, ასევე, იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულიდან და სხვა სამთავრობო სტრუქტურებიდან შემოსული ცალკეული დოკუმენტის თარგმნა/რედაქტირება;
- ითარგმნა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და მათში შეტანილი ცვლილებების 3 718 გვერდი, აგრეთვე, ევროკავშირის დირექტივები - 1 710 გვერდი. ზემოაღნიშნული აქტების უმეტესობა ხელმისაწვდომია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, დანარჩენი რედაქტირებისა და სისტემატიზაციის სხვადასხვა ეტაპზე;
- ითარგმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფიდან (1 330 გვერდი) და სხვა სამთავრობო სტრუქტურებიდან მიღებული დოკუმენტები (812 გვერდი). სულ საანგარიშო პერიოდში ითარგმნა 7 570 გვერდი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქართულ ენაზე თარგმნილი ევროკავშირის კანონმდებლობა და ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
- სამართლებრივი აქტებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკავშირის კანონმდებლობა და, ასევე, ინგლისურ ენაზე ითარგმნა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
- უზრუნველყოფილი იქნა სამართლებრივი აქტების და იურიდიული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა;
- ხელი შეეწყო საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქართულ ენაზე ითარგმნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები 403 გვერდი და ევროკავშირის კანონმდებლობა 49 გვერდი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს თარგმნილი ევროკავშირის კანონმდებლობის - 3000-მდე გვერდი, 2017 წელს - 3500-მდე გვერდი, 2018 წელს - 5500-მდე გვერდი, 2019 წელს - 7500-მდე გვერდი და სხვა ტიპის დოკუმენტები მოთხოვნის შესაბამისად;

მიღწეული მაჩვენებელი - ითარგმნა ევროკავშირის კანონმდებლობა – 1 710 გვერდი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის სხვაობამ შეადგინა 1 290 გვერდი, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“, გარდა ევროკავშირის კანონმდებლობისა, თარგმნა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არაერთი დოკუმენტი, მათ შორის, „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებები, საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სახელმძღვანელოები და ა.შ. სულ 2 142 გვერდი;

2.საბაზისო მაჩვენებელი - ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების 3238 გვერდი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად ინგლისურ ენაზე თარგმნილი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის 5000-მდე გვერდი;

მიღწეული მაჩვენებელი - ინგლისურ ენაზე ითარგმნა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი – 3 718 გვერდი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის სხვაობამ შეადგინა 1 282 გვერდი, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“, გარდა ევროკავშირის კანონმდებლობისა, თარგმნა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არაერთი დოკუმენტი, მათ შორის, „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებები, საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სახელმძღვანელოები და ა.შ. სულ 2142 გვერდი;

3.საბაზისო მაჩვენებელი - გამოცემულია 4 დასახელების საკანონმდებლო აქტი (კოდექსი) და იურიდიული ლიტერატურა. წლის ბოლომდე გამოიცემა ერთი ტერმინოლოგიური ლექსიკონი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად 10 საკანონმდებლო აქტისა (კოდექსი) და იურიდიული ლიტერატურის, ერთი ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემა;

მიღწეული მაჩვენებელი - გამოიცა 10 (ათი) საკანონმდებლო აქტი და იურიდიული ლიტერატურა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ მოხდა ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემა, ვინაიდან ვებგვერდზე დაემატა ონლაინლექსიკონის ფუნქციონალი;

4.საბაზისო მაჩვენებელი - მაცნეს ვებგვერდზე დარეგისტრირებულია 46 494 მომხმარებელი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში, ყოველწლიურად მომხმარებელთა 1 500 მომხმარებელით ზრდა;
მიღწეული მაჩვენებელი - მაცნეს ვებგვერდზე დარეგისტრირებულია 60 595 მომხმარებელი.

6.22 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ეროვნული გეოდეზიური საფუძველების შექმნის მიზნით განხორციელდა სანიველირე ქსელის რეკონსტრუქცია, აეროგადაღებისთვის საკონტროლო წერტილების შერჩევა, მარკირება და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე დამაგრება; სანიველირე ქსელის აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით საინფორმაციო აბრების მომზადება; საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ ფარგლებში რეგიონების სიმაღლეებზე ინფორმაციის მომზადება. შესყიდულ იქნა მზის დამუხტვის კონტროლერი, ყამირის (გრუნტის) რეპერები, საინფორმაციო პანელები და ამოსაცნობი ბოძები, 5 სტერეოსადგური, GNSS სადგური. განხორციელდა GEO-CORS სისტემის მონტაჟი, ახალი სანიველირე კედლის, გრუნტისა და კლდის რეპერების დამაგრება, არსებული სანიველირე რეპერების აღდგენა;
- განხორციელდა 18 743 კვ. კმ აეროგადაღება და 5 100 კვ. კმ-ზე შეიქმნა ციფრული ორთოფოტოგეგმები. აფხაზეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიისთვის 1 134 კვ. კმ-ზე დამუშავდა კოსმოსური სურათები, შეიქმნა სიმაღლური მოდელი და შემდეგ ორთოფოტოგეგმები;
- შემუშავდა საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების (NSDA) პროექტის 3-წლიანი საკომუნიკაციო სტრატეგია და 1-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელმაც აუდიტი გაიარა შვედ ექსპერტებთან და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა სტრატეგიის კორექტირება-განახლება. მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროების PR თემატურ სამუშაო ჯგუფთან ერთად „NSDI“-ს სამიზნე ჯგუფებისათვის დეტალური მესიჯების შემუშავებაზე. დასრულდა მუშაობა პროექტის 2017 წლის სამოქმედო გეგმაზე;
- შემუშავდა მეტამონაცემების ეროვნული სტანდარტი და მეტამონაცემების წარმოების ტექნიკური სპეციფიკაცია, საერთაშორისო სტანდარტებზე (ISO, OGS, INSPIRE) დაფუძნებული გეომონაცემთა წარმოების ტექნიკური სპეციფიკაციის ეროვნული სტანდარტი (Data Product Specification), ასევე, სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის გეოინფორმაციული სისტემებისა და ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის სწავლების სტანდარტი, სილაბუსების კორექტირების მიზნით სარეკომენდაციო პაკეტი, საერთაშორისო ინტერნეტსასწავლო რესურსების (LINKVIT; ESRI virtual campus; EU Erasmus-Plus program; Bologna process; LMS) ანალიზის შედეგად სახელმწიფო ინსტიტუტების ტექნიკური ჯგუფებისათვის ტრენინგების სასწავლო მოდულები;
- რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ამოქმედებამდე წარმოებული ქაღალდის დოკუმენტაციის დამუშავების, დასკანირებისა და ცენტრალიზებული ელექტრონული არქივის შექმნის მიზნით:

- ✓ დაარქივდა 10 165 საქაღალდე (21 რაიონი: ბათუმი, ჩოხატაური, დუშეთი, ცაგერი, ლენტეხი, დედოფლისწყარო, სამტრედია, ბორჯომი, მარტვილი, წყალტუბო, ტყიბული, ხარაგაული, ადიგენი, ასპინძა, ოზურგეთი, საჩხერე, ახალციხე, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ყვარელი, ხობი) მიმდინარეობდა 2 რაიონის დოკუმენტაციის დაარქივება (ზესტაფონი და სიღნაღი);
- ✓ დასკანირდა 13 829 საქაღალდე (9 რაიონი: დუშეთი, ბათუმი, მარტვილი, ბორჯომი, ოზურგეთი, საჩხერე, წალკა, ლანჩხუთი, ჩოხატაური); მიმდინარეობდა 5 რაიონის დოკუმენტაციის სკანირება (ყვარელი, ხობი, სიღნაღი, ლაგოდეხი, წყალტუბო).
- დამუშავდა ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 1 357 საქაღალდე. ამით დასრულდა 2014 წელს დაწყებული ინდივიდუალურ მეწარმეთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაციისა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არქივირების პროცესი, რის შედეგადაც ელექტრონულად ხელმისაწვდომია მთელი საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეთა მონაცემები (დამუშავდა და ვებგვერდზე განთავსდა 305 318 საქმე);
- დაიწყო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული 1995-2009 წლებში მთელი საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა-სისტემატიზაციის პროცესი. მიმდინარეობდა თანამშრომელთა სწავლება/მომზადება. შეიქმნა 20 100 სუბიექტის შესაბამისი ელექტრონული ბარათი (850 საქაღალდე); სკანირებულია და სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია 21 250 სუბიექტის საქმე (1 100 საქაღალდე);
- „ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემთა დასკანირება-ელექტრონული არქივის შექმნის“ პროექტის ფარგლებში:
 - ✓ სარეგისტრაციო და საინფორმაციო მომსახურების განხორციელების მიზნით დაკმაყოფილდა 43 679 მოთხოვნა;
 - ✓ ელექტრონულ პროგრამაში აღიწერა და საქაღალდეებში ნუმერაციის მიხედვით განთავსდა 1 088 808 განცხადება და მათზე თანდართული დოკუმენტაცია (უძრავი, სამეწარმეო, ყადაღები, გირავნობები, ტექბიურო, კანცელარია, დამისამართება);
 - ✓ საარქივო მასალების დედნების გაცნობის შესახებ დაკმაყოფილდა 38 349 განცხადება, დედნების დაბრუნების შესახებ – 4 920 განცხადება, ტექნიკური აღრიცხვის არქივში დოკუმენტის არსებობის/არარსებობის შესახებ პასუხი გაეცა 46 661 მომართვას, შესრულდა 6 638 სამსახურებრივი ბარათი, აღსრულდა სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოების 252 მომართვა;
 - ✓ აღიწერა (დასკანირდა, მოწესრიგდა და შეტანილ იქნა ელექტრონულ საძიებო კატალოგში) უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრის დოკუმენტაციის 17 292 საქაღალდე (ბაღდათის, ტყიბულის, ლაგოდეხის, ჩხოროწყუს, ხობის, ქარელის, კასპის, წყალტუბოს, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, ნინოწმინდის, სენაკის, ქუთაისის, ონის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, ხაშურის, მცხეთის, სიღნაღის, ბოლნისის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია);
 - ✓ დასკანირდა ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტაციის 3 984 საქაღალდე;
 - ✓ აღიწერა (დასკანირდა, მოწესრიგდა და შეტანილ იქნა ელექტრონულ საძიებო კატალოგში) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტები – 1 355 საქაღალდე, ხოლო დასკანირდა 1 112 საქაღალდე (ზესტაფონი, წყალტუბო, ხარაგაული, სენაკი, ჩხოროწყუ, ჭიათურა, თერჯოლა, საჩხერე, ხობი, ხონი, თიანეთი, ტყიბული, ოზურგეთი, მცხეთა, საჩხერე, ბოლნისი).
- საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონიდან თბილისში ჩამოტანილ იქნა საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მასალები, რომლებიც ქაღალდის მატარებლიდან გადაყვანილ იქნა ციფრულზე. საანგარიშო პერიოდში დასკანირდა 3 619 336 სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი, დამუშავდა და აღიწერა 670 311 ობიექტი;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო რეესტრში მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოვიდა 111 799 განცხადება. აქედან 57 706 შემთხვევაში მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირდა, 40 310 საქმეზე მიმდინარეობდა დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება, 9 714 საქმე გადაეგზავნა აღიარების კომისიას, ხოლო მიმდინარე განცხადებების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოსთვის შეადგინა 4 069 ერთეული.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ზუსტი გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საფუძვლების შექმნა;
- სრულყოფილი სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზები; ერთიან საძიებო სისტემაში კონსოლიდირებული დოკუმენტები; დიგიტალიზებული დოკუმენტების მოხერხებული, მოქნილი საძიებო სისტემა; ცენტრალიზებული და მოწესრიგებული არქივი მოქნილი საძიებო სისტემით;
- საქართველოში ჩამოყალიბდება სამთავრობო გეოსაინფორმაციო სისტემა – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI), რომელიც იფუნქციონირებს სამთავრობო, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეებზე.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სანიველირე ქსელის რეკოგნოსტირება, აეროგადაღებისთვის საკონტროლო წერტილების შერჩევა, მარკირება და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე დამაგრება; საინფორმაციო აბრების მომზადება; GEO-CORS სისტემის მონტაჟი, ახალი სანიველირე კედლის, გრუნტისა და კლდის ნიშნულების დამაგრება, არსებული სანიველირე ნიშნულების აღდგენა. შეიქმნა ციფრული ორთოფოტოგეგმები;
- დასკანერდა და დაარქივდა ძველი სარეგისტრაციო მასალები; დასრულდა ინდივიდუალურ მეწარმეთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არქივირება; განხორციელდა იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა-სისტემატიზაცია; დასრულდა ტექნიკური აღრიცხვის არქივის დიგიტალიზაცია; აღიწერა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;
- მომზადდა ეროვნული სივრცითი მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, სტანდარტი და ტექნიკური სპეციფიკაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - სანიველირე ქსელის მდგომარეობა დღეისათვის –70% განადგურებული ინფრასტრუქტურა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს მოხდება დაზიანებული ან განადგურებული ნიშნულების დამატება და ინფრასტრუქტურის აღდგენა - შესრულდება სამუშაოს 20%. 2017 წელს პროცესი გაგრძელდება, შესრულდება აღდგენითი სამუშაოების დამატებით 30%. 2018 წელი – ჩატარდება აზომვითი სამუშაოების 50%, 2019 წელი– დამატებით ჩატარდება აზომვითი სამუშაოები 50%;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდა დაზიანებული ან განადგურებული ნიშნულების დამატება და ინფრასტრუქტურის აღდგენა – შესრულდა სამუშაოს 20%;

საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივმოქმედი სარეგულირებო სისტემა მოძველებული პროგრამული უზრუნველყოფით, 7–12 სატელიტიდან სიგნალის მიღება ერთდროულად;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს მოხდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ევროპულ და ჩინურ სატელიტების სისტემებთან ადაპტირება 15 და მეტი სატელიტიდან სიგნალის მიღება;

მიღწეული მაჩვენებელი - არ შესრულდა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2016 წელს ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანოსთან (STATENS KARTVERK) 2015 წელს დაწყებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რათა სააგენტოს მხრიდან დაზოგილიყო პროგრამული განახლების ხარჯები და მითითებული პროექტის ფარგლებში მომხდარიყო შესაბამისი შესყიდვა. მოლაპარაკებების შედეგად, „ლეიკას“ პროგრამის განახლების შესყიდვამ გადაიწია 2017 წელს. შესაბამისად, პროგრამული განახლებისთვის გათვლილი თანხები მიმართულ იქნა სააგენტოს საჭიროების და პრიორიტეტების შეუფერხებლად დაფინანსებაზე.

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის ძირითადი ტერიტორია დაფარულია მოძველებული არაკორექტული მონაცემებით, 9000 კვ. კმ დაიფარა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად 2014 წლის აერო გადაღებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის ტერიტორიის სრული დაფარვა ახალი მონაცემებით თანამედროვე სტანდარტების დაცვით მინიმუმ 40 000 კვ.კმ. 2016 წელს მოხდება აერო-გადაღება 40 000 კვ.კმ. , 1000 კვ.კმ-ის ლაზერული ტექნოლოგიით გადაღება. 2017 წელს - მიღებული მონაცემების დამუშავება, ორთო ფოტოსა და სიმაღლური მოდელის შექმნა. 2018 წელს - 9 000 კვ.კმ. აერო-გადაღება, მოძველებული მონაცემების განახლება ევრო სტანდარტების მიხედვით;

მიღწეული მაჩვენებელი - აეროგადაღება განხორციელდა 18 743 კვ. კმ-ზე; 5 100 კვ. კმ-ზე შეიქმნა ციფრული ორთოფოტოგეგმები;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აეროგადაღების ტექნიკურ სპეციფიკაციაში მითითებული მეტეოროლოგიური პირობების არარსებობის გამო 2016 წელს აეროგადაღება ნაწილობრივ, ხოლო ლაზერული ტექნოლოგიით გადაღება საერთოდ არ განხორციელდა;

2.საბაზისო მაჩვენებელი - ძველი, საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილი რუსულენოვანი რუკები, 2006 წელს შექმნილი 50000-იანი მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული რუკა, შექმნილია ტერიტორიის 5%-თვის, საბჭოთა კავშირის პერიოდის 1:25 000 მასშტაბის რუკები საქართველო- თურქეთის საზღვარის მონაკვეთზე. საქართველო-სომხეთისა და საქართველო- აზერბაიჯანის საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებისთვის შექმნილი 10 000 მასშტაბის ციფრული ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შეიქმნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ქართულენოვანი ციფრული კარტოგრაფიული მასალა 2016-2019 წლებში, შეიქმნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ქართულენოვანი ციფრული კარტოგრაფიული მასალა სამთავრობო სტრუქტურების მოთხოვნის შესაბამისად. ყოველწლიურად სავარაუდოდ 4-5 ათასი კვ.კმ დაფარვა;

მიღწეული მაჩვენებელი - დასახლებული ტერიტორიებისთვის შეიქმნა ციფრული კარტოგრაფიული მასალა 2000 კვ. კმ ფოტოგრამმეტრიული მეთოდით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობის გამო ვერ განხორციელდა 4-5 ათასი კვ. კმ დაფარვა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 64 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის დოკუმენტაციიდან დამუშავებულია 40 რაიონი: 24 რაიონი დაარქივებულია სრულად, ხოლო 16 რაიონი - ნაწილობრივ. დასაარქივებელია 24 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებული უფლებები (საერთო მასალის 46%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლომდე დამუშავდება - 2 833 ბაინდერი; 2016 წელს დამუშავდება - 19 856 ბაინდერი; 2017 წლის მარტამდე დამუშავდება - 3272 ბაინდერი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს დამუშავდა 10 165 საქალაქი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2016 წლის მიწის რეფორმის პროექტის განსახორციელებლად მონაცემთა დამუშავებისა და განახლების სამსახურიდან (2016 წლის აგვისტოდან) რეგისტრაციის სამსახურში გადაყვანილ იქნა 59 თანამშრომელი; გარდა ამისა, 2016 წლის სექტემბერში განხორციელდა ახალი კადრების აყვანა 43 თანამშრომლის რაოდენობით, რომელთაც 3 თვის განმავლობაში ჩაუტარდათ ტრენინგი. შესაბამისად, ვერ მოხერხდა დაგეგმილი ოდენობით მასალის დამუშავება;

4.საბაზისო მაჩვენებელი - ბიზნესის პირველად რეგისტრაციას საფუძვლად ედება დოკუმენტის ქაღალდის ვერსია. ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 6448 ბაინდერიდან დაარქივებულია 4803 ბაინდერი; დასაარქივებელია -1 645 ბაინდერი; იურიდიული პირების არქივის 109 350 საქმიდან დაარქივებულია 1300 საქმი; არ არსებობს საქმიანობის რეესტრი, გარდა სურსათის ან ცხოველის საკვების წარმოება /რეალიზაციასთან და საზღვარგარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ბიზნესის პირველადი რეგისტრაციის ეტაპობრივად, სრულად ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა. 2016წ.- ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 1645 ბაინდერის დაარქივება; 2016წ.-იურიდიულ პირთა 13 970 საქმის დაარქივება; 2017წ.-იურიდიულ პირთა 43 280 საქმის დაარქივება; 2018წ.-იურიდიულ პირთა 43 280 საქმის დაარქივება; 2019წ.-იურიდიულ პირთა 7 520 საქმის დაარქივება; საქმიანობის რეესტრის ფორმირება და შესაბამისად სტატისტიკურ მონაცემთა არსებობა;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს დაარქივდა ინდივიდუალურ მეწარმეთა არქივის 1 357 საქალაქი; ხოლო იურიდიულ პირთა - 20 100 საქმი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შეიცვალა პროექტების დასრულების ვადები, რამაც გამოიწვია ცდომილება მიზნობრივ მაჩვენებლებთან მიმართებაში;

5.საბაზისო მაჩვენებელი - პროექტის დაწყებამდე საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული დოკუმენტაცია აღუწერავი, სხვადასხვა ადგილას გაფანტული და ნაკლებად დაცული იყო. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია 2015 წლის ბოლოს თბილისში სრულად არის თავმოყრილი და 80 % ელექტრონულ პროგრამაშია აღწერილი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წლის ბოლოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცენტრალიზების პროექტი დაასრულა. მიმდინარეობს სკანირების პროცესი. ტექნიკური აღრიცხვის არქივი შედგება 22000 არასტანდარტული ბაინდერისგან. 2015 წლის მდგომარეობით 13500 ბაინდერი დასკანერებულია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლის ოქტომბრამდე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონულ ბაზაში აღწერა და დოკუმენტების ელექტრონული საძიებო კატალოგის შედგენა დასრულდება. 2016 წლის ივნისამდე ტექნიკური აღრიცხვის არქივის სკანირება დასრულდება;

მიღწეული მაჩვენებელი - აღიწერა და დამუშავდა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, შეიქმნა დოკუმენტების ელექტრონული საძიებო კატალოგი, დასრულდა ტექნიკური აღრიცხვის არქივის სკანირება;

6.საბაზისო მაჩვენებელი - სივრცითი მონაცემების წარმოების, მათზე წვდომისა და გამოყენების ერთიანი სისტემის არარსებობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სივრცითი ინფორმაციის სფეროს რეგულირება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით; სივრცითი მონაცემების და მეტამონაცემების ციფრულ ფორმატში წარმოების სისტემატიზაცია და სტანდარტიზაცია; სივრცითი მონაცემების მარტივად გაცვლა და მათზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა სამთავრობო, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეზე;

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა ეროვნული სივრცითი მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, სტანდარტი და ტექნიკური სპეციფიკაცია. „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ“ კანონის პროექტის სამუშაო ვერსია; შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული ელექტრონული სერვისების აღწერის, მოძიების, მიღებისა და გამოყენების მიზნით, მეტამონაცემების შექმნის, განახლებისა და შენახვის წესის დამტკიცების შესახებ“; შემუშავდა მეტამონაცემების ეროვნული სტანდარტი და მეტამონაცემების წარმოების ტექნიკური სპეციფიკაცია.

7. პრიორიტეტი – იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო

მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	73,428.0	73,428.0	73,422.0	73,422.0	0.0
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	10,825.8	10,825.8	11,473.6	11,473.6	0.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,650.0	1,650.0	1,599.7	1,599.7	0.0
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	238.3	229.4	377.5	369.1	8.4
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	23,500.6	23,500.6	23,462.6	23,462.6	0.0
სულ		109,642.7	109,633.8	110,335.5	110,327.2	8.4

7.1 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლება, ჩასახლების ობიექტებში გაუმჯობესებული სოციალური და საცხოვრებელი პირობები;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების ბინები საკუთრებაში გადაეცა 2 013 დევნილ ოჯახს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 708 საცხოვრებელი სახლი.
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 101 ბინის გამოსყიდვა;
- ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 159 ობიექტს;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 5 320 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 2 701 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);
- დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა: ქ. თბილისში, კალაუბნის ქ. N22-ში, ქ. დიდი დიდმის I მიკრო რაიონში, კაიროს ქ. N20-ში, დოდაშვილის ქ. N22-ში, ქუთაისში - ერისთავის ქ. N7-ში, ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან, ხოლო მიმდინარეობდა ბინების შესყიდვა: ქ. ქუთაისში - შმიდტის ქ. ნაკვეთ N2-სა და ნაკვეთ N3-ზე, ქ. თბილისში ც. დადიანის ქ. N7-ის ე-1 და ე-2 ბლოკებში და ახლადამშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“;

- დასრულდა ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N41-ში და ნიკეას ქ. N21-ში, ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქ. N5-ში, ქ. ზუგდიდში დემურას ქ. N1-ში, ქ. ბორჯომში, ვაშლოვანის ქ. N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობისა და ქ. თბილისში თბილისის ზღვის მიმდებარედ დევნილთა განსახლების ობიექტში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში შერვაშიძის ქ. N53-ში, ქ. ზუგდიდში ბარამიას ქ. N7-ში და ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე; ასევე, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ. გორში, ცხინვალის მე-3 კილომეტრზე მდებარე N1 შენობაში, ქ. სენაკის „სამხედრო ქალაქში“ არსებულ დევნილთა განსახლების ობიექტში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მდებარე კორპუსში N5;
- გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 912 ოჯახი:
 - ✓ მენაშენებისაგან შეძენილ საცხოვრებელ ბინებში - 200 ოჯახი;
 - ✓ დირსის საცხოვრებელ კომპლექსში - 30 ოჯახი;
 - ✓ ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ შეძენილ ბინებში - 300 ოჯახი;
 - ✓ ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსში - 50 ოჯახი;
 - ✓ ობიექტების ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შედეგად ხაშურში, სააკაძის N2-ში - 85 ოჯახი;
 - ✓ ქუთაისში, ნიკეას N21-ში - 96 ოჯახი;
 - ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მდებარე კორპუსში N5 - 40 ოჯახი;
 - ✓ ბორჯომში, ვაშლოვანის ქ. N4-ში - 64 ოჯახი;
 - ✓ ქ. ზუგდიდში, დემურას ქ. N1-ში - 47 ოჯახი.
- იპოთეკური ვალდებულების მქონე 44 დევნილ ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება (მინიმუმ 13.6 ათ. ლარი, მაქსიმუმ 20.0 ათ. ლარი).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები ჩასატარებელია 10 ობიექტზე, მათგან 2015 წელს სრულდება 3 ობიექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს დასრულდება 4 ობიექტის ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 3 ობიექტის დასრულების ვადა იგეგმება 2016 წლის შემდეგ;

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 ობიექტის ბინებად რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 159 ობიექტს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით გრძელვადიან განსახლებას ექვემდებარება დევნილთა 56 037 ოჯახი, მათ შორის გადაუდებელია 32 000 შემთხვევა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში თითოეულ წელს დაგეგმილია საშუალოდ 1700-დან 2000-მდე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება.

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 1 721 ოჯახი, ასევე, კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა გადაეცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 2 013 ოჯახს;

7.4 დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასათავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის კოორდინირებული მუშაობით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და ბენეფიციართა ინფორმირებულობა;
- დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა 259 ბენეფიციარი, მათ შორის, 132 (51%) ქალი;
- საარსებო წყაროების მიმართულებით დევნილთათვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიის მიზნით, განხორციელდა 23 სავსელე ვიზიტი საქართველოს მასშტაბით (პროფესიული განათლების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა, აგროდაზღვევის პროგრამა, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები და თავად სააგენტოს მიერ შემუშავებული სამი პროგრამა);

- 398 დევნილმა მიიღო კონსულტაცია, როგორც სააგენტოს, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ საარსებო წყაროების მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შესახებ;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, შემუშავდა დამატებითი სუბსიდირების პროგრამა, რომლის მიხედვითაც, დევნილს, რომელიც ფლობს 5 ჰა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში უფინანსდება დამატებით 10%, არაუმეტეს წლიურად გადასახდელი 200 ლარისა. საერთო ჯამში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელ დევნილს ორივე სააგენტოს ძალისხმევით უნაზღაურდება სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების 90%. დევნილ ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან, პროგრამაში ჩართულია 223 დევნილი;
- განახლდა სამინისტროს ცხელი ხაზი, რომელიც ასევე ითვალისწინებს რეფერალურ ზარებსაც (საარსებო წყაროებთან დაკავშირებული, გადმომისამართებული ზარები - სულ 1056 ზარი);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა სავსე ვიზიტები დევნილთა ჩასახლებაში. ხდებოდა პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და დევნილთა ჩართულობის ხელშეწყობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანდა 444 იძულებით გადაადგილებული პირი, მათ შორის 180 (40,5%) ქალია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფას საჭიროებს დევნილთა 33 000 ოჯახი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2019 წლებში თითოეულ წელს მოხდება საშუალოდ 150 ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიზნით 259 ბენეფიციარმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული გრანტი;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საჭიროა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის ერთიან ბაზაში თავმოყრა და ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაცემთა ბაზის განახლება (ყოველთვიურად); დევნილებთან წელიწადში 5 საინფორმაციო შეხვედრის მოწყობა.
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია; 2016 წელს შეიქმნა საარსებო წყაროების პროექტების/პროგრამებისა და მომწოდებლების ბაზა, რომლის განახლება ხორციელდება სისტემატიურ რეჟიმში;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა 4 საინფორმაციო შეხვედრა.

7.5 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული გარემო დევნილთა დასახლებებში;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული გარემო დევნილთა დასახლებებში;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენებულია 384 ახალი სახლი და რეაბილიტირებულია 136 სახლი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გაზრდილი აშენებული და რეაბილიტირებული სახლების რაოდენობა და ხარისხი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი 72 საცხოვრებელი სახლი; რეაბილიტირებული - 1 ობიექტი; აშენებული - 7 საბავშვო და 3 სპორტული მოედანი.

8. პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	126,522.2	91,093.2	104,837.1	90,954.1	13,883.0
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	144,230.4	81,346.5	126,485.4	89,998.9	36,486.5
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	46,699.2	44,454.9	46,601.5	44,498.6	2,102.9
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	26,314.7	16,041.4	22,912.1	16,135.2	6,776.9
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	15,425.4	15,425.4	15,379.7	15,379.7	0.0
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	5,874.9	5,388.9	5,593.5	5,321.7	271.8
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,252.3	6,252.3	6,252.2	6,252.2	0.0
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,538.6	5,538.6	5,376.7	5,376.7	0.0
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,600.0	5,600.0	5,281.3	5,281.3	0.0
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	18,894.9	18,894.9	26,328.3	26,328.3	0.0
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,304.0	2,304.0	2,304.0	2,304.0	0.0
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	0.0
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	1,768.0	1,768.0	0.0
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	959.0	959.0	0.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	800.0	800.0	0.0
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	653.0	653.0	0.0

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
45 12	ა(ა)იკ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	500.0	500.0	0.0
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.0	447.0	447.0	447.0	0.0
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	261.0	261.0	0.0
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	230.0	230.0	0.0
45 02	ა(ა)იკ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	295.0	295.0	295.0	295.0	0.0
45 10	ა(ა)იკ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	100.0	100.0	0.0
სულ		411,669.5	300,353.0	375,364.7	315,843.6	59,521.1

8.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
- ✓ ა(აიპ) - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
- საერთაშორისო სტანდარტები შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით უზრუნველყოფილი ნაკრებები;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება ბავშვები და მოზარდები;
- მოსახლეობაში დაინერგა ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- განხორციელდა ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- გაუმჯობესდა სპორტული ინფრასტრუქტურა;
- ნაკრებები უზრუნველყოფილ იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით;
- გაიზარდა მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბში, პარალიმპიურ, ფარიკაობის, ჭადრაკის, ხელბურთის, ძიუდოს, ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, საწყლოსნო და სპორტის სხვა სახეობებში ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა წლიური კალენდრის მიხედვით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტული ღონისძიებების კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულება;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს სპორტის 48 სახეობაში დაფინანსდა 200-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 250-მდე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 150-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში მონაწილეობა;

2.საბაზისო მაჩვენებელი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უმაღლესი და პროფესიული განათლებისთვის რეაბილიტირებული 3 სართული და 500-მდე სტუდენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტები;

მიღწეული მაჩვენებელი - გარემონტდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციული ფართები (შენობის პირველ, მეორე და მეოთხე სართულზე). უნივერსიტეტში და კოლეჯში ერიცხებოდა - 525 სტუდენტი;

3.საბაზისო მაჩვენებელი - სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის 16% (კვლევის შედეგები), 10 ათასამდე სამუზეუმო ექსპონატი და 3 ათასამდე ვიზიტორი (სტატისტიკური მონაცემები);

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩატარება;

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დამონტაჟდა 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობა. მასობრივ სპორტში ჩართულ პირთა რაოდენობამ შეადგინა - 108 000;

4.საბაზისო მაჩვენებელი - ოლიმპიური რეზერვების ბაზაზე მცხოვრები 150 და მოვარჯიშე 500-მდე სპორტსმენი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოდან ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ოლიმპიური რეზერვების ბაზაზე რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით; სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებულ იქნა 844 მედალი, მათ შორის 291 ოქრო, 250 ვერცხლი და 303 ბრინჯაო.

8.2 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურის სივრცეში;
- განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;
- შეიქმნება ქვეყნის კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და განისაზღვრება საქართველოში კულტურის სფეროს გრძელვადიანი ხედვა.
- საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის კულტურის სფეროს პროგრამებში.
- საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობის ამაღლება.
- საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეგიონებში განხორციელებული ღონისძიებების დონის ამაღლება;
- რეგიონებში კულტურული ცხოვრების განვითარება, ადგილობრივი ინსტიტუციების, ორგანიზაციებისა და კოლექტივების პოპულარიზაცია და მათი ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში;
- ცენტრალურ უწყებასა და რეგიონების კულტურის სამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება, მუშაობის კოორდინაცია;
- რეგიონებში არსებული ინსტიტუციების, ორგანიზაციების, კოლექტივებისა და გაერთიანებების მდგრადობა და ცნობადობა;
- რეგიონებში თანამედროვე მიმართულებების ინტეგრაცია და განვითარება, რეგიონების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;
- კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში საზღვარგარეთ განხორციელდა 50-მდე პროექტი, რომლის შესაბამისად 400-მდე ქართველ ხელოვანს მიეცა საშუალება წარმდგარიყო სხვადასხვა ქვეყანის სხვადასხვა სფეროს საერთაშორისო ღონისძიებებში და შესაბამისად წარედგინა ქართული კულტურა;
- 30-მდე ქვეყანასთან განვითარდა და გაღრმავდა კულტურული ურთიერთობა;
- ქვეყნის ფარგლებში განხორციელდა 40-მდე ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ხელმისაწვდომობა;
- საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელდა ახალი თეატრალური დადგმები, გასტროლები და კონცერტები;
- საქართველოსა და უცხოეთში, გაიმართა დრამატურგიული, ლიტერატურული და მუსიკალური კონკურსები, საერთაშორისო წიგნის, ლიტერატურული, მუსიკალური, კინო და თეატრალური ფესტივალები;
- მოეწყო გამოფენები საქართველოს ცენტრებსა და რეგიონებში;
- გაიმართა კინოჩვენებები;
- ხელი შეუწყო ახალ გამოცემებს (თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, თეატრალური, კინო და სახვითი ხელოვნების ლიტერატურა)
- საქართველოს ცენტრებსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ინტეგრირებით გარკვეულწილად ამღვდდა საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობა, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი მათი ხელმისაწვდომობა.
- პროექტის „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“ ფარგლებში შეიქმნა საგამოფენო სივრცე განსაზღვრული კონცეფციით, მიმართულებითა და პროგრამით, რაც უზრუნველყოფს სფეროს მდგრადობას და სფეროში მოღვაწე ხელოვანებსა და ორგანიზაციებს უქმნის სამუშაო პლატფორმას;
- საანგარიშო წელს საქართველოს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებისთვის პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) მონაწილეობის მიღების ხელშეწყობისა და პროგრამის შესახებ ცნობადობის ამაღლების შედეგად, როგორც კულტურის, ასევე მედიის ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიპოვა 7 ქართულმა ორგანიზაციამ;
- რეგიონებში განხორციელდა 40-მდე პროექტი. რომლის ფარგლებში განხორციელდა 100-ზე მეტი აქტივობა;
- გაიზარდა რეგიონებში, როგორც საერთაშორისო ფესტივალების, ასევე ახალი ინიციატივების ხელშეწყობა;
- სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 16 სსიპ-ს მოუწესრიგდა ინფრასტრუქტურა; 3 სსიპ-ში გაძლიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** -დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი წლის ბოლომდე 165-მდე გაიზარდება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი 230-მდე გაიზარდება (ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქვეყნისადმი ინტერესის გაღვივება; საერთაშორისო სახელოვნებო თანამშრომლობითი პლატფორმის ხელშეწყობა; ღონისძიებების მასშტაბურობასა და მომგებიანობაზე);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

2016 წელს საზღვარგარეთ განხორციელდა 65-მდე ღონისძიება, საქართველოში განხორციელდა 795-მდე ღონისძიება, აქედან 42 საერთაშორისო, სულ 902 ღონისძიება;

2. საბაზისო მაჩვენებელი - დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით წლის ბოლომდე 1 800 000-მდე გაიზრდება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით 2 200 000-მდე გაიზრდება;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი- საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებს დაესწრო 2 090 000 მაყურებელი

3. საბაზისო მაჩვენებელი - საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 30-მდე გაიზრდება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით 100-მდე გაიზრდება;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2016 წელს დაფინანსდა 50-მდე ღონისძიება, რომელშიც 400-მდე ქართველმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა და წარადგინა ქართული კულტურის სხვადასხვა სფერო სხვადასხვა ქვეყანაში;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

საჭირო გახდა დამატებით რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსება მათ შორის: "დაიცავი მემკვიდრეობა", შენგელაიას მხატვრული ფილმის "სავარძელი" გადაღება და სხვა. შეზღუდული ფინანსური რესურსიდან გამომდინარე აღნიშნული და სხვა პროექტებისათვის თანხის ნაწილი გამოიყო "საერთაშორისო კულტურული ღონისძიებებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ქვეპროგრამიდან", სწორედ ამან გამოიწვია საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების ჩატარების რაოდენობის შემცირება.

4. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 2 300-მდე გაიზრდება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით 3 400-მდე გაიზრდება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საქართველოსა და საზღვარგარეთ განხორციელდა 330-მდე ღონისძიება. მათ შორის ფესტივალი - 149; სპექტაკლი - 141 და გამოფენა - 39.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობის შემცირება გამოწვეულია წლის განმავლობაში დამატებით რამოდენიმე მნიშვნელოვანი სხვადასხვა პროექტისათვის თანხების მობილიზებით.

5.საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნება და გაძლიერდება 3 ერთეულზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნება და გაძლიერდება 3 ერთეულზე.
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნა და გაძლიერდა 3 ერთეულზე;

8.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა
(პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები;
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

*** 2016 წლის განმავლობაში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში „მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა“ პროექტის ნაცვლად პრიორიტეტი მიენიჭა „საქართველოს მუზეუმების კოლექციების ერთიანი სააღრიცხვო ელექტრონული სისტემის შექმნის უზრუნველყოფა“ პროექტის განხორციელებას. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის სისტემატიზაციას და ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის შექმნას, ექსპონატთა რეგისტრაციის პროცესის ავტომატიზაციას, ქვეყანაში არსებული სამუზეუმო ფონდის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, ანგარიშგების წარმოებას და მუზეუმებში დაცული კულტურული ფასეულობის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ასევე იგივე პროგრამაში, უპირატესობა მიენიჭა მუზეუმების მატერიალური ბაზების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას, რაც გულისხმობს არამარტო შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, არამედ ფონდსაცავების მოწყობას, დაცვასთან დაკავშირებული ინვენტარით მუზეუმების აღჭურვას, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, ვიდრე სახელმძღვანელოების გამოცემა.

გარდა აღნიშნულისა, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას არ იყო ცნობილი ზუსტი ინფორმაცია მუზეუმების ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ, საბაზისო მაჩვენებელი აღებულ იქნა პირობითად იმ მომენტისათვის არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე.

ხოლო 2016 წლის დასაწყისში დაზუსტდა 2015 წლის ვიზიტორთა რაოდენობა, რომელიც აღემატებოდა 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს დაახლოებით 45%-ით. შესაბამისად ანგარიშში მოყვანილია დაზუსტებული საბაზისო მაჩვენებელი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს მიერ გადახედულ იქნა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების როგორც შედეგები, ასევე შედეგების შეფასების ინდიკატორები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;

მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება;

კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული/კონსერვირებული ნიმუშები;

კონსერვირებული და რესტავრირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/კომპლექსები ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები, მ.შ. მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;

კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 1 153 000-მდე გაიზრდება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 1 930 000-მდე გაიზრდება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 1 196 300 გაიზარდა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 90-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტების ზრდა განპირობებულია ძეგლების მდგომარეობიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნით;

3.საბაზისო მაჩვენებელი - რესტავრირებული და კონსერვირებული 250-ზე მეტი ექსპონატი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი;

8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები

დაგეგმილი შუალედური შედეგები

საქართველოს მუზეუმების კოლექციების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება და ეტაპობრივად დანერგვა;

პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად გადარჩენილი სამუზეუმო ფასეულობები საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო ბაზა („მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონი, კანონქვემდებარე აქტები) სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

გააქტიურებული საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა - ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილი გამოფენები, გამოცემული სარეკლამო მასალა და სამეცნიერო -კვლევითი ნაშრომები;

სოციუმის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მუზეუმებში;

სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლება, სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ტრენინგები, კონფერენციები, ვორქშოპები) და საერთაშორისო სამუზეუმო სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება;

საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან აქტიური თანამშრომლობა;

ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2 მუზეუმში გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

6 მუზეუმში დაინერგა საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა (www.egmc.gov.ge).

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული და კონსერვირებული ნიმუშები;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 548 941-ზე მეტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 600 000-ზე მეტი;

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა 600 000-ზე მეტს აღწევს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 3;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 6;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

მოწესრიგდა 3 მუზეუმის მატერიალური ბაზა, კერძოდ: დასრულდა სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია; სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის სახლის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი თანხები მიიმართა სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაციის დასასრულებლად.

3.საბაზისო მაჩვენებელი - რესტავრირებული და კონსერვირებული 250-ზე მეტი ექსპონატი,
მიზნობრივი მაჩვენებელი - რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი,

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - კონსერვაცია-რესტავრაცია ჩაუტარდა 300- მდე ექსპონატს;

4.საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC),

მიზნობრივი მაჩვენებელი -სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (eGMC)

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის (www.egmc.gov.ge) შექმნა. სისტემა დაინერგა სსიპ 6 მუზეუმში.

8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;
- ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში
- საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი დებულებების განხორციელება, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული მართვის პროექტების შემუშავება; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;

- ✓ მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით;
- ✓ კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; სპეციალისტთა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ხელის შეეწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაციას და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაციას, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;

ძეგლთა დეტალური საადრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნას; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაციას, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვას;

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი დებულებების განხორციელებას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული მართვის პროექტების შემუშავებას; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას;

მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურებას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; კულტურული ტურიზმის განვითარებას და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნას; სპეციალისტთა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართვას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი-კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

მიზნობრივი მაჩვენებელი-კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი-კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 90-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტების ზრდა განპირობებულია ძეგლების მდგომარეობიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნით;

2.საბაზისო მაჩვენებელი-გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 35-მდე;
მიზნობრივი მაჩვენებელი-გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე;
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი-გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 35-მდე;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე საჭიროებიდან გამომდინარე აღკვეთილ იქნა ყველა უნებართვო სამუშაო.

3.საბაზისო მაჩვენებელი-ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 153 000-მდე გაიზრდება;
მიზნობრივი მაჩვენებელი-ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 230 000-მდე გაიზრდება;
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი-ვიზიტორთა რაოდენობა 366 300-მდე.

8.6 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარება და მხარდაჭერა, მათთვის მოთხოვნადი პროფესიის შერჩევაში დახმარება, მათი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან დიალოგი, არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში, უცხოეთში მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლება, არაფორმალური განათლება, სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის და სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს (მ.შ. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები) შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და არასრულწლოვან ახალგაზრდა მსჯავრდებულეთა ხელშეწყობისა და მათი დასაქმების მიზნით ჩატარდა ტრეინინგები და სხვადასხვა ღონისძიებები. ახალგაზრდა მოხალისეთა ერთიანი ქსელის ფარგლებში განხორციელდა გარემოს დაცვითი აქტივობები, საქველმოქმედო საქმიანობები, სპორტული მართონები და სხვა. ახალგაზრდულ აქტივობებში განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირთა ინტეგრაცია. ამოქმედდა სოციალური საწარმოები, სადაც დასაქმდა ახალგაზრდები (მ.შ. შშმ ახალგაზრდები).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - ათი ათასამდე ბენეფიციარი ჩართულია ახალგაზრდულ პროექტებში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდულ პროექტებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 122 ათასამდე;

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 120 000-მდე ბენეფიციარმა (მათ შორის პირდაპირი/უშუალო ბენეფიციარი იყო 51 475); სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ 2016 წელს დაფინანსებულ იქნა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერი 51 პროექტის 5 400 -მდე პირდაპირი და 20 000 - მდე არაპირდაპირი ბენეფიციარი, დაფინანსებული პროექტების ფაგლებში დასაქმდა 176 პირი; პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში მონაწილეობა მიიღო - 3 168 ბენეფიციარმა, ხოლო პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2016“-ის ფარგლებში 6 000 - მდე ბენეფიციარმა.

8.7 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონების და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენების ცხოვრების პირობების და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესდა ბენეფიციარების მატერიალური მდგომარეობა და ცხოვრების პირობები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - 1 000 ბენეფიციარი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდა სპორტსმენთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემის გზით ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 1 100-მდე.

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს სტიპენდიები და სოციალური დახმარებები გაიცა 32 ოლიმპიურ ჩემპიონზე (თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით), 440 ვეტერან სპორტსმენსა და სპორტის მუშაკზე, 762 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე, მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულ 173 სპორტის მუშაკზე;

8.9 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- რეკომენდაციების მომზადება სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად;
- რეკომენდაციები რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე;
- კავშირის დამყარება და თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოთა რელიგიურ ორგანიზაციებთან.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

მიმდინარეობდა რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა, რომელიც ამ ეტაპზე არის დასრულების პროცესში;

სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიურ საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე მომზადდა რეკომენდაციები (284 - რეკომენდაცია);

მიმდინარეობდა თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოს რელიგიურ ორგანიზაციებთან რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით;

განხორციელდა ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება.

8.10 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გატარდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტის სფეროში მიღწეული შედეგები;

მიღწეული მაჩვენებლები - სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებულ იქნა 844 მედალი, მათ შორის 291 ოქრო, 250 ვერცხლი და 303 ბრინჯაო;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

მიღწეული მაჩვენებლები - დანერგილ იქნა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს საკანონმდებლო ბაზის კვლევა და შეფასება;

მიღწეული მაჩვენებლები - შემუშავებულ იქნა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები და სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების კრიტერიუმები.

9. პრიორიტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	107,809.6	107,316.6	107,219.5	106,781.8	437.7
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	6,281.9	6,272.2	6,131.8	6,126.5	5.3
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,622.8	1,622.8	1,519.7	1,519.7	0.0
სულ		115,714.3	115,211.6	114,871.0	114,428.0	443.0

9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება; საქართველოს დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე;
- საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; აშშ-ს, ევროპის სახელმწიფოებისა და სხვა პარტნიორი-ქვეყნების მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გატარება და გაძლიერება;
- ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატისა და დღის წესრიგის შენარჩუნება და ძირითად საკითხებზე პროგრესის მიღწევა;
- ოკუპირებული რეგიონების არაღიარებასთან და რუსეთის, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ერთიანი მტკიცე პოზიციის ჩამოყალიბება საერთაშორისო არენაზე;
- საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე, მათ შორის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღება;
- საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2016 წელს გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; სავიზო დიალოგის დასრულება; მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირში;
- NATO-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან ვარშავის სამიტზე საქართველოს საკითხის ლობირებისთვის; „სპეციალური პაკეტი“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად NATO-ს სტანდარტებთან მიახლოება;
- აშშ-ს, ევროპის და სხვა რეგიონების სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდამჭერის შემდგომი გაძლიერება;
- აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერის აქტის შემუშავება (Georgia Support Act), აშშ-საქართველოს ქარტიის ოთხი მიმართულების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების, ასევე სამუშაო ჯგუფების შემაჯამებელი ე.წ. „ომნიბუს“ შეხვედრის ყოველწლიური ორგანიზება; ქარტიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კონკრეტულ პროექტებსა და ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და განხორციელება; მრავალმხრივ ფორმატებში აშშ-ის პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის შენარჩუნება/გაძლიერება.

ვაჭრობისა და ინვესტიციების დინამიკის გაზრდის მიზნით, აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების კუთხით პროგრესის მიღწევა;

- ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; სხვადასხვა რეგიონის ქვეყნებთან ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება;
- ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის უკეთ გამოყენება;
- ქვეყნის საბაზო და საინვესტიციო სექტორებში მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური ფინანსური კაპიტალის მოზიდვა; თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვა; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გადაქცევა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის, როგორც სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობის გაზრდა; ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება;
- საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების OECD, WTO, ICAO, IMO, გაეროს ეკონომიკური კომისიების (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა პრობლემების მოგვარების კუთხით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აღდგა გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM);
- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღებული იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დევნილთა უფლებების მხარდამჭერი რეზოლუციები და სხვა დოკუმენტები;
- „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი გაიზარდა;
- შენარჩუნდა და განმტკიცდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების ტენდენციები;
- საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა და სრულმასშტაბიანად ამოქმედდა ასოცირების შეთანხმება;
- დასკვნით ფაზაში შევიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესი საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ;
- ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმებას;
- ნატო-ს ვარშავის სამიტზე მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოს თავდაცვის სფეროში ალიანსის დამატებითი დახმარების შესახებ;
- საქართველომ წარმატებით შეასრულა წლიური ეროვნული პროგრამა (ANP);

- საქართველო რჩება ერთ-ერთ უმსხვილეს კონტრიბუტორად „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში;
- ხელი მოეწერა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების მემორანდუმსა და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს, ასევე, განხორციელდა პროგრამა „ზრდა“-ს ინიცირება;
- აშშ-ს სენატისა და კონგრესის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები;
- გაიზარდა საქართველოს ჩართულობა ლათინური ამერიკის რეგიონში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში, საქართველომ, დამკვირვებლის სტატუსით პირველად მიიღო მონაწილეობა წყნარი ოკეანეთის ალიანსის მინისტერიალში.
- საქართველომ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები;
- ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელმოწერილი/მაღაში შესული ხელშეკრულებები;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა. საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 2 ქვეყანასთან. სულ დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებულია 188 ქვეყანასთან;

2.მიზნობრივი მაჩვენებელი - ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შეუფერხებელი ფუნქციონირება; რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება; იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პრინციპებზე შეთანხმება; ნდობის აღდგენისკენ მიმართული საერთაშორისო პროექტების განხორციელების რაოდენობა; ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის საერთაშორისო აღიარება;

მიღწეული მაჩვენებელი - გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების 4 რაუნდი. ოთხწლიანი წყვეტის შემდეგ აღდგა გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი;

3.მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი; ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღება; ევროკავშირთან კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში შერჩეული ქართველი კანდიდატების მონაწილეობა; ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება;

მიღწეული მაჩვენებელი - დასკვნით ფაზაში შევიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესი საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის შესახებ;

4.მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის სათანადო შეფასება;

მიღწეული მაჩვენებელი - არც ერთი ქვეყანის მიერ არ მომხდარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ „დამოუკიდებლობის“ აღიარება;

5.მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად განხორციელებული ღონისძიებები - პრეზენტაციები, გამოფენები, ფორუმები, ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, თანამშრომლობით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, მედია-კამპანიები; ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომების ოქმის შესრულება;

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს ეწვია 26 ქვეყნის ბიზნესდელეგაცია და გაიმართა 7 ბიზნესფორუმი;

6.მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

მიღწეული მაჩვენებელი - ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა/ძალაში შევიდა 92 ხელშეკრულება;

7.მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წლიური ეროვნული პროგრამის დადებითი შეფასება;

მიღწეული მაჩვენებელი - წარმატებით შესრულებული წლიური ეროვნული პროგრამა (ANP);

8.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული კულტურული პროექტები, მათ შორის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით;

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიებები/პროექტების რაოდენობა, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს კულტურული და ეკონომიკური პოპულარიზაციისთვის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით.

9.მიზნობრივი მაჩვენებელი - აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა. აგრეთვე, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების მიღება; საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა;

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოში განხორციელებული უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები და მიღებულ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები;

10.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის გაზრდა;

მიღწეული მაჩვენებელი - მხარდამჭერი ქვეყნების გაზრდილი რაოდენობა;

11.მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების/განცხადებების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების და განცხადებების გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი 76–მდე გაიზარდა;
- დახმარება გაეწია საქართველოს 46 მეზღვაურს. საზღვარგარეთიდან გადმოსვენებულ იქნა საქართველოს 188 მოქალაქე.
- საქართველოში გამართული მრავალი სხვადასხვა რანგის ვიზიტი, მათ შორის უმაღლესი და მაღალი რანგის ვიზიტები.

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე;
- პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიღებული იქნა ქვეყნისათვის მხარდამჭერი რეზოლუციები;
- საქართველო არჩეული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის კომიტეტებისა და საბჭოს წევრად.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება; საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები;

მიღწეული მაჩვენებელი - საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში (აგრეთვე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა კონვენციაში, კომისიაში, ჯგუფში, ღონისძიებაში და ა.შ), რომლებშიც საქართველო არის გაწევრიანებული.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- შესასრულებელი შეკვეთების ხარისხის გაუმჯობესება და შემსრულებელთა კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ბიუროს გადაქცევა საერთაშორისო დოკუმენტების თარგმნის სტაბილურ და პრესტიჟულ ცენტრად.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხარისხიანი ნათარგმნი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების, თარგმნილი ტექსტების ხარისხი და რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმების რაოდენობა (13 960 გვერდი), სინქრონული თარგმნის საათების რაოდენობა (334 საათი).

10. პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	273,726.3	255,950.3	262,053.3	250,602.4	11,450.9
37 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	44,488.1	43,898.1	44,120.2	43,582.2	538.0
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	29,569.8	24,346.4	31,810.7	26,730.4	5,080.3
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	9,893.0	9,835.3	9,396.9	9,340.5	56.4
სულ		357,677.2	334,030.1	347,381.0	330,255.5	17,125.6

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო“
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“,
- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“,

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა;
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- აგროდაზღვევის განვითარება;
- სანერგე მეურნეობების განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებების შედეგად გაიზარდა გასარწყავებული და დაშრობილი ფართობის მაჩვენებელი.
- სოფლის მეურნეობის დარგში შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები.
- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.
- პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებისათვის დარგობრივ კოოპერატივებს გაეწიათ დახმარება საჭირო ინვენტარით.
- აგროდაზღვევის პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა სადაზღვევო კომპანიებიდან აინაზღაურეს ზარალი დადგენილი პირობების შესაბამისად და შეინარჩუნეს შემოსავალი.
- გაშენდა ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები და შეიქმნა სანერგე მეურნეობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

მაჩვენებლები დეტალურად წარმოდგენილია თითოეული ქვეპროგრამის ფარგლებში

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
მიღწეული მაჩვენებელი - ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 13.1%-ით.
2. მიზნობრივი მაჩვენებელი - გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი;
მიღწეული მაჩვენებელი - რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 10.7 ათასი ჰექტარი. სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება (ორმხრივი რეგულირების სისტემებზე) 3,0 ათასი ჰექტარი. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 4.4 ათასი ჰექტარი; ახალი სარწყავი მიწების ათვისება 300 ჰექტარი. დაშრობილი ფართობი 3,0 ათასი ჰექტარი.
3. მიზნობრივი მაჩვენებელი - შეღავათიანი აგროკრედიტებით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში 1,650 ბენეფიციარზე გაიცა 1,892 სესხი და ლიზინგი.
4. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - გაცემულია 18 795 სადაზღვევო პოლისი, დაზღვეულია 15.5 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი.
5. მიზნობრივი მაჩვენებელი - გაშენებული მრავალწლიანი კულტურის ბაღების და სანერგე მეურნეობების რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - 2015-2016 წლების განმავლობაში გაშენებულია 2.0 ათასი ჰექტარი ბაღი და მოწყობილი ერთი სანერგე მეურნეობა.
6. მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩაის წარმოების ზრდა.
მიღწეული მაჩვენებელი - ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო ფართობი შეადგენს 284 ჰექტარს.
7. მიზნობრივი მაჩვენებელი - რეალიზებული მანდარინის რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - შესყიდული 9,3 ათასი ტონა არასტანდარტული მანდარინი.
8. მიზნობრივი მაჩვენებელი - მცირემიწიანი ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.
მიღწეული მაჩვენებელი - 472 917 ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით.

10.1.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

10.1.2 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 37 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

10.1.3 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;
- წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დაშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 38 ობიექტზე, მათ შორის საირიგაციო სისტემებზე - 30 ობიექტი, ხოლო დამშრობ სისტემებზე - 8 ობიექტი. წლის ბოლოს 77 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, დაშრობილი და გასარწყავებული ფართობების ზრდა და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 000 ჰა თვითდინებითი და 87 000 ჰა მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 000 ჰა მექანიკური წესით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა:

რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი (დამატებით გასარწყავებული ფართობი) 12 400 ჰექტარი სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 9 000 ჰექტარი;

ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 620 ჰექტარი;

დამშრობ სისტემებზე რეაბილიტირებული ფართობი 1 370 ჰექტარი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 10 200 ჰა-მდე მიწის ფართობი; რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება დაახლოებით 3 000 ჰა-მდე; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება დაახლოებით 3 000 ჰა-ზე; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 3 700 ჰა-ზე; ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 813 ჰა-ზე; რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი დაახლოებით 3 650 ჰა-ზე; დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 640 ჰა-ზე.

მიღწეული მაჩვენებლები - პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 10 700 ჰექტარი მიწის ფართობი; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება (ორმხრივი რეგულირების სისტემებზე) - 3 000 ჰექტარზე; არსებულ რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება - 4 420 ჰექტარზე; ახალი სარწყავი მიწების ათვისება შეადგენს 300 ჰექტარს; დაშრობილი ფართობი შეადგენს 3 000 ჰექტარს. წყალუზრუნველყოფილი ფართობი შეადგენს - 111 800 ჰექტარს, ხოლო დრენირებული - 34 400 ჰექტარს.

განმარტება დაგეგმილსა და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

ახალი სარწყავი მიწების ათვისების მიზნით 2 პროექტი მიმდინარეობს და დასრულდება 2017 წელს.

ერთი პროექტი (დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება 640 ჰექტარზე) მიმდინარეობს და დასრულდება 2017 წელს.

10.1.4 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.
- აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ქ. რიგაში გამართული გამოფენის შედეგად კომპანიებმა „შალოშვილის მარანი“ და „Wine Products & Spirits (Tolibashi)“ განახორციელეს ქართული ღვინის ექსპორტი ლატვიის რესპუბლიკაში, ხოლო კომპანიები „კულა“ და „კახური“ აწარმოებენ მოლაპარაკებებს თავიანთი პროდუქციის ექსპორტის გაზრდასთან დაკავშირებით;
- ქ. ასტანაში გამართული გამოფენის შედეგად კომპანიებმა „LTD Sales Management Company (ლივო)“ და შპს „ქინძმარაული“ განახორციელეს თავიანთი პროდუქციის ექსპორტი ყაზახეთის რესპუბლიკაში;
- ქ. მინსკში გამართული გამოფენის შედეგად გამოფენაზე წარმოდგენილი კომპანიებიდან ბელარუსის რესპუბლიკაში ექსპორტს ახორციელებს „ჰერეთის ღვინის მარანი“, „Wine Products & Spirits (Tolibashi)“, „თელავის ღვინის მარანი“, „Legends of Georgia“ და „არენი“. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საქართველოდან ბელარუსის რესპუბლიკაში ღვინის ექსპორტი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 30%-ით.
- აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 13,1% ით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - 2013-2015 წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოეწყო 14 და ქვეყნის შიგნის 4 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება, რომელზეც წარდგენილ იყო 25 მდე ქართული კომპანიის პროდუქცია.

მიზნობრივი მაჩვენებელი - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სავარაუდოდ 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 7 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 7 საგამოფენო ღონისძიებაზე. ქვეყნის შიგნით მოეწყო 3 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.

10.1.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- თანამედროვე IT ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი კოოპერატივები;
- კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის ზრდა;
- კოოპერატივების მიერ მოგების მიღების პოტენციალის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შედეგად ხელი შეეწყო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ზრდას.
- 224 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 400-ზე მეტ წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში.
- განხორციელდა ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების (დევნოილები, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სოციალურად დაუცველი პირები და სხვა) კოოპერატივებში ჩართულობის სტიმულირება.
- დარგობრივ კოოპერატივებს გაეწიათ დახმარება პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინვენტარით, რაც ხელს შეუწყობს მათი მოგების პოტენციალის ზრდას.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შექმნილია 1254 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის მებაღეობის მიმართულებით 175 ერთეული, მეზოსტნეობის მიმართულებით - 244 ერთეული, მარცვლეულის მწარმოებელი - 235 ერთეული. ყურძნის მწარმოებელი - 64 ერთეული, ჩაის გადამამუშავებელი - 21 ერთეული, თაფლის მწარმოებელი - 176 ერთეული, მეცხოველეობის მიმართულებით - 259 ერთეული, თხილის წარმოების მიმართულებით - 80 ერთეული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - კოოპერატივების მიერ წარმოებული ან/და გადამამუშავებული პროდუქციის 2 გამოფენა-გაყიდვის ღონისძიების ჩატარება; „საინფორმაციო ბანკში“ განთავსებული 200-დან 300-მდე მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია; ტრატეგიული მარკეტინგული გეგმების შემუშავება დაახლოებით 30-მდე კოოპერატივისათვის და მათი ბრენდირება - სასაქონლო შეფუთვის/დიზაინის შექმნა; საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა 10-მდე კოოპერატივისთვის; ერთიანი საწარმოო ციკლის წარმოებისათვის 4-მდე მიმართულების სავარაუდოდ 5 დარგობრივი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა.

მიღწეული მაჩვენებლები - 91 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გადაეცა 6 348 სკა. გარდა აღნიშნულისა, 28 მონაწილემ პროგრამის ფარგლებში მიიღო 28 თაფლის საწური (ციბრუტი) და 27 მონაწილეს გადაეცა 713 თაფლის შესანახი ავზები - სულ 61 400 ლიტრი ტევადობის. 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გადაეცა რძის საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობა. ჩატარდა 3 გამოფენა და 2 გამოფენა-გაყიდვა, რომელთა ფარგლებში წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

საინფორმაციო ბანკში 200 - დან 300 - მდე მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის განთავსება - აღნიშნულის განხორციელება შეფერხდა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების IT ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო.

სტრატეგიული მარკეტინგული გეგმების შემუშავება დაახლოებით 30 მდე კოოპერატივისათვის და მათი ბრენდირება, სასაქონლო შეფუთვის/დიზაინის შექმნა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა 10 - მდე კოოპერატივისთვის - არ განხორციელდა, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი არ იყო საკმარისი აღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად.

ერთიანი საწარმოო ციკლის წარმოებისათვის 4 - მდე მიმართულების სავარაუდოდ 5 დარგობრივი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა - საანგარიშო პერიოდში შესაბამისი თანამედროვე მოწყობილობებით აღიჭურვა 9 რძის მწარმოებელი საწარმო (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), ხოლო სხვა მიმართულების საწარმოების შექმნა-აღჭურვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს“ მიერ მომზადებული ზოგიერთი პროექტის განხორციელება არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.

10.1.6 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 37 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილ იქნა დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელება

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნა და არსებულის გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება;
- დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სააგენტოს მიერ პროცენტის სუბსიდირების შედეგად გაიზარდა ფერმერებისათვის შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობა. პროექტის განხორციელებით შეიქმნა ახალი საწარმოები და გადაიარაღდა არსებული.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - 2013-2015 წლებში სულ გაცემულია 24 247 სესხი 671 869.5 ათასი ლარის ოდენობით და 1 410 სესხი 184 251.9 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სულ დაფინანსებულია 125 ახალი საწარმო და გადაიარაღებულია 665 საწარმოზე მეტი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სასოფლო-სამეურნეო დარგის დაფინანსებაში დაახლოებით 15 კომერციული ბანკის მონაწილეობა. სავარაუდოდ 200.0 მილიონი ლარის 4 000-მდე ახალი სესხის (ლიზინგი) გაცემა;

მიღწეული მაჩვენებლები - პროექტში მონაწილეობდა 13 კომერციული ბანკი; 2016 წელს გაცემულია 1 892 სესხი 72.4 მლნ ლარის და 834 სესხი 51.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში სულ გადაიარაღდა 700 - მდე საწარმო და დაფინანსებულია 138 ახალი საწარმო.

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება;
- ბენეფიციარების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროექტის ფარგლებში ბენეფიციარების მიერ მიღებულმა სარგებელმა ხელი შეუწყო დამუშავებულ ფართობებზე მოსავლის და შესაბამისად ფერმერთა შემოსავლების ზრდას.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აგრობარათებით 662.5 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი, პროექტის ფარგლებში მოხნული მიწის ფართობის შეადგენს 225.2 ათას ჰექტარს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 750.0 ათასამდე ბენეფიციარი მიიღებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სარგებელს. სავარაუდოდ 200 ათასი ჰა მიწის ფართობის მოხვნა;

მიღწეული მაჩვენებლები - სულ სარგებელი მიიღო 656,7 ათასმა ბენეფიციარმა. 472,9 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო 36 073,1 ათასი ლარის სარგებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით. პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 222 753 ჰა მიწის ფართობი.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 01 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - სესხით და ლიზინგით შეძენილია შემდეგი სახის ტექნიკა: 605 ტრაქტორი; 56 კომბაინი; 1 850 აგრეგატი; 20 სპეცტექნიკა.

10.1.10 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- 2016 წლის განმავლობაში, პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა სადაზღვევო კომპანიებიდან აინაზღაურეს ზარალი დადგენილი პირობების შესაბამისად და შეინარჩუნეს შემოსავალი. პროექტში ჩართული იყო 5 სადაზღვევო კომპანია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - სულ 2014-2015 წლებში დაზღვეული ფართობი შეადგენს 23 667 ჰექტარს, ანაზღაურებული ზარალის ოდენობა - 14,2 მლნ ლარი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - 10 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევა;

მიღწეული მაჩვენებლები - 2016 წელს 15 472 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

10.1.11 (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ფერმერთა ხელშეწყობა არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციაში.
- მიღწეული შუალედური შედეგები
- პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ფერმერებს არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციაში.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 10 358 ტონა.

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდება 20 000 ტონამდე არასტანდარტული მანდარინის ჩაბარების ხელშეწყობა;

მიღწეული მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 9 252 ტონა.

განმარტება დაგეგმილსა და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე

გასულ წელთან შედარებით ბაზარზე მანდარინის რეალიზაციის ზრდის, მათ შორის ექსპორტის ზრდის შედეგად ფერმერების მიერ გადასამუშავებლად ჩაბარებული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ დაგეგმილზე ნაკლები შეადგინა.

10.1.12 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 01 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ახალი სანერგე მეურნეობებიდან მიღებული 500 000 - მდე ნერგი ყოველწლიურად;
- ინტენსიური ბაღებიდან მიღებული მაღალი ხარისხის ხილის მოსავალი;

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაშენდა სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ბაღები, შეიქმნა სანერგე მეურნეობები, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებას. გასაშენებელი ბაღებისა და სანერგეების ფართობი ჯამში შეადგენს 2 531 ჰექტარს. აქედან გაშენებულია დაახლოებით 2 000 ჰა ბაღი და მოწყობილია 1 სანერგე მეურნეობა, ხოლო მეორე გაშენების პროცესშია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში 2015 წელს 117 ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი 835.87 ჰექტარზე.

მიზნობრივი მაჩვენებელი - 500 ჰექტრამდე მრავალწლიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ახალი, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები. სავარაუდოდ 5 ახალი სანერგე მეურნეობა;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს დამტკიცდა 274 პროექტი, გასაშენებელი ბაღების ფართობი შეადგენს 1 764 ჰექტარს.

10.1.13 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 37 01 13)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მცირემიწიან ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა (რომელთაც საკუთრებაში გააჩნია ჩაის პლანტაცია); ბიო და ორგანული ჩაის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- 2016 წელს დამტკიცებულია 9 პროექტი, 284 ჰექტარის ფართობის რეაბილიტაციაზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო ჩაის ფართობი შეადგენს სავარაუდოდ 6 300 ჰექტარს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს რეაბილიტირებულ იქნება სავარაუდოდ 2 000 ჰექტარამდე ფართობი;

მიღწეული მაჩვენებლები - სარეაბილიტაციო ფართობი შეადგენს 284 ჰექტარს.

განამრტება დასახულ შუალედურ შედეგსა და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

პროექტი დაიწყო 2016 წლის თებერვალში და ცნობადობის ამაღლების მიზნით, სააგენტოს მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის პრეზენტაციები ყველა იმ რეგიონში, სადაც ჩაის კულტურა არსებობს. ბენეფიციარების მხრიდან ბევრი დრო დასჭირდა სასურველი პლანტაციების მოძიებას, რადგან ზოგი მათგანი საერთოდ არ იყო რეგისტრირებული რეესტრში. ასევე, მაისიდან დაიწყო ვეგიტაციის პერიოდი და იმ პოტენციურ ბენეფიციარებს, ვისაც უკვე გააჩნიათ ჩაის პლანტაციები, არ ჰქონდათ საკმარისი დრო პროგრამის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაგროვებლად.

ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ უმეტესი პოტენციური ბენეფიციარი გამოთქვამს სურვილს პროგრამის ფარგლებში მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არარეგისტრირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია მოამზადოს აზომვითი ნახაზები და მოახდინოს პლანტაციის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად. ეს ყოველივე კი იმაზე მეტ დროს მოითხოვს ვიდრე ეს იყო ნავარაუდები, შესაბამისად 2016 წელს ვერ იქნა მიღწეული დასახული შუალედური შედეგი.

10.1.14 აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 14)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დაშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- საირიგაციო არხების რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ გაუმჯობესებულ იქნება სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა და გაიზრდება გასარწყავებული მიწის ფართობი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

მიზნობრივი მაჩვენებელი - 30-მდე სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა; 1 000 - მდე მცირე ზომის გრანტების გაცემა აგრობიზნესისა და პირველადი წარმოების სფეროში; 3 000-მდე ფერმერისათვის სხვადასხვა სახის სწავლების ჩატარება; 19 000-მდე კომლისათვის წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; 20 000-მდე ჰექტარ ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა (საშუალოვადიან პერიოდში).

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი, დამტკიცდა 6 საგრანტო განაცხადი. სწავლება ჩატარდა 105 ფერმერს და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების 69 თანამშრომელს.

განმარტება დაგეგმილსა და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე

2016 წლის მარტში დასრულდა ღირებულებათა ჯაჭვების იდენტიფიცირების პროცესი, რაც პროექტის რეალური საქმიანობის დაწყების წინაპირობაა. საგრანტო სახელმძღვანელოს შემუშავება დასრულდა 2016 წლის აგვისტოში, რის შემდგომაც საგრანტო პროგრამის შესახებ ინფორმაციის რეგიონებში გავრცელების მიზნით დაიწყო აქტიური კამპანია, თუმცა მიუხედავად ამისა, მოთხოვნა საგრანტო პროგრამაში მონაწილეობაზე ძალიან დაბალია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად ვერ იქნა მიღწეული დაგეგმილი შუალედური შედეგების შესრულება.

10.2 მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისება;
- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;
- ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა;
- სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა;
- ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე. 2016 წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 367 886 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 43%-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია დაახლოებით 23.1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - ზრდამ 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა. მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 18 გამოფენა მსოფლიოს 8 ქვეყანაში, 93 ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია 11 ქვეყანაში, ღვინის ფესტივალი 5 ქვეყანაში და ღვინის კვირეული 1 ქვეყანაში.
- თელავის მუნიციპალიტეტში აღირიცხა 5 477.2 ჰა ვენახი.
- რთველის პროგრამის ფარგლებში შესყიდული და გადამუშავებულია 117.8 ათასი ტონა ყურძენი;
- ველური ვაზის 58 ნიმუში შეგროვდა ქართლისა და კახეთის რაიონებში და დაირგო ვაზის სანერგეში. სავეგეტაციო პერიოდში აღმოჩენილი, აღწერილი, ფოტოგრაფირებული და ჰერბარიზირებული იქნა ველური ვაზის 8 ახალი მცენარე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს აღებული იქნა 194 ნიმუში 30 სხვადასხვა კომპანიიდან. ყველა ნიმუში აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს; არასტაბილური პოლიტიკურ - ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-63%) და უკრაინაში (-60%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ, გავლენა იქონია 2015 წლის ექსპორტის სტატისტიკაზე, 2015 წელს მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 16 გამოფენა მსოფლიოს 13 ქვეყანაში. ღვინის დეგუსტაცია - პრეზენტაცია 21, კონფერენცია 1, ახალი ღვინის ფესტივალი.
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ღვინოპროდუქტების ექსპორტის მოცულობა; ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე დაბალხარისხიანი ან ფალსიფიცირებული პროდუქციის აღკვეთა.

მიღწეული მაჩვენებელი - ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 194,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 146,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 32% შეადგინა. ინსპექტირების პროცესში აღებულ იქნა 485 ნიმუში 47 სხვადასხვა კომპანიიდან. 4 საწარმოდან აღებული ნიმუშები არ შეესაბამებდა დადგენილ ნორმებს.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წ. ყვარელში გადაღებული იქნა 13 სოფელი და იქ არსებული 5 533 ჰექტარი ვენახი, რომელიც წარმოდგენილია 8 533.4 ჰექტარი სავენახე ნაკვეთის სახით. დადგენილი იქნა 10 ვაზის ჯიში. მ.შ. წამყვანი ჯიშები საფერავი და რქაწითელი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - ვენახების ეროვნული კადასტრის ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - თელავის მუნიციპალიტეტში აღირიცხა 5 477.2 ჰა ვენახი, დადგენილი იქნა 13 ვაზის ჯიში.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წ. რთველის ფარგლებში მიღებული და გადამუშავებული იქნა 148 349 ტონა ყურძენი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - შესყიდული და გადამუშავებული დაახლოებით 100-130 ათასი ტონა ყურძენი;

მიღწეული მაჩვენებელი - ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით კახეთის მოსახლეობამ მიიღო 97,0 მლნ ლარი. რაჭის მოსახლეობამ კი 2,5 მლნ.ლარი, სულ 99,5 მლნ.ლარი. ღვინის კომპანიების მიერ მიღებული იქნა და გადამუშავდა 117,8 ათასი ტონა ყურძენი.

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წ. დანიის უნივერსიტეტის „GeoGenetics“ ლაბორატორიაში არსებულ 23 ქართულ ნიმუშზე დასრულებული იქნა ძველი დნმ-ის ექსტრაქცია და მოლეკულური მარკერებით კვლევა, რის შემდეგაც მოხდა მათი შედარება თანამედროვე ვაზის გენოფონდთან; 2014 და 2015 წლებში განხორციელდა 4 არქეოლოგიური კამპანია „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. მეექვსე ათასწლეული) ძეგლზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ და მოპოვებული იქნა ახალი არქეოლოგიური მასალა დაკავშირებული მეღვინეობასთან. განხორციელებული იქნა „არქეოლოგიურ კატალოგის“ და „ეთნოგრაფიული კატალოგის“ პირველი ეტაპის სამუშაოები, რაც მოიცავდა ახალი მონაცემების ატვირთვას პროექტის ვებ-გვერდზე - ატვირთული იქნა 150 შენატანი (სურათი და სტატია) „ეთნოგრაფიულ კატალოგში“ და 120 შენატანი არქეოლოგიურ კატალოგში - 2015 წელს ამ მასალაზე დაყრდნობით მომზადებული იქნა 144 გვერდიანი წიგნის ელექტრონული ვერსია.

მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩატარებული კვლევებისა და მიღებული შედეგების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა (სავარაუდოდ 2 პუბლიკაცია). მოლეკულური მარკერებით დახასიათებული ვაზის აბორიგენული ჯიშებისა და ველური ვაზის ნიმუშების რაოდენობა (დაახლოებით 70 გენოტიპი). ; ღვინის ნაშთების არსებობაზე შემოწმებული არქეოლოგიური მასალა (10 ერთეული);

მიღწეული მაჩვენებელი - მოლეკულური მარკერებით დახასიათებული იქნა ვაზის აბორიგენული ჯიშებისა და ველური ვაზის 66 ნიმუში.საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში INTERNATIONAL JOURNAL OF BIOMETEOROLOGY გამოქვეყნებული იქნა 1 სტატია 'Grapevine phenology and climate change in Georgia'. შეკრებილი იქნა მასალები სტატიის მოსამზადებლად აშშ-ს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (PNAS) 2017 წელს გამოსაქვეყნებლად. განხორციელდა ერთობლივი არქეოლოგიური გათხრები მარნეულის რაიონში მდებარე ე.წ. „შულავერის კულტურის“ ნეოლითურ ნასახლარებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“. გათხრები ჩატარდა 10 სექტორში და შესაბამისად მომზადდა 10 არქეოლოგიური მასალა.

10.3 სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვის და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი: 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ „სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა;
- განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება;
- ბაზარზე უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა;
- ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გატარებული ღონისძიებების შედეგად სამომხმარებლო ბაზარზე შემცირებულ იქნა მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტები.
- ცხოველთა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ განხორციელებული პროფილაქტიკური ვაქცინაციის და დაავადების კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია. შემცირებულია ცხოველებში და ადამიანებში ზოონოზური დაავადებებით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა. თავიდან არის აცილებული საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის რისკები (ექსპორტი, ტრანზიტი). ხელსაყრელი გარემოა შექმნილი ცოცხალი ცხოველებისა და მეცხოველეობის ნედლეულის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საშუალებით გაადვილებულია მიკვლევადობის პროცესი.
- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები.
- გატარებული ღონისძიებების შედეგად შემცირებულ იქნა ბაზარზე უხარისხო ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები.
- ლაბორატორიულად გამოკვლეულ 482 586 ნიმუშში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 53, ბრუცელოზი-8 579, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 81, პასტერელოზი - 32, სალმონელოზი - 5, მასტიტი - 383, ემკარი - 14, ბრადზოტი - 13, ენტეროტოქსემია - 9, ჯილეხი - 17, ნიუკასლი - 2, თურქული 1457, წრპ-ს ჭირის ანტისხეულები - 250, პირობით პათ. მიკროფლორა -11. საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე,რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა: სალმონელა -14, ლისტერია მონოციტოგენეზი -3, ნჩჯბ -246, მაფანმრ - 205, S.Aureus - 20, პროტეუსი - 5, E.COLI - 9.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებლები - 2015 წელი - ინსპექტირებულია სულ 8 224 ბიზნესოპერატორი, (მათ შორის გეგმური 3 794, არაგეგმური 558, აღიარება 147 და გადამოწმება 3 725). გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო გაცემული იქნა 52 199 რეკომენდაცია. მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის სარეალიზაციო ობიექტში და მათ შორის, 1 240 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები. აღნიშნულის გამო სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ დაჯარიმდა 1 240 ბიზნესოპერატორი. აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია 4 226 ნიმუშის/სინჯი, მათ შორის, 776 ნიმუში/სინჯი არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.
მიზნობრივი მაჩვენებელი - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან; (2016 წელს განხორციელდება რეგისტრირებული 50 000 ბიზნესოპერატორიდან 8 000 ბიზნესოპერატორის ინსპექტირება და 3 400 მდე ბიზნესოპერატორის მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება); მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების შემცირება; (2016 წელს განხორციელდება სავარაუდოდ სურსათისა და სასმელი წყლის 5000 მდე ნიმუშის/სინჯის აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა);
მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მდგომარეობით სულ განხორციელდა 10 820 სურსათის ბიზნესოპერატორის ინსპექტირება (მათ შორის: გეგმური ინსპექტირება განხორციელდა 5 381 ბიზნესოპერატორთან; არაგეგმური ინსპექტირება განხორციელდა 348 ბიზნესოპერატორთან; გადამოწმებულია 4 826 ბიზნესოპერატორი; აღიარების მიზნით განხორციელდა 265 ინსპექტირება. განხორციელდა 9 181 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით აღებული და ლაბორატორიაში ჩაბარებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 3 244 ნიმუში/სინჯი. ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით 482 ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.
2. საბაზისო მაჩვენებლები - 2012 წლამდე ქვეყნის მასშტაბით არ განხორციელებულა თურქიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. 2012 წლიდან დღემდე განხორციელებული მასშტაბური პროფილაქტიკური ვაქცინაციების შედეგად ქვეყანაში მიღწეული და შენარჩუნებულია ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა და დაავადების შემოჭრა-გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე. 2015 წლის განმავლობაში აცრილია 1 541 113 სული მსხვილფეხა და 865 061 სული წვრილფეხა პირუტყვი. ჯილეხზე ვაქცინირებულია 451 821 სული მსხვილფეხა, 379 969 სული წვრილფეხა პირუტყვი და 5 105 კენტჩლიქიანი ცხოველი. ასევე იძულებით ვაქცინირებულია 19 000 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი. დაფიქსირებულია ცხოველებში ჯილეხის 24 და ადამიანებში ჯილეხის 50 შემთხვევა. ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 257 531 სულ ძაღლი/კატა. იძულებით ვაქცინირებულია 46 572 დაავადების ამთვისებელი ცხოველი. დაფიქსირებულია 81 ცხოველის შემთხვევა (მათ შორის 32 ინდიკატორული ცხოველის-ძაღლის) და არცერთი ადამიანის შემთხვევა. ნოდულარულ დერმატიტზე ვაქცინირებულია 167 780 მსხვილფეხა პირუტყვი. ცხვრისა და თხის ყვავილზე ვაქცინირებულია 1 416 931 სული წვრილფეხა პირუტყვი (რევაქცინაცია: მოზარდი,ზრდასრული). ბრუცელოზის დაავადების დეტექციის მიზნით განხორციელდა 68 179 სული პირუტყვის დიაგნოსტიკური გამოკვლევა, მათ შორის დადებითია 1 121 (1,7%). აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ბრუცელოზის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გრძელვადიანი გეგმის საწყის ეტაპს. ასეთი მასშტაბური ღონისძიება არ განხორციელებულა წინა წლებში და ამიტომ საბაზისო წლად ჩაითვლება 2015 წელი. ყირიმ-კონგოს საწინააღმდეგოდ დამუშავებულია 12 915 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 3 589 სადგომი და 30 ჰექტარი საძოვარი. ადამიანებში დაფიქსირდა ყირიმ-

კონგოს 9 დადასტურებული შემთხვევა, მათ შორის 1 ლეტალობა. იდენტიფიცირებულია (საყურე ნიშნით) 386 219 სული მსხვილფეხა და 92 356 სული წვრილფეხა პირუტყვი. მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 500 000-მდე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი. ტუბერკულოზზე ფონის შესწავლის მიზნით მასშტაბური ღონისძიებები არ განხორციელებულა.

მიზნობრივი მაჩვენებელი - ცხოველთა, ცხოველთა და ადამიანის საერთო დაავადებების რაოდენობის შემცირება და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება (2016 წელს განხორციელდება სავარაუდოდ 1 000 000 -მდე მსხვილფეხა და 700 000 - მდე წვრილფეხა პირუტყვის დაავადება თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია წელიწადში ორჯერ. ჯილეხის დაავადების რისკის ზონებში პროფილაქტიკური ვაქცინაცია სავარაუდოდ 600 000 სულ მსხვილფეხა, 500 000 მდე სულ წვრილფეხა პირუტყვში და 10 000 მდე სულ კენტრლიქიან ცხოველებში. შინაურ ხორცისმჭამელ ცხოველებზე, მათ შორის თავშესაფრებში განთავსებული ცხოველების ჩათვლით (საორიენტაციოდ 300 000 სული) ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ 250 000 მდე სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია. ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში არსებულ სავარაუდოდ 800 000 მდე წვრილფეხა პირუტყვზე); ბრუცელოზის დაავადების დეტექციის მიზნით 250 000 მდე სული პირუტყვის დიაგნოსტიკური გამოკვლევები და ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 200 000 მდე სულ მსხვილფეხა და 550 000 მდე სულ წვრილფეხა პირუტყვში. ადამიანებში ყირიმ-კონგოს ცხელების გამოვლენის ადგილებში 20 000 მდე მსხვილფეხა პირუტყვისა და მათი სადგომების ინსექტო-აკარიციდული დამუშავება. ცხოველთა რეგისტრაცია-იდენტიფიკაცია ორივე ყურზე სპეციალური სანომრე ნიშნებით სავარაუდოდ 400 000 სულ მსხვილფეხა და 700 000 წვრილფეხა პირუტყვზე; ტუბერკულოზზე ფონის შესწავლის მიზნით სავარაუდოდ 10 000 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი

ვაქცინაცია:

- ✓ თურქული (მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი) - 3 000 358 პირობითი სული (89%).
- ✓ ჯილეხი მსხვილფეხა, წვრილფეხა და კენტრლიქიანი პირუტყვი - 1 062 760 პირობითი სული (84%).
- ✓ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ძალდი, კატა) - 265 880 სული (88.6%).
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია - 2 079 242 პირობითი სული (103%).
- ✓ ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია - 870 094 პირობითი სული (109%).
- ✓ ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მსხვილფეხა პირუტყვი) - 234 897 სული (94%).
- ✓ ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მსხვილფეხა პირუტყვი) - 35 833 ცხოველი (18%).

პირუტყვისა და სადგომების დამუშავება:

- ✓ ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება (მსხვილფეხა პირუტყვი და სადგომი) - 24 684 მსხვილფეხა პირუტყვი და 6 007 სადგომი (109.6%).
- ✓ ბიოუსაფრთხოების პუბქტზე დამუშავდა 33 302 მსხვილფეხა და 343 910 წვრილფეხა პირუტყვი (90.5%).

რუტინული სერომონიტორინგი/სხვა ლაბორატორიული კვლევები:

- ✓ ბრუცელოზის რუტინული სერომონიტორინგი (მსხვილფეხ აპირუტყვი): 193 143 პირუტყვი (97%).
- ✓ გამოკვლეული ნიმუშები თურქულის სტრუქტურულ ცილებზე (SP): 838 ნიმუში (84%).
- ✓ გამოკვლეული ნიმუშები თურქულის არა სტრუქტურულ ცილებზე (NSP): 4500 ნიმუში (100%).
- ✓ ცოფის პოსტვაქცინალური კვლევა: 300 ნიმუში (100%)
- ✓ წვრილფეხ პირუტყვის ჭირის პრე და პოსტ ვაქცინალური სერომონიტორინგი: 1300 ნიმუში 100%

ჯამში ლაბორატორიულად გამოკვლეული ნიმუშების რაოდენობა: 200 524 ნიმუში.

იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია:

- ✓ მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია: 503 872 ცხოველი (126%).
- ✓ წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია: 179 390 ცხოველი (25,6%).
- ✓ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში 2016 წელს დარეგისტრირდა 771 579 სული მსხვილფეხა და 49 188 სული წვრილფეხა პირუტყვი.

მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომოს/დროებითი სადგომის კონტროლი (ინსპექტირება):

- ✓ 1085 მსხვილფეხა (10 892 სული) საქონლის სადგომი.
- ✓ 59 წვრილფეხა (9 486 სული) საქონლის სადგომი.
- ✓ შეუსაბამობა გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის 441 (40%) და წვრილფეხა საქონლის 38 (64%) სადგომზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ბრუცელოზთან ბრძოლის სტრატეგიის თანახმად გათვალისწინებული იყო გასულ წლებში ბრუცელოზზე გამოკვლეულ რეგიონებში განსაზღვრული ასაკობრივი (4 თვიდან), სქესობრივი (მდედრი) და ფიზიოლოგიური (არამაკე) სტატუსის მქონე ცხოველების იმუნიზაცია. ვაქცინაციის მიმდინარეობის დროს ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ცხოველთა მაკეობა. აღნიშნულმა ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია დაგეგმილი ინდიკატორის შეუსრულებლობა.

წვრილფეხა პირუტყვებში იდენტიფიკაციის დროს გამოვლინდა გარკვეული გართულებები, რის გამოც მიზეზების შესწავლამდე ღონისძიებები დროებით იქნა შეჩერებული, რამაც გამოიწვია დაგეგმილი ინდიკატორის შეუსრულებლობა.

3.საბაზისო მაჩვენებლები - 2015 წელს კალიების წინააღმდეგ დამუშავდა 33 427 ჰექტარი ფართობი, ხოლო ამერიკული თეთრი პეპლის და ოქროვუდას წინააღმდეგ ჩატარდა ღონისძიებები 293.3 ჰა ფართობზე. ლაბორატორიული კვლევებისათვის აღებულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების 170 ნიმუში, პესტიციდების ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევისას უარყოფითი ლაბორატორიული შედეგის საფუძველზე დაჯარიმდა 5 მეწარმე.

მიზნობრივი მაჩვენებელი - დამუშავებულ ფართობებზე ჩატარებული ღონისძიებების ეფექტურობა არანაკლებ 80 %. განსაკუთრებით საშიში და კალიების გავრცელების აღსაკვეთად სავარაუდოდ 40 000 ჰა ფართობის შეწამლა;

მიღწეული მაჩვენებელი - განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დამუშავდა 27 443.63 ჰექტარი ფართობი (მათ შორის კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებები 23 615 ჰა), დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი, ბიოლოგიურმა ეფექტურობამ შეადგინა 80%. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი მიზნით აღებულია და ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა 296 ნიმუშს. უარყოფითი ლაბორატორიული შედეგის საფუძველზე დაჯარიმდა 5 მეწარმე, მარკირების წესის დარღვევაზე - 12 მეწარმე, შენახვის წესის დარღვევაზე - 1 მეწარმე, ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის უქონლობაზე - 1 მეწარმე. საკარანტინო მავნე ორგანიზმების მონიტორინგის მიზნით აღებულია 1 972 ნიმუში. ლაბორატორიიდან მიღებული გამოცდის ოქმების საფუძველზე კარტოფილის კიბო დადასტურდა აჭარაში - 14 ნიმუშში და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში - 2 ნიმუშში. ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე შიდა ქართლის რეგიონში - 1 ნიმუშში და კარტოფილის მურა სიდამწვრე სამცხე-ჯავახეთის - 1 ნიმუშში.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

კალიების და სხვა საშიში მავნებლების გავრცელების არეალის შემცირებიდან გამომდინარე დაგეგმილი 40 000 ჰექტრის ნაცვლად დამუშავდა 27 443.63 ჰექტარი.

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის განმავლობაში შემოწმებულია 230 ობიექტი, აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია 201 ნიმუში. ლაბორატორიული გამოკვლევით უვარგისად მიჩნეული იქნა საქართველოში წარმოებული 2 პრეპარატი; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების განხორციელებისას გამოვლინდა 1 ვადაგასული და 1 არარეგისტრირებული ვეტ-პრეპარატი.
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - სავარაუდოდ 230 ობიექტის შემოწმება (ვეტ. აფთიაქები, ვეტ. სამკურნალოები და სხვა), 200 ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა
- მიღწეული მაჩვენებელი** - ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ლაბორატორიაში გამოკვლეული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 200 ნიმუში. ბიზნესოპერატორების ინსპექტირების მიზნით შემოწმებული იქნა 230 ობიექტი, დაჯარიმდა 7 ობიექტი, ლაბორატორიული გამოკვლევით უვარგისად მიჩნეული იყო, საქართველოში წარმოებული 3 პრეპარატი. საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე მონიტორინგის მიზნით შემოწმდა 4 ობიექტი.
5. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა ყველა წარმოდგენილ ვარგის ნიმუშზე (294 128 ნიმუში). გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 96 ნიმუშში, ბრუცელოზი - 2265 ნიმუშში, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 97 ნიმუშში, პასტერელოზი - 30 ნიმუშში, სალმონელოზი - 7 ნიმუშში, ცხენების ტრიპონოზომოზი - 1 ნიმუშში, ტუბერკულოზი - 1 ნიმუშში, ემკარი - 11 ნიმუშში, ბრადზოტი - 13 ნიმუშში, ჯილეხი - 26 ნიმუშში. საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე,რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა: სალმონელა - 69 ნიმუშში, ლისტერია მონოციტოგენეზი - 61 ნიმუშში, ნჩჯბ - 489 ნიმუშში, მაფანმრ - 347 ნიმუშში, S.Aureus – 27 ნიმუშში, მასტიტი - 156 ნიმუშში, პროტეუსი - 7 ნიმუშში.
- მიზნობრივი მაჩვენებელი** - მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში კვლევა და დადებითი ან უარყოფითი შედეგის გამოვლენა 100%-იანი სიზუსტით; საკვლევად წარმოდგენილი ყველა ვარგისი ნიმუშის გამოკვლევა. საკვლევად/სადიაგნოსტიკოდ წარმოდგენილი ნიმუშების დამუშავების და საბოლოო პასუხის გაცემის ვადების შემცირება მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ მინიმუმამდე.
- მიღწეული მაჩვენებელი** - შემოსულია - 482 586 ნიმუში, გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 53 ნიმუშში, ბრუცელოზი - 8 579 ნიმუშში, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 81 ნიმუშში, პასტერელოზი - 32 ნიმუშში, სალმონელოზი - 5 ნიმუშში, მასტიტი - 383 ნიმუშში, ემკარი - 14 ნიმუშში, ბრადზოტი - 13 ნიმუშში, ენტეროტოქსემია - 9 ნიმუშში, ჯილეხი - 17 ნიმუშში, ნიუკასლი - 2 ნიმუშში, თურქული 1457 ნიმუშში, წრპ-ს ჭირის ანტისხეულები -250 ნიმუშში, პირობით პათ. მიკროფლორა -11 ნიმუშში.საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე,რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა: სალმონელა -14 ნიმუშში, ლისტერია მონოციტოგენეზი -3 ნიმუშში, ნჩჯბ -246 ნიმუშში, მაფანმრ - 205 ნიმუშში, S.Aureus – 20 ნიმუშში, პროტეუსი - 5 ნიმუშში, E.COLI – 9 ნიმუშში. საკვები პროდუქტების კვლევის კუთხით დაინერგა ახალი მეთოდები.
6. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების საწინააღმდეგო ღონისძიებები დაიგეგმა 3 200 ჰექტარ ფართობზე.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანი კოლოების საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ: მოხდა 2000 კგ ბიოლოგიური ინსექტიციდის „ბაქტიციდის“ შეძენა, დასავლეთ საქართველოს საკურორტო ზონაში და კახეთის რეგიონში ტრანსმისური დაავადებების გადამტანების გავრცელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 2 670 ჰექტარი ფართობი, მათ შორის 660 ჰა ბიოლოგიური ინსექტიციდის გამოყენებით და 2010 ჰექტარი თერმული ნისლის ტექნოლოგიით. დამუშავებულ ადგილებში მკვეთრად შემცირდა კოლოების რიცხოვნობა.

10.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის მოშენება და შენარჩუნება.
- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები შემუშავება, რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.
- მცენარეთა მოვლა-მოყვანის და ბიოპრუქტების წარმოების ტექნოლოგიების დახვეწა;
- ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიმდინარე კვლევები საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და კომერციულად სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებზე;
- მიმდინარე კვლევები ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე;
- მიმდინარე კვლევები მცენარეთა მოვლა-მოყვანის ბიოლოგიური და ეკოლოგიური ტექნოლოგიების მიმართულებით;
- მიმდინარე კვლევები ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების მიმართულებით;
- მიმდინარე კვლევები ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლის მიზნით;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - საკვლევად მოძიებული და შესყიდული საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველები, ფრინველები და მეგრული პოპულაციის ფუტკარი; მიმდინარე კვლევები თუთის აბრეშუმხვევიაზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოძიებული და გაუმჯობესებული ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - მოძიებულია ქართული მთის ჯიშის 15 ძროხა; კავკასიური წაბლა ჯიშის ტიპიური 10 მოზვერი; ტიპიური კახური ღორის 5 კერატი, 8 ნეზვი და 20 გოჭი; ადგილობრივი ქათმის 5 პოპულაციის (150 ფრთა) და ჩალისფერი ინდაურის (11 ფრთა) მოზარდი, ჭრელი იხვის 6 ფრთა; ქართული ნაზმატყლიანი, ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიშების 30 სული; გადარჩეულია ველური ფარავნის კობრის პოპულაციის 32 ინდივიდი; დაკომპლექტებულია ფუტკრის მეგრული პოპულაციის 3 რეპროდუქტორი 46 განაყოფიერებული დედა ფუტკრით; თუთის აბრეშუმხვევას გენოფონდიდან შენარჩუნებულია 65 ჯიში.
2. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარე კვლევები ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი ბაღების რაოდენობა; ვაზის უნიკალური ჯიშების გამრავლება.
მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში (თითოეულ რეგიონში 1-1,5 ჰა ფართობზე) - ქართლი (ხაშური), სამცხე-ჯავახეთი (ადიგენის რ-ნი, ბოლაჯური), იმერეთი (დიდი ჯიხაიში), გურია (ზედა ბერეჟოული) და რაჭა (ამბროლაური) გაშენდა ხეხილის ახალი ჯიშების კოლექციები. წარმოებულია ადგილობრივი ვაზის 80 ჯიშის - 26 000 ნამყენი ნერგი, 3 000 დაფესვიანებული საძირე ნერგი, 50 000 სამყნობი რქა, 20 000 საძირე.
3. საბაზისო მაჩვენებელი - შენახვა-გადამუშავების კულტურების საექსპერიმენტო ნიმუშები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ღვინის საკვლევი ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შესწავლა.
მიღწეული მაჩვენებელი - შესწავლილია ღვინის საკვლევი ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის 65-ნიმუში.
4. საბაზისო მაჩვენებელი - ნიადაგების შესწავლილი ნიმუშები.
მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოკვლეული და განოყიერებული ნიადაგების რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - ნიადაგის ნაყოფიერებაზე კვლევები ჩატარდა დაახლოებით 2 000 ჰა ფართობზე; ლაბორატორიულ პირობებში გაკეთდა ნიადაგის ნიმუშების 2 772 ანალიზი.

11. პრიორიტეტი – სასამართლო სისტემა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	51,817.0	51,532.0	51,606.0	51,386.1	219.9
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,650.0	7,650.0	7,140.6	7,140.6	0.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	27,050.0	3,500.0	24,062.8	3,500.0	20,562.8
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,400.0	3,400.0	3,393.9	3,393.9	0.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.0	2,700.0	2,598.4	2,598.4	0.0
26 13	ადსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	38,635.5	0.0	31,322.6	0.0	31,322.6
სულ		131,252.4	68,782.0	120,124.3	68,019.0	52,105.3

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00 – 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო,
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო,
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მყარი სოციალური გარანტიები;
- მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება;
- სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში ავტორიტეტის და ნდობის ამაღლება;
- მართლმსაჯულება გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური;
- კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესები სრულად იყო უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსით;
- განახლდა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით;
- მოხელეთა გადამზადების პროგრამის მეშვეობით მოსამართლეებმა, მოსამართლის თანამშრომლებმა, სასამართლოს მენეჯერებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია;
- ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%.

- ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 100%, 53 ნაფიცი მსაჯული.
- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 68.
- სულ ჩატარდა 93 გადამზადების კურსი, მათ შორის 67 ტრენინგი მოსამართლეებისთვის, ხოლო სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის 26 ტრენინგი;

11.2 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (პროგრამული კოდი 46 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების ფარგლებში, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების გაწევას, რაც ხელს შეუწყობს სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაცემულია 77 ათასამდე ექსპერტიზის დასკვნა ფასიან და უფასო მომსახურებაზე. საბიუჯეტო ორგანიზაციებზე უფასო მომსახურების ღირებულება 20%-ით გაიზარდა 2015 წელთან შედარებით.

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- **მიზნობრივი მაჩვენებელი** - ექსპერტიზების შედეგების სიზუსტისა და კვლევების მაღალი ხარისხი, რომელიც მიიღწევა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ISO 17025-ის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კვალიფიციური ექპერტები სასამართლო პროცესებზე იცავენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხსა და გაცემული დასკვნების ჭეშმარიტებას.

11.3 აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დაინტერესებულ პირებს გაეწიათ მიმდინარე სააღსრულებო, გამარტივებული წარმოების, გადახდისუნარიანობისა და ფაქტების კონსტატაციის მომსახურება. აღნიშნული მომსახურების ხარისხის მდგრადი გაუმჯობესების მიზნით აღსრულების ეროვნულ ბიუროში გატარდა რეფორმები;
- სააღსრულებო წარმოების ფარგლებში 8 574 შემთხვევა დასრულდა მორიგებით, სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით შესუსტდა მხარეთათვის შესაძლო ნეგატიური შედეგების დაძაბულობა. გარდა ამისა, მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა 15 560 აქტივობა (ანალიზების, რეკომენდაციებისა და ანგარიშების მომზადება; აღმასრულებლებთან ერთად მისამართებზე გასვლა; გამოსახლებებსა და დემონტაჟებზე დასწრება და მხარეებთან შეხვედრების ჩატარება);
- მომზადდა ანგარიშები და ანალიზები. სპეციალური სელექციის საფუძველზე გაანალიზდა კონკრეტული სააღსრულებო წარმოებები; განხორციელდა აჭარისა და გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში არსებული მიმდინარე და პასიური საქმეების შედარება. საქმეთა რეესტრი გადაეგზავნა შესაბამის ბიუროებს, რამაც მათ მიმდინარე საქმეების გაპასიურების საშუალება მისცა (საქმეები, სადაც ერთ-ერთი მხარე იყო გარდაცვლილი, ან სადაც მოვალეთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ოჯახების რეესტრში 57 000-ზე ნაკლებს შეადგენდა). შემოწმდა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადგომზე განთავსებული 350-ზე მეტი ავტომანქანა და შემოწმებულ საქმეთა რეესტრი გადაეგზავნა ყველა ბიუროს. მიმდინარეობდა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული საქმეების შემოწმება და ყველა კონკრეტულ საქმეზე შენიშვნების გაკეთება (2400-ზე მეტი საქმე). მომზადდა 15 ანალიტიკური ანგარიში და 39 რეკომენდაცია საქმეთა გაპასიურების, მიმდინარე და გართულებულ საქმეთა მართვის ჯგუფებში არსებული ვადების გადახედვის შესახებ;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღსრულებულ საქმეთა დინამიკამ 2015 წელთან შედარებით 8 624 საქმით იმატა.
- მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით დამზადდა 23 ინფოგრაფიკული ბარათი; მნახველთა რაოდენობამ, დაახლოებით, 21 000 შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საინფორმაციო ბარათი ნახა 900-ზე მეტმა მომხმარებელმა);
- სააღსრულებო მიზნებისთვის ქონების რეალიზაციის ალტერნატიული გზა გაფართოვდა ელექტრონული მაღაზიის სახით. ვებგვერდზე – <http://eshop.nbe.gov.ge> – ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ საქმეებზე ქონების რეალიზაცია. მასზე ნივთების განთავსება ხდება მოვალისა და კრედიტორის ერთობლივი განცხადებისა და სათანადო ნების გამოვლენის საფუძველზე;

- გატარდა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები აღსრულების ეროვნულ ბიუროში სესხების მონიტორინგის მომსახურების დასანერგად, შეიქმნა მომსახურების ჩაშვებისთვის საჭირო პლატფორმები. მომზადდა და დაიხვეწა სპეციალური საქმეთა რეგისტრაციისა და მართვის პროგრამული უზრუნველყოფა; დაიგეგმა და გატარდა საკომუნიკაციო ღონისძიებები მომსახურების პოტენციურ მომხმარებელ იურიდიულ პირებთან, მოხდა შესაბამისი სექტორის ინფორმირება ახალი შესაძლებლობების შესახებ;
- განხორციელდა მიღებული უკუკავშირის ანალიზი და საპასუხო ცვლილებების ინიცირება შესაბამის საკანონმდებლო პაკეტში. გამსესხებლებს მიეცემა შესაძლებლობა, გაპრობლემებულ სესხებზე აღსრულების მომსახურება პირდაპირ მოითხოვონ სასამართლოს გარეშე, უმარტივდებათ ვალის დასაბრუნებლად საჭირო პროცედურები, დაზოგავენ ფინანსურ და დროით რესურსს, ურთიერთობა ექნებათ მხოლოდ ერთ ორგანოსთან, მიიღებენ საქმეების კონტროლის მეტ საშუალებას.

დასახული საბოლოო შედეგები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებები გაუმჯობესებულია, გამარტივებულია საწარმოო პროცესი და გაზრდილია მომსახურებების ხელმისაწვდომობა;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს საკომუნიკაციო არხების გაძლიერება და საზოგადოების ინფორმირება ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებებისა და ძალისხმევების შესახებ;
- რეგულარულად მიმდინარეობს არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების იმპლემენტაციაზე ზრუნვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებები, გამარტივდა საწარმოო პროცესი და გაიზარდა მომსახურებების ხელმისაწვდომობა;
- გაძლიერდა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკომუნიკაციო არხები და საზოგადოება უკეთ არის ინფორმირებული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებებისა და ძალისხმევების შესახებ;
- რეგულარულად მიმდინარეობდა არსებული სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების იმპლემენტაციაზე ზრუნვა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 - საქმეთა აღსრულებადობა შემოსულ სააღსრულებო საქმეებთან შედარებით 54%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გამოიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით, 2017 წელს გაზრდა - 2%-ით, 2018 წელს - 2%-ით, 2019 წელს - 1%-ით (61%);
მიღწეული მაჩვენებელი - საქმეთა აღსრულების მაჩვენებელმა შეადგინა 57%;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2013 - მომხმარებელთა 54% ბიუროს მიიჩნევს გამჭვირვალე ორგანიზაციად;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გამოიზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით; 2017 - 4%, 2018 - 2%, 2019 - 3% (65%);
მიღწეული მაჩვენებელი - მომხმარებელთა 61% მიიჩნევს აღსრულების ეროვნულ ბიუროს გამჭვირვალე ორგანიზაციად;

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2013 - მომხმარებელთა 75% ბიუროს მიიჩნევს სანდო ორგანიზაციად;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გამოზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 2% ნიშნულით, 2017 წელს გაზრდა - 2%-ით, 2018 წელს - 2%-ით, 2019 წელს - 3%-ით (85%);
მიღწეული მაჩვენებელი - მომხმარებელთა 86% მიიჩნევს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სანდო ორგანიზაციად;
4. საბაზისო მაჩვენებელი - 2013 - კრედიტორთა აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელი 4.2 (4 ყველაზე მაღალი);
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გამოზნულია მოცემული შედეგის გაზრდა 0,1 ნიშნულით (4,3); 2017 – 0,2 (4,5);
მიღწეული მაჩვენებელი - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელია 4.4;
5. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის მანძილზე ხდება 1 მნიშვნელოვანი ახალი სერვისის პროექტირება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2019 წლის ბოლომდე ყოველწლიურად ხდება 3 სერვისის შესახებ პროექტის მომზადება და მომგებიანობის შემოწმება;
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 სერვისის: სესხების მონიტორინგის, ბანკებთან ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლისა და ელექტრონული მაღაზიის პროექტირება;

12. პრიორიტეტი – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	14,804.8	11,739.1	12,772.8	10,082.2	2,690.6
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11,108.6	11,108.6	10,899.0	10,899.0	0.0
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	18,595.3	8,625.3	17,344.6	8,459.5	8,885.0
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,577.7	5,577.7	5,309.4	5,309.4	0.0
38 07	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	949.8	900.0	995.4	945.7	49.7
38 06	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	3,828.0	3,594.2	4,875.6	4,692.3	183.3
38 05	ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,936.2	692.0	1,567.5	731.8	835.6
38 08	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა	13,109.7	140.0	10,365.7	535.9	9,829.8
სულ		69,910.2	42,377.0	64,129.9	41,655.9	22,474.1

12.1. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო
დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები;
- დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;
- ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები;
- განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა;
- აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაცულია და შესაბამისად მიმდინარეობს ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და ცოცხალი ორგანიზმების აღდგენა;
- დაცულია და შესაბამისად გაიზარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;
- გაუმჯობესდა დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა, რითიც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ტურიზმისთვის;
- განვითარდა ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 42%-ით;
- რიგ დაცულ ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ინფრასტრუქტურა;
- სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში კონკურსების შედეგად შერჩეულია, დაფინანსებულია და განხორციელებულია სხვადასხვა სოციალური პროექტები. აღნიშნული პროექტები მიმდინარეობს 2014 წლიდან, გეგმის მიხედვით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - არსებობს 18 ტერიტორიული ადმინისტრაცია, დებულებით გათვალისწინებულია სულ 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის ფუნქციონირება. დაწყებულია გოჭკადილის ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წელს შექმნილი და სრულყოფილად ფუნქციონირებადი ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია - ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია, მოწყობილია ინფრასტრუქტურა და მზადაა ვიზიტორების მისაღებად;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წელს შექმნილია და ფუნქციონირებს 2 ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია: ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია. ოკაცეს კანიონისა და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლებზე მოწყობილია ინფრასტრუქტურა და მზადაა ვიზიტორების მისაღებად;

2. საბაზისო მაჩვენებელი - დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 364,0 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიას 18 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით, რომელთა დაცვასაც ძირითადად ახორციელებენ რეინჯერები. დაცვის ფუნქციის მატარებელი 306 თანამშრომლიდან მხოლოდ 126 თანამშრომელს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამოც მათი უსაფრთხოების რისკის ფაქტორი მაღალია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება შეუფერხებლად, პატრულირების ინტენსივობა გაზრდილია ყოველწლიურად 10%-ით (პატრულირების სიხშირე, მეტი ტერიტორიის მოცვა), საშუალოვადიან პერიოდში სათანადოდ (ცეცხლსასროლი იარაღით) აღჭურვილია დაცვის ფუნქციის მატარებელი ყველა თანამშრომელი;

მიღწეული მაჩვენებელი - დაცული ტერიტორიების დაცვა განხორციელდა შეუფერხებლად, პატრულირების ინტენსივობა გაზრდილია 10%-ით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ განხორციელებულა ცეცხლსასროლი იარაღების შესყიდვა და შესაბამისად დამატებითი რეიჯნერების აღჭურვა, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შედგა შეთანხმება 120 ერთეული იარაღის გადმოცემის თაობაზე უსასყიდლოდ, რაც განხორციელდა 2017 წლის იანვარში;

3. საბაზისო მაჩვენებელი - ლაგოდეხისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ალპურ სამოვრებზე და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამოვრების სარგებლობისათვის არ ხდება შესაბამისი თანხის გადახდა, ვინაიდან არ არსებობს სამოვრების მართვის გეგმა და შეფასებული არ არის სამოვრის იჯარით გაცემისათვის შესაბამისი თანხა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაცულ ტერიტორიებზე არსებული სამოვრების შეფასებული ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი გამოყენების მიზნით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება 85-მდე ფერმერთან 32,0 ათ. ჰა ტერიტორიაზე;

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ლაგოდებისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე სამოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაჭიანურდა სამოვრების შეფასების პროცედურა, რის გამოც მათი იჯარით სარგებლობაში გაცემა გადაიდო 2017 წლისთვის;

4. საბაზისო მაჩვენებელი - დაცულ ტერიტორიებზე 2008 წლიდან ხდება სახანძრო აღჭურვილობის ყოველწლიური შესყიდვა, დღეის მდგომარეობით აღჭურვილია 8 ტერიტორიული ადმინისტრაცია. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა აღჭურვოს დამატებით 6 ადმინისტრაცია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ხანძრებთან ბრძოლის ეფექტურობისათვის შეძენილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დაცული ტერიტორიების 3 ადმინისტრაციისთვის; ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გაჩენილი ხანძრების რაოდენობა მცირდება 15-20 %-ით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა დონორთან, თუმცა პროცედურული საკითხების შეუთანხმებლობის გამო დონორის მიერ ვერ განხორციელდა აღნიშნულის შესყიდვა

5. საბაზისო მაჩვენებელი - დღეს არსებული მდგომარეობით დაცული ტერიტორიების ცნობადობა დაბალია, არ არის საკმარისი ის ინფორმაცია, რაც მიეწოდება საზოგადოებას; მოსახლეობის ჩართულობა (განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის) გარემოსდაცვით აქტივობებში არ არის საკმარისი; სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზი რიგ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრებში საგამოფენო დარბაზები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (რეკლამების დამზადება და განთავსება, ტურების მოწყობა და ვებ-რესურსის განახლება/შექმნა) პოტენციურ და რეალურ ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 20%-ით; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საპრომოციო მასალა, გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში; საშუალოვადიან პერიოდში გახსნილია 4 ახალი ვიზიტორთა ცენტრი, ხოლო არსებული ცენტრები განახლებულია (მოწყობილია საინფორმაციო და საგამოფენო დარბაზები), შედეგად გაუმჯობესებულია ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 42%-ით და შეადგინა დაახლოებით 734 874 ვიზიტორი; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საინფორმაციო მასალა, გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა

გარემოსდაცვით აქტივობებში. სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე კეთილმოეწყო ინფრასტრუქტურა. შედეგად, გაუმჯობესდა ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ალგეთის, ყაზბეგის და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა არ განხორციელებულა, ვინაიდან გაჭიანურდა შესაბამისი საპროექტო სამუშაოები და ამ პროექტების შეთანხმება დონორ მხარესთან.

6. საბაზისო მაჩვენებელი - დონორების დაფინანსებით (KFW, CNF) დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოეწობილი ინფრასტრუქტურა; მათ შორის 9 ადმინისტრაციის 240-მდე თანამშრომელი მათი სოციალური გარანტიებით; ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესწავლილია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოეწობილი ინფრასტრუქტურა, გრძელდება თანამშრომელთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა; ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება);

მიღწეული მაჩვენებელი - კეთილმოეწობილია 12 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, გრძელდება 9 ადმინისტრაციის თანამშრომელთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა. განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება);

12.2. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;
- შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და

პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა;

- რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი;
- შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემცირებული გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტები;
- სხვადასხვა სპეციფიკური მიმართულებებით გადამზადებული თანამშრომლები. გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება;
- რეგულირების ობიექტების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება. 24-საათიან რეჟიმში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. „ცხელ ხაზზე“ შემოსულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირება. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გამართული და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის შექმნილი საჭირო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. დასრულებული ორი ახალი რეგიონალური ოფისი და აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2015 წლისათვის შეადგენს 100 მილიონ ლარს; **მიზნობრივი მაჩვენებელი** - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2016 წელს შემცირებულია 30,0 მლნ ლარამდე და ყოველწლიურად 15-20% მცირდება;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით, ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგენა 6.5 მლნ ლარი;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლოსთვის დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება გეგმის შესაბამისად, შემოწმებულია რეგულირების 180 ობიექტი; სრულად ინსპექტირებულია (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) 1 900-ზე მეტი ობიექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება 2016 წლის გეგმის შესაბამისად, გეგმიურად შემოწმებული რეგულირების ობიექტების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით; ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) ობიექტების რაოდენობა 2016 წელს 2 500 მიაღწევს და ყოველწლიურად 5-10%-ით გაიზრდება;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა 201 რეგულირების ობიექტის (12%-ით მეტი, ვიდრე 2015 წელს) გეგმიური შემოწმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2016 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად. ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) ობიექტების რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 3 206 (გაიზარდა 68%-ით 2015 წელთან შედარებით);

3. საბაზისო მაჩვენებელი - სამართალდამრღვევი ობიექტების 65-70% დადგენილ გონივრულ ვადებში ასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებელთან შედარებით ყოველწლიურად 5-10%-ით იზრდება იმ სამართალდამრღვევი ობიექტების რაოდენობა, რომელთაც შეასრულეს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულები;

მიღწეული მაჩვენებელი - სამართალდამრღვევი ობიექტების 70%-ის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულდა გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულები.

4. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით 8 საოფისე შენობა (თბილისი, მცხეთა, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, თელავი, გორი, ოზურგეთი) და სწრაფი რეაგირების 34 არასრულად აღჭურვილი ეკიპაჟი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის აშენებული 4 ახალი საოფისე შენობა (სამცხე-ჯავახეთის, რაჭის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში) და სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი, მომდევნო წლებში ყოველ სამსახურს ემატება თითო სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟი;

მიღწეული მაჩვენებელი - დაწყებულია 3 ახალი საოფისე შენობის სამშენებლო სამუშაოები (ქ. ახალციხე, ქ. ბათუმი და ქ. ამბროლაური). აღიჭურვა სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა დაგეგმილი 4 ახალი საოფისე შენობის (სამცხე-ჯავახეთის, რაჭის,

სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში) მშენებლობა, გამოვლინდა მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის განმეორებითი ექსპერტიზის, ზოგ შემთხვევაში - განმეორებითი ტენდერის ჩატარების საჭიროება. შემსრულებლებთან დაიდო 2-წლიანი ხელშეკრულებები (2016-2017 წ.წ.), მშენებლობების დასრულება გათვალისწინებულია 2017 წლისათვის.

5. საბაზისო მაჩვენებელი - ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის 10%-ს (36 ერთეული); ამ ეტაპზე დეპარტამენტს გააჩნია მხოლოდ ერთი ერთეული მცურავი საშუალება - კატარა, შესაბამისად, დეპარტამენტს არ ჰქონდა თანამშრომლების აღნიშნული მიმართულებით გადამზადების საჭიროება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016 წლისთვის გადამზადებულია ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის 250 თანამშრომელი, რომელთაც გავლილი აქვთ სწავლება მცურავი საშუალებების სწორი და უსაფრთხო წესით გამოყენების მიზნით; გადამზადებულ თანამშრომელთა რიცხვი ყოველწლიურად 20-25%-ით იზრდება;

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადდა 100-მდე თანამშრომელი მცურავი საშუალებების სწორი და უსაფრთხო წესით გამოყენების კუთხით. მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების (სახერხი საამქროების) ელექტრონულ სისტემის დანერგვასა და ახალი საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით, შესაბამისი ტრენინგები ჩაუტარდა დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოების 200-მდე თანამშრომელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2016 წლისთვის როგორც დაგეგმილი იყო, ვერ გადამზადდა ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის 250 თანამშრომელი, კადრების გადამზადების პროცესი შეფერხდა დეპარტამენტში 2016 წელს განხორციელებული რეორგანიზაციისა და კადრების კონკურსის წესით შერჩევის პროცედურების გამო. სწავლებები გაგრძელდება 2017 წელს.

12.3. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დაცული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;
- აღდგენილი ტყის ეკოსისტემები;
- გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;
- მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა;
- განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა;
- სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საქართველოს ტყეების გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;
- ტყის ფონდის მართვის გაუმჯობესებული სისტემა;
- აღდგენილი ტყის მასივები;
- მოწყობილი დროებითი სანერგეები და გაშენებული ტყის ფართობები;
- მერქნული რესურსების მართვის გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები;
- განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ 2 სატყეო უბნისთვის;
- გაზრდილი სატყეო შემოსავლები და სატყეო სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შემუშავებული „ტყის კოდექსის“ პარლამენტში წარდგენილი ახალი ვარიანტი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით; შეტანილია ცვლილებები მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში;

მიღწეული მაჩვენებელი - შემუშავებული და მიღებულია ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში; შემუშავებულია ტყის ახალი კოდექსის პროექტი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შეფერხდა საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესი და საკანონმდებლო აქტები პარლამენტს წარედგინება დაგეგმილ ვადაზე გვიან;

2. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით დონორების დახმარებითა და სააგენტოს დაფინანსებით ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია 80 ჰა-ზე. განხორციელებულია გაშენებული ნარგაობის მოვლის სამუშაოები, გახარების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 75%-ს. შესწავლილი და დაპროექტებულია ნახანძრალი ტერიტორიის 50,0 ჰა ფართობი; სააგენტოს მიერ რეგიონების მიხედვით გამოვლენილია დეგრადირებული ტყის ის ფართობები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენას. ასევე, მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები, საიდანაც მიღებული ნერგებით ხდება ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების წარმოება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია დამატებით 10 ჰა-ზე, გაშენებული ნერგების მოვლის ღონისძიებები ჩატარებულია 80 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 75%-ს; მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 4,5 ჰა-ზე, თესლნერგების გამოსავლიანობა შეადგენს 80%-ს;

მიღწეული მაჩვენებელი - ტყის გაშენება განხორციელებულია დამატებით 25,4 ჰა-ზე, გაშენებული ნერგების მოვლის ღონისძიებები ჩატარებულია 97,4 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 80-85%-ს; მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 2,56 ჰა-ზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სწრაფმზარდი სახეობების (აკაცია) თესლნერგების მისაღებად მოწყობილ სანერგეებში მიღებული შესანიშნავი შედეგის გამო, საჭირო აღარ გახდა შექმნილიყო ახალი სანერგეები, მიღებული რაოდენობა თესლნერგებისა აკმაყოფილებდა ორ პლანტაციას.

3. საბაზისო მაჩვენებელი - მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ღონისძიებები ხორციელდება 2013 წლიდან. დაზიანებული ტყის ფონდის ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 49 000 ჰა-ს. 2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 24 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებული 22 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 40%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 50%-ით;

მიღწეული მაჩვენებელი - მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირების და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების პროცენტულმა მაჩვენებელმა 50% შეადგინა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 22 000 ჰექტარი; კოლხური ბზის გადასარჩენად დამუშავებულია 400,0 ჰა დასავლეთ საქართველოს 3 რეგიონში (გურიის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში);

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 წლიდან დაიწყო ხანძარსაშიშ უბნებში სპეციალური ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება. დღეის მდგომარეობით განთავსებულია 1 000 ერთეულამდე სპეციალური ნიშანი, 9 სატყეო სამსახური აღჭურვილია მხოლოდ პირველადი სახანძრო ინვენტარით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით 500 ერთეული სპეციალური ნიშანი და საინფორმაციო დაფა განთავსებული 44 სატყეო უბანში. სატყეო სამსახურების (9 სატყეო სამსახური) აღჭურვის გაუმჯობესება ხანძასაწინააღმდეგო ინვენტარით. ხანძარსაშიშ უბნებში ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ხანძრის წარმოშობის რისკები შემცირებული 40-50%-ით;

მიღწეული მაჩვენებელი - განთავსებულია 90 ერთეულამდე საინფორმაციო დაფა და სპეციალური ნიშნები განსაკუთრებით ხანძარსაშიშ უბნებში; ყველა სატყეო სამსახური აღჭურვილია ხანძრის ლოკალიზებისათვის საჭირო პირველადი ინვენტარით.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის დასაწყისში სატყეო სამსახურების მიერ შეფასდა ხანძარსაშიშ ადგილებში განსათავსებელი საინფორმაციო ბანერების რაოდენობა და მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა საჭირო რაოდენობის შესყიდვა დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით.

5. **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია; სატყეო-სამეურნეო გზების არარსებობა ან არსებულის ხარისხი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისგან მოშორებით მდებარე ტყეკაფების ხელმისაწვდომობას. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად სოფლად მცხოვრები) დამოკიდებულია ტყეზე, მერქნული რესურსის მოხმარების მხრივ. მოსახლეობა წლის განმავლობაში ახორციელებს მერქნული რესურსის ათვისებას გამოყოფილი ტყეკაფებიდან; მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2014 წელს, დღეის მდგომარეობით მოწყობილია 260-მდე კმ. გზა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსახლეობის მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები საშუალოდ 700,0 ათ. კუბური მეტრი წლიურად, ტყეკაფების გამოყოფა მერქნული რესურსის მოპოვების სამუშაოების სეზონურობის გათვალისწინებით, ყოველწლიურად არაუგვიანეს აგვისტოს თვისა; ყოველწლიურად

მოწყობილ/რეაბილიტირებული ტყეკაფებამდე მისასვლელი 180-200 კმ სიგრძის სატყეო-სამეურნეო გზა, რომელიც ექსპლუატაციისათვის მზად იქნება არაუგვიანეს აგვისტოს თვისა, რითაც ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე ხელმისაწვდომობა მოხდება სრულად;

მიღწეული მაჩვენებელი - სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია განხორციელდა 55,7 კმ-ზე, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობით გაიზარდა გამოყოფილი ტყეკაფების ათვისებისა და მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი; მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ტყეკაფები 583.4 ათასი კმ² ოდენობით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზის მოწყობის მიზნით შეფასდა პრიორიტეტული სატყეო უბნები და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკუთარი მატერიალური და ფინანსური რესურსებით მომხდარიყო (ბალანსზე არსებული მძიმე ტექნიკითა და ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ, თხოვნების წესით გადმოცემული სატრანსპორტო საშუალებებით) გზების მოწყობა-რეაბილიტაცია მხოლოდ 55.7 კმ-ზე და ამ ღონისძიებაზე მომსახურების შესყიდვა არ განხორციელებულა.

6. **საბაზისო მაჩვენებელი** - ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 2 სატყეო უბნისათვის (46 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის 5 %-ს შეადგენს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ტყის მართვის გეგმები შედგენილია დამატებით 2 სატყეო (ასპინძა-ახალქალაქი და ახალციხე) უბნისათვის საერთო ფართობით 55 000 ჰა, საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 7,8%-ს;

მიღწეული მაჩვენებელი - ტყის მართვის გეგმები შედგენილია დამატებით 2 სატყეო (ასპინძა-ახალქალაქი და ახალციხე) უბნისათვის საერთო ფართობით 53.6 ჰა, საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 7,8%-ს;

12.4. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

- დაგეგმილი საბოლოო შედეგები
- სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა;
- კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა;
- ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყისი მონაცემების განახლებული ბაზა;
- საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონიძირებები;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა შეესაბამება სახელმწიფოს ერთიან ხედვას, სამთავრობო პროგრამას და საქართველოს „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ს;
- კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეულია ის საქმიანობები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;
- საზოგადოების ცნობიერება ამაღლებულია გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა გარემოსდაცვით სფეროში სრულად ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მიღებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები გარემოსდაცვით სფეროში, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციების დებულებები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში;

მიღწეული მაჩვენებელი - გარემოს დაცვის სფეროში მიღებულია 12 საკანონმდებლო ცვლილება და 12 კანონქვემდებარე აქტი, ასევე შემუშავებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, რომელთა მეშვეობითაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივები ასახულია/აისახება ეროვნულ კანონმდებლობაში;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საშუალოდ გაიცემა 50-მდე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; არსებული რეალობის გათვალისწინებით საჭიროა გაიზარდოს საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც დაექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შემდგომ, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაექვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის ზრდის პარალელურად, გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რაოდენობის ზრდა 50-70%-ით; გარემოზე მავნე ზემოქმედების დაყვანა გაცემული ნებართვით დასაშვებ მინიმუმამდე;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის განმავლობაში გაცემულია 67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 8 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვინაიდან არ მიღებულა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, არ გაზრდილა ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაექვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი და შესაბამისად არ გაზრდილა გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რაოდენობა;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი თარიღების მიხედვით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - აღინიშნება წლის ყველა გარემოსდაცვითი თარიღი და ეწყობა საინფორმაციო კამპანიები (საშუალოდ 35 ღონისძიება); გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით მუდმივად ხდება ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის განახლება;

მიღწეული მაჩვენებელი - აღინიშნა წლის ყველა გარემოსდაცვითი თარიღი და მოეწყო საინფორმაციო კამპანიები (სულ 35-ზე მეტი ღონისძიება). გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით მუდმივად ხდებოდა ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის განახლება;

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად განახლებადი მონაცემთა ბაზა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წინასწარ შერჩეული სახეობების მდგომარეობის შესახებ;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფორმაცია ყოველწლიურად საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სულ მცირე 5 შერჩეული სახეობის რიცხოვნობის და მდგომარეობის შესახებ;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით ღონისძიებები სამინისტროს აპარატისთვის გათვალისწინებული ასიგნებებით არ განხორციელებულა და დაგეგმილი საბოლოო შედეგი ვერ იქნა მიღწეული. 2016 წლის 3 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდა 46 200 ლარით და მიმართულ იქნა ბათუმის „გარემო ევროპისთვის“ მე-8 მინისტერიალის წარმატებულად ჩატარების საჭიროებებისთვის. ხოლო 2016 წლის 12 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დარჩენილი დაფინანსება 103 800 ლარი მიმართულ იქნა სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობის მიერ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული ცხოველების პოპულაციების აღდგენის ღონისძიებების ჩატარებაზე.

12.5. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

- გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემა;
- ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;
- შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;
- მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- სამედიცინო პერსონალისა და პაციენტის დაცვა დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით დასხივებისგან.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისი მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა (მიღებული - 8 კანონქვემდებარე აქტი, 6 - კანონქვემდებარე აქტის პროექტი);
- განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმის შედეგად გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემა;
- ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი (2 ლოკაცია); რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებულ საცავში განთავსებული რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების სრული ინვენტარიზაცია; რეაბილიტირებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი. შედეგად ბუნებრივ რადიაციულ ფონამდე დაყვანილი გამოსხივების დოზის სიმძლავრე;
- შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა ანასულში, სოფ. სააკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე, გონიოს დასახლებასა და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები (განხორციელებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი 107 ორგანიზაციის ინსპექტირება).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით არსებობს მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების დროებითი საცავი და სააკაძის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი, რომელთა ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების 2 ლოკაცია;

მიღწეული მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და სათვალთვალო სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების 2 ლოკაცია;

2. საბაზისო მაჩვენებელი - დღემდე არ ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში (ანასეული, აჭარაში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორია, გრიგოლეთი, რიკოთის უღელტეხილი, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი;

მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში (ანასეული, სოფ. სააკაძესთან არსებული სამარხის მიმდებარე ტერიტორია, გონიოს დასახლება და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია) გაზომილი რადიაციული ფონი და ნიადაგში განსაზღვრული რადიონუკლიდების კონცენტრაცია;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აჭარაში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე, გრიგოლეთში, ტყიბულსა და ჭიათურაში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი არ განხორციელებულა, ვინაიდან დაკორექტირდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 2016-2019 წლებში განსახორციელებელი რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგის განრიგი, შესაბამისად 2016 წლისათვის დაგეგმილი აღნიშნული ქმედებები განხორციელდება მომდევნო წლების განმავლობაში.

3. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით წლის განმავლობაში საშუალოდ გაიცემა ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე 216 ცალი ლიცენზია და 38 ნებართვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაკონტროლებული დასხივების დადგენილი დოზური ზღვარი სამედიცინო დაწესებულებებში, დაცული პაციენტები, პერსონალი, მოსახლეობა და გარემო;

მიღწეული მაჩვენებელი - მაიონებული გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული პაციენტების, სამედიცინო პერსონალის და მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა

12.6. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა;
- სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა საჭირო წყაროებზე;
- ხელმისაწვდომია სხვადასხვა უწყებაში არსებული, სათანადოდ დამუშავებული, ადვილად აღსაქმელი და სანდო გარემოსდაცვითი ინფორმაცია;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით ჩატარებული გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიმდღენილი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეხვედრები, წლის განმავლობაში ჩატარებული 23 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 866 დაინტერესებულმა პირმა;
- სპეციალური ტრენინგმოდულების საშუალებით კვალიფიკაციაა მაღლებული გარემოს დაცვის სფეროში დასაქმებული სპეციალისტები;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოფილი საჭირო პროგრამული და სამართლებრივი მხარდაჭერა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით ამ ეტაპზე შექმნილია ატმოსფერულ ჰაერის ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებ-რუკა, რომელზეც განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია 2014 წლიდან;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით შემდგომ ეტაპზე შექმნილია წყლის და ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, ექსპერტთა ელექტრონული ბაზა და გარემოსდაცვითი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა;

მიღწეული მაჩვენებელი - შეიქმნა და ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, მიმდინარეობს ექსპერტთა ელექტრონული ბაზის შექმნის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა პროექტების ფარგლებში არსებული ექსპერტების რეესტრი, შეიქმნა გარემოსდაცვითი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შექმნილი წყლის ანგარიშგების სისტემა - აღნიშნული აღარ ექვემდებარება ცენტრის მიერ შესასრულებელ სამუშაოს და ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარე წელს ჩატარებულია 70 გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 695-მა ადამიანმა, მათ შორის: 868 მოსწავლემ და 259 სტუდენტმა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველწლიურად გარემოსდაცვითი ღონისძიებების (70-მდე წელიწადში) მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი, მ.შ. პრიორიტეტულია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის სამიზნე ჯგუფებისთვის და სტუდენტებისთვის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გამართვა, რომელშიც ყოველწლიურად საშუალოდ 600 მოსწავლე და სტუდენტი იღებს მონაწილეობას;

მიღწეული მაჩვენებელი - საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო 130 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 228-მა ადამიანმა, მათ შორის 984-მა მოსწავლემ, 570-მა სტუდენტმა, 159-მა პედაგოგმა/ლექტორმა და მასმედიის 26-მა წარმომადგენელმა;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა სულ 470-მდე თანამშრომელმა, მათ შორის 270-მა ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 150-მა თანამშრომელმა, ცენტრის 10-მა თანამშრომელმა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39-მა თანამშრომელმა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი პროფესიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მომზადებული შესაბამისი ტრეინინგ/მოდულები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ტრეინინგები, საშუალოდ წლიურად 300-მდე თანამშრომლის გადამზადება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა ოთხი ახალი ტრეინინგ/მოდული. ტრენინგი გაიარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულმა 383-მა ადამიანმა.

12.7. ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გამოყვანილი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ნერგები;
- გამოყვანილი და მოვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში შემავალი სხვადასხვა სახეობის ნერგები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამოყვანილი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ნერგები;

- გამოყვანილი და მოვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში შემავალი სხვადასხვა სახეობის ნერგები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წლის ბოლოსთვის ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობის მილიონამდე გამოყვანილი ნერგი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2-ჯერ გაზრდილი ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობების გამოყვანილი ნერგების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებელი - ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობების გამოყვანილი ნერგების რაოდენობამ გადააჭარბა 2 მილიონს;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სულ საქართველოში არსებობს „წითელ ნუსხაში“ შემავალი მცენარეების 56 სახეობა, მათ შორის 8 სახეობის 153,0 ათ. ნერგი გამოყვანილი იქნება 2015 წლის ბოლომდე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მოვლილი 2015 წელს გამოყვანილი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 8 სახეობის 153,0 ათასი ნერგი და გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანის დაწყება, გარემოდან ამოღებული ინდივიდების შევსების მიზნით;

მიღწეული მაჩვენებელი - 2015 წელს გამოყვანილ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 8 სახეობის 153,0 ათას ნერგს ჩაუტარდა მოვლის ღონისძიებები, დაწყებულია და გრძელდება გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანა. დამატებით ღია გრუნტში დაითესა დაახლოებით 149 000 ნერგი.

12.8. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (პროგრამული კოდი 38 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების გაზრდილი სიზუსტე და გამართლებადობა;
- შესაძლო სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული შერბილებული ეკონომიკური ზარალი;
- სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლის გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა;
- „დიდი თბილისის“ გეოლოგიური საფრთხეების რუკის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ მოსახლეობაზე, ინფრასტრუქტურასა და გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკი;
- საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებული შეფასება, გაზრდილი გარემოს დაბინძურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა;
- ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა;
- შედგენილი 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი და მისი ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც ასახულია რეგიონში არსებული ქანების პეტროგრაფიული, ლითოლოგიური, სტრატეგრაფიული და მინერალოგიური კვლევების შედეგები;
- არსებული გეოლოგიური ფონდების ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანით მნიშვნელოვანი ღირებულების ინფორმაციის გადარჩენა, უფრო სრულყოფილი ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაზრდილია მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების სიზუსტე და გამართლებადობა;
- შერბილებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი;
- მინიმუმამდე დაყვანილი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლი;
- შექმნილი „დიდი თბილისის“ გეოლოგიური საფრთხეების ზონირების წინასწარი რუკა;
- გაუმჯობესებული საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, გაზრდილი გარემოს დაბინძურებისა და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა;
- ამოქმედებული ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სამი ავტომატური სადგური ქ. თბილისში და ერთი - ქალაქ ჭიათურაში. უწყვეტი დაკვირვების საშუალებით მიღებული ამ ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათი.

- შედგენილი 1:2000000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი და მისი ელექტრონული ვერსია;
- ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანილი არსებული გეოლოგიური ფონდები ;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან (მ.შ. 1600 სტიქიურად საშიშ უბნად შეიძლება ჩაითვალოს) 1 200 პუნქტში ხორციელდება (33%);

მიზნობრივი მაჩვენებელი - სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 600 პუნქტში (44%);

მიღწეული მაჩვენებელი - სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 421 პუნქტში

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასახლებული პუნქტების შეფასება დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიური პროცესების ექსტრემალური გააქტიურების დინამიკაზე;

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - არსებობს „დიდი თბილისის“ ფარგლებში პირველადი სამოქმედო ინფორმაცია და წინასწარი საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა, რომელიც გადაეცემა ქალაქ თბილისის მერიას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - „დიდი თბილისის“ ფარგლებში სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის 100%-ით დეტალიზაცია, რაც 30%-ით გაზრდის ინფორმაციის მასშტაბურობას. შედგენილი საბოლოო საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში, შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით;

მიღწეული მაჩვენებელი - რუკაზე დატანილი „დიდი თბილისის“ ფარგლებში არსებული ძირითადი გეოლოგიური პროცესები, მომზადებული გეოლოგიური დასკვნები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების დასახვით;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ხარისხის უკეთ შესწავლის მიზნით აუცილებელია მონიტორინგის არეალის გაფართოება. ზედაპირული წყლების ხარისხის შესაფასებლად ამჟამად დაკვირვებები მიმდინარეობს 116 კვეთზე, რაც შეადგენს დაგეგმილი 170 კვეთის 68%-ს, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი კი ამჟამად მიმდინარეობს 30 დასახლებულ პუნქტში, რაც შეადგენს დაგეგმილი 85 პუნქტის 35 %-ს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს წყლის ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს 170 წერტილში (წლიური ზრდა 12-15%-ით), ხოლო ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 70 დასახლებულ პუნქტში (წლიური ზრდა - 30%-მდე);

მიღწეული მაჩვენებელი - გაზრდილი ზედაპირული წყლების მონიტორინგის ქსელი. შედეგად, 72 მდინარეზე და 12 ტბასა და წყალსაცავზე განხორციელებული მონიტორინგი. სულ წლის განმავლობაში ზედაპირულ წყალზე დაკვირვების წერტილების რაოდენობა წინა წელთან გაზრდილია 33 წერტილით; ნიადაგის მონიტორინგი განხორციელდა 39 დასახლებულ პუნქტში და სინჯები აღებული იქნა წინა წელთან შედარებით 50-ით მეტ წერტილში;

4. საბაზისო მაჩვენებელი - საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა საჭირო მოცულობის 50% შეადგენს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება 5%-ით, შედეგად 3-5%-ით ამალღდება გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის გამართლებადობა და 10%-ით გაიზრდება მდინარეებზე წყლის ხარჯების გაზომვის რაოდენობა. აგრეთვე 5%-ით გაიზრდება შესწავლილი მყინვარების რაოდენობა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების ზრდა დაგეგმილი იყო დამატებითი კადრებისა და რესურსების მოძიებისა და ჩართვის შემთხვევაში. ვინაიდან კადრების მატება ვერ განხორციელდა, სამუშაოების პროცენტული ზრდა წინა წელთან შედარებით არ მომხდარა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად არსებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა 25%-ით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ავტომატური მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში ტარდება მხოლოდ ქალაქ თბილისში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ინდიკატორული გაზომვების მეშვეობით ყოველწლიურად 10%-ით გაიზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, გორი, ახალციხე და ზუგდიდი;

მიღწეული მაჩვენებელი - ნაცვლად მიზნობრივი მაჩვენებლით დაგეგმილი 9 ქალაქისა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა 16 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, კასპი, მცხეთა, ოზურგეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი და ხაშური. სულ ჩატარდა 466 გაზომვა.

6.საბაზისო მაჩვენებელი - გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის (ტექსტური, გრაფიკული მასალა და რუკები) ქაღალდის ფორმატიდან ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანა, დაარქივება და შენახვა განხორციელებულია 15%-ით; წლის ბოლომდე იგეგმება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის 1 300 გეოსაინფორმაციო პაკეტის შედგენა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია დაარქივებული და გადაყვანილი ელექტრონულ ფორმატში; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულის კადასტრის წარმოება; მთავრობისთვის შექმნილი წიაღის სახელმწიფო ბალანსი;

მიღწეული მაჩვენებელი - დაარქივებული და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია; სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტები (1 181 ერთეული); დასრულებული სასარგებლო წიაღისეულის კადასტრის წარმოება; მომზადებული წიაღის სახელმწიფო ბალანსი;